# არსენალი

№ 10 (39). ოქტომბერი. 2007. „კვირის პალიტრა“. სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი. ფასი 1,5 ლარი



## ინტერვიუ გაერთიანებული შტაბის უფროსთან

1425
2007

## უპილოტო საფრენი აპარატები ბრძოლას სწავლობენ

## ტანკს გადარჩენის შანსი მიეცა?

## ჯუჯა წყალქვეშა ნავები

## კომანდოსის დაბადება

## მტერს სახეზე უნდა ცნობდე



„არმიამ არსებული საფრთხეებიდან გამომდინარე ტაქტიკით უნდა ივარჯიშოს“ 6



იარაღი და ადამიანის უსაფრთხოება 12



ცაში ახედე... ამოჭერით და შეინახეთ 14

უპილოტო საფრენი აპარატები დაზვერვის შემდეგ ბრძოლას სწავლობენ 26





ჯუჯა წყალქვეშა ნავები 45



კომანდოსის დაბადება 30

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარჩევი

კალეიდოსკოპი
4 უცხოური ამბები
ინტერვიუ
6 „არმიამ ქვეყნისთვის არსებული საფრთხეებიდან გამომდინარე ტაქტიკით უნდა ივარჯიშოს"
ალიანსი
9 NATO-ს საინფორმაციო ცენტრს იტალიური დელეგაცია ესტუმრა
მოსაზრება
10 დაიწყებს თუ არა ომს ამერიკა ირანის ატომური პროექტის შესაჩერებლად?
12 იარაღი და ადამიანის უსაფრთხოება
ოფიციალური გვერდი
13 ინტერვიუ ტელეკომპანია „საქართველოს" გენერალურ პროდიუსერთან, თამარ კვერნაძესთან
მტერს სახეზე უნდა ცნობდე
14 ცაში ახედე...
კონსულტაცია
17 კვალიფიციური რჩევები
საქართველო
18 ახალი წლის უომრად შეხვედრა თურმე ქვეყნის პრეზიდენტის სილაჩრე ყოფილა...
მკითხველის გვერდი
19 სტრატეგიული რაკეტები ბორბლებზე
სატკივარი
20 სამხედრო ჰოსპიტალი მშვიდობიან პერიოდშიც „ბრძოლის ხაზთან" არის ახლოს
გადარჩენის სკოლა
21 გადაადგილება მთებში
იარაღი
26 უპილოტო საფრენი აპარატები დაზვერვის შემდეგ ბრძოლას სწავლობენ
ლეგენდად ქცეული
30 კომანდოსის დაბადება
სპეცსამსახურები
35 თურქეთის ეროვნული სადაზვერვო ორგანიზაცია
მითი და რეალობა
39 ვინ შექმნა ნორვეგიისთვის სპეცსამსახურები
საქართველოს ისტორია
43 ფარცხისის ომი
ფლოტი
45 ჯუჯა წყალქვეშა ნავები
48 საზღვაო ავიაციის ოპერაციები საქართველო-ლაზეთის სანაპიროსთან 1914-18 წლებში
კროსვორდი
51 არსენალვორდი
ტექნოლოგიები
52 ტანკს გადარჩენის შანსი მიეცა?
„არსენალის" იარაღის მაღაზია
54 აფხაზური რევოლვერი „მაკაროვის ვაზნებზე"

## რედაქტორის სვეტი

სექტემბრის თვე, განსაკუთრებით კი ბოლო დღეები, ძალზე დაძაბული იყო. არა იმიტომ, რომ შეურიგებელ ოპოზიციაში გადასული ყოფილი თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი ორიოდ დღეში დააპატიმრეს, არამედ იმიტომ, რომ ჩვენმა საერთო მტერმა, რომელსაც საქართველოს დანაწევრება სურს, დიდი განხეთქილება დაინახა ჩვენს რიგებში.

ქართველებს ყოველთვის შინაური აშლილობა გვიღებდა ბოლოს. ბოლო, ყველაზე მწარე მაგალითი 1991 წლის დეკემბერში თბილისის სამარცხვინო ომი იყო.

იმედია, ამჯერად მაინც მოვეგებით გონს, გავითვალისწინებთ ადრე დაშვებულ საშინელ შეცდომებს და არ დავუშვებთ ტრაგედიის განმეორებას...

*ირაკლი ალადაშვილი*
*გიორგი ჟორჟოლიანი*

ყურადღება!
ხშირია შემთხვევა, როდესაც ჩვენი მკითხველი სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ ასწრებს ჟურნალის ყიდვას პრესის ჯიხურებში. ამიტომ გირჩევთ, გამოიწეროთ „არსენალი" და მიიღოთ შინ, ყოველი თვის დასაწყისში.
ტელ: 42-43-40

რედაქციის დაუკითხავად მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია

ჟურნალ „არსენალის" ძველი ნომრების შეძენა შეგიძლიათ რედაქციაში

გაზეთ „კვირის პალიტრის" დამატება ©
რედაქციის მისამართია: თბილისი, იოსებიძის ქ. №49.
ტელ: 38-37-47
email: arsenali@kvirispalitra.com
ჟურნალი გამოდის თვეში ერთხელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აშშ ახალი ტიპის ავიამზიდს აგებს



ENTERPRISE

აშშ-ში დაიწყო ახალი პროექტის პირველი ავიამზიდის აგება. ეს ყველაზე ძვირად ღირებული ხომალდი იქნება აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების ისტორიაში – შესაძლოა, მისმა ღირებულებამ საწყის ფასს – 11 მლრდ დოლარს გადააჭარბოს, რაც თავისთავად რეკორდულია. ხომალდი, რომელსაც უკვე ჰქვია „ჯერალდ ფორდი" რიგით 78-ე ავიამზიდი იქნება აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალებში. პირველი ავიამზიდი „ჩესტერ ნიმიცი" ფლოტის შემადგენლობაში 1975 წელს შევიდა, ერთ-ერთი ბოლო „ნიმიცი" – CVN-77 „ჯორჯ ბუში" – მწყობრში 2008 წელს ჩადგება, CVN-78-ს კი ფლოტი 2014-15 წლებში მიიღებს. ის 1961 წელს აგებულ ავიამზიდ „ენტერპრაიზს" შეცვლის. ზომითა და აგებულებით ახალი ხომალდები „ნიმიცის" ტიპის ავიამზიდებს ჰგვანან. ისინი აღჭურვილები იქნებიან საბრძოლო საინფორმაციო-მართვადი სისტემებით AEGIS, რაც მნიშვნელოვნად აამაღლებს ჰაერსაწინააღმდეგო და რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ავიამზიდთა შენაერთების შესაძლებლობებს.



CVN-78-ის მაკეტი

# აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალები კიბერსივრცეში ბრძოლას იწყებენ

როგორც აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების მდივანმა მაიკლ უინმა განაცხადა, ახალი სტრუქტურის შექმნის აუცილებლობა განაპირობა აშშ-ის მტრული ძალების გააქტიურებამ კიბერსივრცეში, კერძოდ, – ჩინელი ჰაკერების შეტევებმა. აშშ-მა ასევე მიაქცია ყურადღება ესტონური სამთავრობო საიტების წინააღმდეგ მასირებულ შეტევებს ესტონეთსა და რუსეთს შორის გამწვავებული კონფლიქტის მიმდინარეობისას. ახალი სამეთაურო სტრუქტურა, როგორც ცნობაშია აღნიშნული, „დროებით საფუძველზეა" შექმნილი. „კიბერმეთაურობა", ჯერჯერობით, დისლოცირებული იქნება ბარკსდეილის ავიაბაზაში, ლუიზიანის შტატში. აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალებს განზრახული აქვს კიბერსივრცეში ოპერაციების ჩატარება. ეს გულისხმობს ჰაკერების საწინააღმდეგო ქმედებებს, ინფორმაციის დაცვას, მოწინააღმდეგის სამხედრო კომპიუტერულ ქსელზე შეტევას, სამეთაურო ცენტრებისა და თავდაცვითი სისტემების საწინააღმდეგო ქმედებებს. სპეციალისტთა აზრით, მომავალში ელექტრონული ომები, შესაძლოა, შეეხოს სამოქალაქო სფეროსაც – კერძოდ, შეტევების მსხვერპლი შეიქნებიან საფინანსო ცენტრები და კავშირის სამოქალაქო სისტემები, მტრისთვის მისი ქმედებების მართვის უნარის განადგურების მიზნით.



# NATO-მ დასაშვებ დონეს გადააჭარბა

„NATO-მ მნიშვნელოვნად გადააჭარბა ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შეიარაღების დონის თაობაზე შეთანხმებას", – განაცხადა რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსანმა. ნატოს ქვეყნებისთვის შეთანხმებით გათვალისწინებული დონეები შეადგენს 5992 ტანკს, 9882 ჯავშანმანქანას, 5111 საარტილერიო ერთეულს, 1497 საბრძოლო თვითმფრინავსა და 531 დამრტყმელ შვეულმფრენს. აშშ-ის შეიარაღება ამ მონაცემებს გაცილებით აჭარბებს. რუსეთს მიაჩნია, რომ ეს დარღვევები ძალზე არსებითია. შედარებისათვის: „საფლანგო ზონაში" რუსეთს ჰყავს 1200 ტანკი, 2140 ჯავშანმანქანა და დაახლოებით 1680 საარტილერიო ერთეული.

# საუდის არაბეთი დიდი ბრიტანეთისაგან 72 „ტაიფუნს“ იყიდის



საუდის არაბეთმა ხელი მოაწერა კონტრაქტს ბრიტანული წარმოების 72 ევროპული გამანადგურებელი „ტაიფუნის“ შესყიდვაზე. გარიგების თანხა დაახლოებით 4,4, მლრდ გირვანქა სტერლინგს (8,8 მლრდ დოლარს) შეადგენს (მასში არ შედის თვითმფრინავების ტექნიკური მომსახურება და პილოტების მომზადების თანხა). გასულ წელს დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებამ შეაჩერა საუდის არაბეთში ავიასამშენებლო კომპანია BAE SYSTEMS-ის მიერ სამხედრო ტექნიკის მიწოდების საქმის გამოძიება. ხელისუფლების თქმით, გამოძიება ქვეყნის ეროვნულ თავდაცვას შეუქმნიდა საფრთხეს. ზოგიერთი მონაცემით, საუდის არაბეთი დაემუქრა ლონდონს, რომ უარს იტყოდა BAE SYSTEMS-ის 72 გამანდგურებლის შესყიდვაზე, თუკი გამოძიება გაგრძელდებოდა. მოვლენათა ამგვარი განვითარება კი სამხედრო საწარმოებიდან ათასობით თანამშრომლის დათხოვნას გამოიწვევდა.

# ბრიტანელებმა საიდუმლო ოპერაცია გაახმაურეს



დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტრომ გაახმაურა 1955 წელს სამეფო ფლოტის მებრძოლი მყვინთავების მიერ საიდუმლო ოპერაციის ჩატარების ფაქტები პორტსმუთის სამხედრო-საზღვაო ბაზაში, სადაც იმ დროისათვის მეგობრული ვიზიტით იყვნენ საბჭოთა კრეისერები „სვერდლოვი“ და „ალექსანდრ ნევსკი“.

გაზეთ THE TIMES-ის ცნობით, „სვერდლოვის“ ჰიდროაკუსტიკური აღჭურვილობის გამოსაკვლევი წარმატებული ოპერაცია ოქტომბერში ჩატარდა, ექვსი თვით ადრე, სანამ ასეთივე მისიით პორტსმუთში 1956 წლის აპრილში დაიღუპებოდა ბრიტანეთის ფლოტის მე-12 ფლოტილიის ვეტერანი, მეორე რანგის კაპიტანი ლაიონელ კრები.

მან კრეისერ „ორჯონიკიძის“ (რომლითაც დიდ ბრიტანეთში საბჭოთა ლიდერი ნიკიტა ხრუშჩოვი ჩავიდა) ფსკერის გამოკვლევა სცადა. ოპერაციის დროს ხომალდის წევის ხრახნები დატრიალდა – 14 თვის შემდეგ წყალქვეშა დივერსანტის უთავო ცხედარი ჩიჩესტერის სანაპიროზე გამოირიყა.

უახლესი კრეისერის „სვერდლოვისადმი“ ბრიტანული დაზვერვის ინტერესი ერთმა შემთხვევამ განაპირობა: „სვერდლოვი“ ორი საესკადრო ნაღმოსნის თანხლებით პორტსმუთის მხარეს, ბელტის ყურეში ნისლში მიცურავდა. ერთ მომენტში კრეისერი მწყობრიდან გამოვიდა, ღრმაწყლიან ფარვატერს გადაუხვია და სრული სვლით გადაკვეთა დაახლოებით ოთხი მეტრის სიღრმის ქვიშოვანი თავთხელი, რის შემდეგაც კვლავ მწყობრში ჩადგა.

ამ ფაქტმა NATO-ს სათვალთვალო რადარული პოსტების პერსონალის გაოცება გამოიწვია. მანევრი უახლესი კრეისერის საიდუმლო გამოცდად აღიქვეს. ბრიტანეთის მეთაურობამ გადაწყვიტა პირველი შესაძლებლობისთანავე დაეთვალიერებინა კრეისერის ფსკერი... ბოლო დრომდე კი ამტკიცებდნენ, რომ 1955 წლის ოქტომბერში პორტსმუთის ბაზაში მე-12 ფლოტილიის მებრძოლი მყვინთავები არ იყვნენ, ამიტომაც არც ოპერაცია ჩატარებულა.

# უგო ჩავესი Су-35-ის ყიდვას აპირებს



ვენესუელა, შესაძლოა, გამანადგურებელ Су-35-ის პირველი მყიდველი აღმოჩნდეს. „ეს მანქანა ძალიან მოეწონათ ვენესუელელ სამხედროებსა და ქვეყნის პრეზიდენტ უგო ჩავესს, რომლისთვისაც საგანგებო პრეზენტაცია გავმართეთ“, – განაცხადა „როსობორონექსპორტის“ ხელმძღვანელმა სერგეი ჩემეზოვმა. ამჟამად ვენესუელა ყიდულობს რუსულ გამანადგურებლებს Су-30МК2-ებს, მიწოდების საერთო მოცულობა 24 მანქანას შეადგენს. „როსობორონექსპორტი“ უახლოეს მომავალში Су-35-ების ვენესუელისთვის მიწოდების თაობაზე დეტალური მოლაპარაკებების დაწყებასაც გეგმავს. ერთადგილიანი მძიმე მრავალმიზნობრივი გამანადგურებელი Су-35, Су-27-ის პირდაპირი „გაგრძელებაა“. მისგან Су-35 განსხვავდება გაწევის შეცვლილი ვექტორის მქონე ძრავებით, ახალი რადიოელექტრონული აღჭურვილობითა და შეიარაღების გაფართოებული შემადგენლობით. Су-35 ანალოგი დასავლეთში ამერიკული გამანადგურებელი F/A-18E SUPER HORNET-ია.

საქართველოს ... ეროვნული

# „არმიამ ქვეყნისთვის არსებული საფრთხეებიდან გამომდინარე ტაქტიკით უნდა ივარჯიშოს“

## „ქართული სამხედრო სპეცრაზმი მალე საუკეთესო იქნება აღმოსავლეთ ევროპის სპეცრაზმებს შორის“



საქართველოს შეიარაღებულ ძალებს მეორე თვეა აღარ ჰყავს გენერალური შტაბი, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ქართული არმია მეთაურობის გარეშე დარჩა. საქართველოს პრეზიდენტის — შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის ბრძანებით გენერალური შტაბი გაერთიანებულ შტაბად გარდაიქმნა და მის უფროსად პოლკოვნიკი ზაზა გოგავა დაინიშნა, რომელიც გენერალურ შტაბს ბოლო ერთი წელია ხელმძღვანელობდა.

„არსენალი“ გთავაზობთ ექსკლუზიურ ინტერვიუს საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსთან, პოლკოვნიკ ზაზა გოგავასთან.

**— ბატონო ზაზა, გენერალური შტაბის გაერთიანებულ შტაბად გარდაქმნა მხოლოდ დასახელების ცვლილებას ნიშნავს თუ მნიშვნელოვნად გარდაიქმნება ახალი შტაბის მუშაობის სტილი?**

— გენერალური შტაბის ნაცვლად გაერთიანებული შტაბის ჩამოყალიბება უპირველესად ჩვენი NATO-ელი მეგობრების რეკომენდაცია იყო. ეს ცვლილება მარტო სახელწოდების შეცვლას როდი გულისხმობს. გაერთიანებულ შტაბში გაიზრდება სახმელეთო ჯარების, სამხედრო-საჰაერო და საზღვაო ძალების წარმომადგენლობები. თუკი ადრე ჯარების ამ სახეობებს გენშტაბში თითო კაცი ჰყავდათ მოვლინებული, გაერთიანებულ შტაბში მათი რიცხვი უფრო გაიზრდება, რაც შეამცირებს ბიუროკრატიზმს და გააადვილებს კოორდინაციას. გაერთიანებულ შტაბში ოპერაციებს ჯარების ამა თუ იმ სახეობის პროფესიონალი ოფიცრები დაგეგმავენ. ჯარების მართვა გაერთიანებული შტაბის სტრუქტურით უფრო ეფექტიანი იქნება, ვიდრე ეს ძველ გენშტაბში იყო. ამასთან, სახმელეთო ჯარების შტაბი გადმოვა გაერთიანებული შტაბის ახლოს, ისევე, როგორც ეროვნული გვარდიისა და სამხედრო პოლიციის დეპარტამენტები. აღარ დასჭირდებათ ოფიცრებს დღეში რამდენჯერმე მთელი ქალაქის გავლა, რაც დაზოგავს როგორც საწვავს, ისე დროს.

სამხედრო-საჰაერო ძალების შტაბი კვლავ ალექსეევკაში დარჩება, სამხედრო-საზღვაო ძალებისა კი ფოთში გააგრძელებს მუშაობას მანამ, სანამ მისი სოხუმში გადატანის დრო არ მოვა...

ისე, აზრობრივად უფრო გამართლებული იქნებოდა გაერთიანებული შტაბის ნაცვლად გაერთიანებული შტაბები გვეწოდებინა, რადგან მომავალში სარდლობები გაუქმდება და დარჩება სახმელეთო ჯარების, საჰაერო და საზღვაო ძალების შტაბები. სარდლების ნაცვლად ჯარების სახეობების შტაბების უფროსები იქნებიან.

**— მნიშვნელოვნად გაიზარდა სამხედრო ბიუჯეტი, ასევე იზრდება არმიის რიცხოვნობა 32 ათას კაცამდე (იქმნება ახალი მეხუთე ბრიგადა). რამ განაპირობა ყოველივე ამის აუცილებლობა?**

— საზოგადოება ხედავს, როგორ ძლიერდება ქართული არმია. ასეთი რუტინული შრომით მალე მივაღწევთ შეიარაღებული ძალების მომზადების იმ დონეს,როგორც ამას NATO ითხოვს. რაც შეეხება შეიარაღებული ძალების რიცხოვნობის გაზრდას, ამის მიზეზია არსებული საფრთხეები. განვითარებული პროცესებისდა მიხედვით, არ არის გამორიცხული არმიის შემდგომი ზრდაც. ახალი მეხუთე ბრიგადა საქართველოს დასავლეთ ნაწილში განლაგდება, სავარაუდოდ, ხონში. სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობა კვლავ როტაციული პრინციპით გაგრძელდება და არ გვეყოლება ერთი რომელიმე კონკრეტული, სამშვიდობო მისიების შემსრულებელი ბრიგადა. ამის მიზეზი ის არის, რომ ერაყიდან თუ კოსოვოდან დაბრუნებულ სამხედრო მოსამსახურეებს დასასვენებლად არანაკლებ ერთი თვე სჭირდებათ, აკლიმატიზაცია, შესაბამისად, ისინი ერთი თვის განმავლობაში აღარ განიხილებიან როგორც სამანევრო ელემენტი, ნაკლებად ბრძოლისუნარიანი არიან.

**— გასული წლებისგან განსხვავებით აღარ იმართება გრანდიოზული მასშტაბების სამხედრო მანევრები, რომლებშიც შოუს ელემენტებიც საკმაოდ იყო. როგორ და რა სქემით მიმდინარეობს ამჟამად შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის წვრთნები და სწავლებები?**

— ჩვენს ქვეყანას დღეს არა აქვს იმის საშუალება, რომ შოუები გამართოს არმიაში. ყოველ შემთხვევაში, სანამ მე ვიქნები გაერთიანებული შტაბის უფროსი, არ გავაკეთებ იმას, რაც ხელს შეუწყობს შეიარაღებული ძალების პროფესიული განვითარების შეფერხებას. შოუებით ვერაფერს მივაღწევთ. დასანანია, რომ ქართულ არმიას არა აქვს უნივერსალური პოლიგონი, სადაც ბრიგადა გაიშლებოდა, გამოვიყვანდით მთელ არტილერიასა და ტანკებს. ამიტომაც სხვადასხვა პოლიგონზე, მაგალითად, ვაზიანში, ორფოლოში და სხვაგან მიმდინარეობს წვრთნები. არმია მუდმივად მზადებასა და სწავლების პროცესში უნდა იყოს. ვარჯიშები ჯერ ოცეულების, ასეულებისა და ბატალიონების დონეზე იმართება, შემდეგ ხდება ბრიგადების შერწყმა და ა. შ.

**— მაგალითად, გასულ სწავლებებზე ორფოლოში ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ ბრიგადა ვერ იშლებოდა...**

— ნაკლებად მეგულება საქართველო-

ში ისეთი ადგილი, სადაც ბრიგადას გაშლი, ბატალიონის გაშლაც კი ძნელია. ჩვენი წინაპრები მარტყოფის, მარაბდისა და დიდგორის ველზე მართავდნენ ბრძოლებს. დღეს სიტუაცია შეიცვალა. 21-ე საუკუნეში ომების სხვა ტაქტიკაა, დღეს უფრო ასიმეტრიული ომების ხანაა. ამიტომაც არ გვაქვს უფლება ქვეყნის შეიარაღებული ძალები ძველი ტაქტიკით ვავარჯიშოთ. შეიარაღებულმა ძალებმა ჩვენი ქვეყნისთვის არსებული საფრთხეებიდან გამომდინარე ტაქტიკით უნდა ივარჯიშონ.

— **როგორც საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, ქართული არმია მომავალში, ძირითადად, მხოლოდ დასავლური წარმოების იარაღითა და აღჭურვილობით მომარაგდება. რამ გამოიწვია ასეთი გადაწყვეტილება მაშინ, როდესაც ნ-ს წევრი ბევრი ქვეყნის შეიარაღებაში საბჭოთა იარაღი რჩება?**

— გამუდმებით იმის ძახილი, NATO-ს სტანდარტებს გავუთანაბრდეთო, არაფერს მოგვცემს. არ შეიძლება გასული საუკუნის 40-50 წლებში გამოშვებული იარაღით გამარჯვებაზე ვიფიქროთ. მაგალითად, 7,62 მმ-იანი კალიბრის AK-47 და 5,45 მმ კალიბრის AK-74 რუსული წარმოებისაა, მაგრამ ვერავინ დამარწმუნებს, რომ AK-47 ან AKM სჯობია AK-74-ს. იარაღის განვითარების ერთ-ერთ ეტაპზე, გასული საუკუნის 70-იან წლებში,როგორც NATO-ს წევრი ქვეყნები,ისე საბჭოთა კავშირი გადავიდნენ 7,62 მმ-დან 5,56 მმ და 5,45-მმ კალიბრზე. შესაბამისად ალბათ, ზოგიერთ ნაწილში, მათ შორის რეზერვსა და სადაზვერვო დანაყოფებში გამოვიყენებთ 7,62 მმ კალიბრის „კალაშნიკოვის" ავტომატებს, მაგრამ არმიას ძირითად შეიარაღებაში იქნება 5,45 მმ-იანი „კალაშნიკოვები". ასევე შევიძენთ 5,56მმ კალიბრის,NATO-ს სტანდარტის შესაბამის თანამედროვე ცეცხლსასროლ იარაღს, ოღონდ არა M-16-ს, რომელიც უკვე მოძველებულია.

— **თქვენ 12 წლის წინ დაიწყეთ სამსახური სპეციალური დანიშნულების დანაყოფებში. რით განსხვავდება სპეცრაზმელის ფსიქოლოგია ჩვეულებრივი სამხედროს ფსიქოლოგიისგან? ეს გიშლით ხელს თუ პირიქით — გეხმარებათ გაერთიანებული შტაბის მეთაურობაში?**

— სამსახური 1995 წელს სპეციალური დანიშნულების დანაყოფ „ომეგაში" დავიწყე. გავიარე სპეციალური მომზადების კურსები ანტიტერორიზმსა და კონტრტერორიზმში როგორც საქართველოში, ისე აშშ-ში. სწორედ სპეციალური მომზადება მეხმარება გაერთიანებული შტაბის მეთაურობაში. სპეცრაზმელის უპირატესობა ჩვეულებრივ სამხედრო მოსამსახურესთან შედარებით მისი მაღალი მოტივაციაა. არა იმიტომ, რომ უფრო დიდი პატრიოტია და უფრო მეტად უყვარს სამშობლო. სპეცრაზმელის დიდ მოტივაციას მისი პროფესიონალიზმი განაპირობებს. მაგალითად, თუკი პოლიგონზე პროფესიონალი სპეცრაზმელი ქალალდის სამიზნეს მთელ მჭიდს მოახვედრებს, მაშინ იგი ნამდვილ ბრძოლაშიც დარწმუნებულია იქნება, რომ მტერს ისევე გაანადგურებს, როგორც ზუსტად მოარტყა ყველა ტყვია ქალალდის სამიზნეს. ის ჯარისკაცი კი, რომელიც პოლიგონზე ერთი მჭიდიდან ქალალდის სამიზნეს ორსამ ტყვიას მოარტყამს, მას ბრძოლაშიც ნაკლები მოტივაცია აქვს, რადგან ფსიქოლოგიურად დათრგუნვილია — იცის, რომ მტერს ტყვიას ან მოარტყამს, ან არა. ამიტომ მინდა, რომ ქართული არმიის ჩვეულებრივი ჯარისკაცის მოტივაცია სპეცრაზმელის დონემდე ავიყვანოთ. რაც შეეხება გაერთიანებული შტაბის მართვას. მიმაჩნია, რომ იქ, სადაც არ არსებობს ნორმალური ადამიანური ურთიერთობა, როგორი პროფესიონალიც უნდა იყო, ვერაფერს გახდები. ჩემს ხელქვეითებს, იქნება ეს ოფიცერი თუ რიგითი, ჩემი კი არ უნდა ეშინოდეთ, არამედ რიდი უნდა ჰქონდეთ. უნდა იცოდნენ, რომ ყველა რიგითთან, რომლებიც დღეს საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მსახურობენ, დიდი სიამაყით ვიბრძოლებ მხარდამხარ!

მე ასე ვფიქრობ: გაერთიანებული შტაბის უფროსად იმიტომ კი არ დამნიშნეს, რომ ქვეყანამ გამიცნოს, არამედ იმიტომ, რომ ქვეყანას ვემსახურო და წვლილი შევიტანო საქართველოს შეიარაღებული ძალების განვითარებაში, გავწვრთნა ღირსეული პროფესიონალი ოფიცრები და ჯარისკაცები. ქართველ საზოგადოებას საქმით უნდა დავამახსოვრო თავი. ჩემ შემდეგ ამ პოსტზე მოსულს მინდა ძლიერი საფუძველი შევუქმნა. მინდა დავამკვიდრო ერთი წესიც, — ახალმოსული სახალხოდ არ უნდა ლაპარაკობდეს წინამორბედის შეცდომებზე. პირიქით, რაც შეიძლება სწრაფად უნდა გამოასწოროს.

— **ხშირად უთქვამთ, ჯარში კონტრაქტით მისული კაცი უფრო ხელფასითაა დაინტერესებული და საბრძოლო სულისკვეთება უკანა პლანზეაო. რამდენად გავრცელებულია ასეთი შემთხვევები ქართულ არმიაში?**

— მე კარგად ვიცნობ შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის სულისკვეთებას და შემიძლია ვთქვა, რომ ეს



ეროვნული ბიბლიოთეკა

არაკეთილმოსურნეთაგან გავრცელებული ჭორია, თუმც შეიძლება იყოს თითო-ოროლა შემთხვევა.

— **რამდენად გავრცელებულია ჯარში „ენის მიტანის ინსტიტუტი“ და როგორ რეაგირებთ თქვენ ასეთ შემთხვევებზე? არის თუ არა ჯარში სიტყვიერი ან ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტები?**

— შეიარაღებული ძალები სამხედრო ფორმირებაა და აქ ბრძანების შეუსრულებლობა დანაშაულია. ამიტომაც ამის შემსწრე სამხედრო მოსამსახურე არ შეიძლება ჩაითვალოს ენის მიმტანად. არსებობს მეორე ვარიანტი — დაბეზღება. იყო ასეთი შემთხვევები. ერთი რამ შემიძლია ვთქვა: ჩემი კაბინეტის კარს ვერავინ შემოაღებს თანამშრომლის დასაბეზღებლად. არაფერი მაქვს დაფარული შეიარაღებული ძალებისთვის. სათქმელს ყველას ვეუბნები, რა თქმა უნდა, კორექტულად. მე იმ კოლექტივთან ვერ მივუმშავებ, სადაც ხელქვეითებს ლანძღავენ და შეურაცხყოფენ. იყო შემთხვევა, როდესაც თანამოსამსახურეებს შეურაცხყოფა მიაყენეს და მე ის თათბირი დაუყოვნებლივ დავტოვე.

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ — მე ვიქნები იმ ოფიცრის მტერი, რომელიც ქართველ ჯარისკაცს შეურაცხყოფს! შესაძლოა, რუსულ ჯარში დედის გინება ლოცვად ითვლება, მაგრამ ქართველი კაცისთვის, ღვთის შემდეგ, ყველაზე წმინდა დედაა. მე არ მჭირდება ჯარისკაცი, რომელსაც დედას შეაგინებენ და ის კი თავს დახრის. ჩვენ ღირსებით სავსე ჯარისკაცი გვჭირდება.

— **თავის დროზე, თქვენ ერთ-ერთმა პირველმა განაცხადეთ, რომ რეზერვისტთა მომზადების პროგრამაში მთავარი როლი პროფესიონალ ოფიცრებს უნდა ეთამაშათ და არა ბატალიონისა და ასეულის მეთაურებად დანიშნულ გამგებლებსა და დეპუტატებს...**

— დიახ, ვთქვი ასეთი რამ და საამისო მიზეზიც მქონდა. ვთქვათ, რეზერვისტთა ბატალიონის მეთაურია რომელიმე გამგებელი ან დეპუტატი, კრიზისული სიტუაციის დროს ყველა მათგანი რეზერვისტთა რიგებში იქნება. ასეთ შემთხვევაში ვინ შეასრულებს, ვთქვათ, გამგებლის მოვალეობას, ვინ უხელმძღვანელებს ტრანსპორტისა თუ სურსათის მობილიზებას? სამოქალაქო სტრუქტურები ასეთ დროს ხომ პარალიზებული იქნება. ამიტომაც გადავწყვიტეთ რეზერვისტთა მომზადების პროგრამაში ოფიცრების ჩართვა.

— **ამერიკელი გენერლების თქმით, ქართული სამშვიდობო კონტინგენტი ერაყში აქტიურ მოქმედებას იწყებს ირანიდან იარაღის უკანონო შეღწევის აღსაკვეთად. ძირითადად, რით გამოიხატება ქართული კონტინგენტის მოქმედების ტაქტიკის შეცვლა?**

— ვასიტის პროვინციის ქალაქ ელკუთში განთავსებული ქართული მე-3 ქვეითი ბრიგადა აშშ-ის მე-3 დივიზიის შემადგენლობაშია. ოქტომბრის დამდეგს პროვინციას მხოლოდ ქართული ბრიგადა გააკონტროლებს. კოალიციური ძალების დაზვერვის ინფორმაციით, ვასიტის პროვინციაზე გამავალი ერთ-ერთი გზა კონტრაბანდული იარაღის მთავარი მაგისტრალია. ჩვენი ბრიგადა სწორედ ამ გზასა და ერაყ-ირანის საზღვრის ნაწილს გააკონტროლებს, ასევე გაანადგურებს პროვინციაში მოქმედ ტერორისტულ ჯგუფებს. ეს ქართულ სამშვიდობო კონტინგენტს უდიდეს საბრძოლო გამოცდილებას შესძენს. ერაყი არ არის პოლიგონი, ის რეალური ასიმეტრიული ომის არეალია.

— **აქვს თუ არა გაერთიანებულ შტაბს სარწმუნო ინფორმაცია სეპარატისტების შეიარაღებასა და ცოცხალ ძალაზე?**

— რა თქმა უნდა. კონფლიქტურ ზონებს შეიარაღებული ძალები არ აკონტროლებენ, იქ სამართალდამცავი სტრუქტურები მოქმედებენ. მიუხედავად ამისა, შეგვიძლია მოვიპოვოთ ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რა ძალას ფლობენ სეპარატისტები.

— **რამდენად ეფექტიანად მიმდინარეობს საჰაერო თავდაცვის სისტემის განახლება? შემცირდა თუ არა უცხო ქვეყნების საფრენი აპარატების შემოფრენის ალბათობა?**

— აქტიურად ვმუშაობთ ქვეყნის საჰაერო თავდაცვის სისტემის თანამედროვე ეფექტიანი საშუალებებით აღსაჭურვად. როგორც იცით, უცხო ქვეყნების საჰაერო ობიექტები ორივე კონფლიქტური ზონის საჰაერო სივრცეს არღვევენ დროდადრო. ჩვენ კონფლიქტური ზონების თავზე საჰაერო სივრცის მონიტორინგს ვაწარმოებთ და ვიმედოვნებ, მალე ჩვენს საჰაერო სივრცეს ველარავინ დაარღვევს.

— **თქვენი აზრით, ახალჩამოყალიბებულმა სპეციალური ოპერაციების დაჯგუფებამ რა როლი უნდა ითამაშოს შეიარაღებულ ძალებში?**

— სამინისტროში გადმოსვლამდე მე კოჯრის სპეციალური დანიშნულების ბრიგადის მეთაური ვიყავი. ბრიგადის შემადგენლობას სხვადასხვა უწყებაში ჰქონდა გამოცდილება მიღებული, ამიტომ საჭირო იყო ერთი, ოპტიმალური შემადგენლობის დანაყოფის ჩამოყალიბება. დიდი შრომის ფასად მივაღწიეთ ამას. ვაშლიჯვარში გვაქვს საუკეთესო ბაზა, რომელიც სპეცოპერაციების დაჯგუფებისთვის გაიხსნა. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ: უახლოეს მომავალში საქართველოს შეიარაღებული ძალების სპეცოპერაციების დაჯგუფება ერთ-ერთი საუკეთესო იქნება აღმოსავლეთ ევროპის სპეცდანაყოფებს შორის.

— **როგორც მახსოვს, თქვენ ხელმძღვანელობდით ანტიტერორისტული ცენტრის სწრაფი რეაგირების დანაყოფს 2002 წელს პანკისში ჩატარებული სპეცოპერაციის დროს. რამდენად აუცილებელი იყო ეს კონტრტერორისტული ოპერაცია და რა საფრთხე ემუქრებოდა საქართველოს ჩრდილოეთიდან?**

— პანკისში მაშინ მართლაც იყო თავმოყრილი შეიარაღებული ხალხი. ქართველი სამართალდამცავები იქაურობას მთლიანად ვერ აკონტროლებდნენ, რასაც კრიმინალური სიტუაციის გამძაფრება მოჰყვა. ამიტომაც იყო საჭირო სპეცოპერაციების ჩატარება. ჩვენი ანტიტერორისტული ცენტრი პანკისში მოქმედებდა და მოიპოვებდა ინფორმაციას იმის თაობაზე, რომელი საველე მეთაური რას აპირებდა. დიდი საცეცხლე შეტაკებები არ ყოფილა, მაგრამ პატარ-პატარა სპეცოპერაციები მუდმივად ტარდებოდა, რამაც ჩვენს სპეცრაზმელებს კარგი გამოცდილება შესძინა. ჩვენი ანტიტერორისტული ცენტრი მსოფლიოს ელიტური სპეცდანაყოფების სიაში შედის.

— **თქვენ მუდმივად იარაღთან გაქვთ საქმე. რომელი სისტემისა და ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი იმსახურებს თქვენს ნდობას და რატომ?**

— მომწონს „ზიგ-ზაუერის“ P226 და „ჰეკლერ კოხის“ პისტოლეტები. ავტომატურ ცეცხლსასროლ იარაღთაგან საუკეთესოდ მიმაჩნია „ჰეკლერ კოხის“ ავტომატური შაშხანა G36. დარწმუნებული ვარ, დადგება დრო, როცა საქართველოს შეიარაღებული ძალებიც აღიჭურვება ამ შაშხანებით.

*ირაკლი ალადაშვილი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# NATO-ს საინფორმაციო ცენტრს იტალიის საპარლამენტო დელეგაცია ეწვია





17 სექტემბერს „საინფორმაციო ცენტრს NATO-ს შესახებ“ ესტუმრა იტალიის საპარლამენტო დელეგაცია, რომელსაც იტალიის პარლამენტის დეპუტატთა პალატის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე უმბერტო რანიერი ხელმძღვანელობდა.

იტალიელ პოლიტიკოსთა ჯგუფი შედგებოდა ქვეყნის პარლამენტის პოლიტიკური პარტიების წევრებისაგან, რომლებიც ცენტრში მისვლამდე შეხვდნენ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს.

დელეგაციის ხელმძღვანელმა უმბერტო რანიერიმ და მისმა კოლეგებმა ისაუბრეს საქართველოს NATO-ში ინტეგრაციასა და საქართველოსა და რუსეთს შორის გამწვავებულ ურთიერთობაზე. დაინტერესდნენ, რა გზით აპირებს ქართული მხარე ამ ქვეყანასთან პრობლემების მოგვარებას. შეხვედრაზე ასევე განიხილეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაზრდილი ბიუჯეტი, რომლითაც დასავლელი საზოგადოება განსაკუთრებით არის დაინტერესებული. NATO-ს წევრი სახელმწიფოს წარმომადგენელთა თქმით, არა მარტო NATO უნდა დაეხმაროს საქართველოს, არამედ თვითონ საქართველომაც უნდა შეიტანოს წვლილი ალიანსის განვითარებაში.

იტალიელი სტუმრები გაეცნენ NATO-ს საინფორმაციო ცენტრის საქმიანობასა და სამომავლო გეგმებს, ეროვნულ უმცირესობებთან მუშაობის დეტალებს.

იტალიის პარლამენტის წარმომადგენლობის ვიზიტის პარალელურად,„NATO-ს საინფორმაციო ცენტრი“ შეხვდა დედაქალაქის მოსახლეობას. ცენტრის თანამშრომლებმა და მოხალისე სტუდენტებმა გლდანის ქუჩები მოიარეს, ლოზუნგებსა და პლაკატებზე გამოსახული იყო NATO-ს 26 წევრი სახელმწიფოს ეროვნული დროშები. NATO-ს მაისურებში გამოწყობილი აქციის მონაწილეები არიგებდნენ ფლაერებსა და საინფორმაციო ბუკლეტებს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის შესახებ.

გლდანის მოსახლეობამ ცენტრის თანამშრომლებს დაუსვა სხვადასხვა კითხვა. მათ შორის, გაიზრდება თუ არა პენსიები და ხელფასები NATO-ში შესვლის შემდეგ, შემცირდება თუ არა უმუშევრობის დონე ქვეყანაში, გამოსწორდება თუ არა საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა, და ა.შ. აქციის მონაწილეები უამბობდნენ მოქალაქეებს, თუ როგორ მჭიდროდ არის დაკავშირებული ქვეყანაში არსებული საშინაო პრობლემები საგარეო პოლიტიკაში მიღწეულ წარმატებებთან.

მსვლელობა დაახლოებით ერთ საათს გაგრძელდა. აქციის ბოლოს ცენტრის თანამშრომლებმა და სტუდენტებმა ერთ-ერთი ხე NATO-ს ბაფთებით მორთეს.

აქციები თბილისის სხვა უბნებშიც გაიმართება, რაც გაზრდის დედაქალაქელთა დაინტერესებას ჩრდილოატლანტიკური ალიანსით. ცენტრს ასევე დაგეგმილი აქვს დოკუმენტური ფილმის პრეზენტაცია, რომელიც კინოთეატრ „ამირანის“ მცირე დარბაზში გაიმართება. რეჟისორ გიორგი ცქვიტავას ფილმი „ბერლინიდან ბერლინამდე“ NATO-ს შექმნის ისტორიას მოგვითხრობს. მასში კარგად არის ასახული ალიანსის თავდაპირველი დანიშნულება და „ცივი ომის“ შემდგომ მომხდარი ცვლილებები.

***„საინფორმაციო ცენტრი NATO-ს შესახებ“***

ეროვნული ბიბლიოთეკა






# დაიწყებს თუ არა ომს ამერიკა ირანის ატომური პროექტის შესაჩერებლად?



პრეზიდენტი ჯორჯ ბუში დაუყოვნებლივ გასცემს ბრძანებას ირანის დასაბომბავად, თუ დარწმუნდა, რომ ისლამური რესპუბლიკა ატომური ბომბის შექმნის ზღურბლზეა! არ ექნება ალტერნატივა არც ბუშის მემკვიდრეს თეთრ სახლში, სულერთია, კვლავ რესპუბლიკელი დაიკავებს პრეზიდენტის პოსტს თუ დემოკრატი, ქალი თუ კაცი... აი, მოკლე რეზიუმე იმ განცხადებების, დისკუსიებისა და სტატიებისა, რითაც წალეკილია ამერიკული მედია და ისტებლიშმენტი ირანის ბირთვული პროგრამის რეალიზაციისა და პრეზიდენტ აჰმადინეჯადის გაუთავებელი მუქარის თაობაზე. ანალიტიკურ ცენტრებში კი მიმდინარეობს დებატები თემაზე: ღირს კი მიეცეს დიპლომატიას კიდევ ერთი,ამჯერად უკანასკნელი შანსი ირანის ბირთვული და რეგიონული ამბიციების დასაცხრომად, სანქციების გასამკაცრებლად, თუ ეს ქვეყანა გაცილებით სასტიკ და გადაუდებელ ზომებს იმსახურებს?!

ახლახან ნიუ-იორკის უნივერსიტეტში ადგილობრივ და ვაშინგტონის ახლო აღმოსავლეთის ინსტიტუტის ექსპერტთა ინიციატივით გაიმართა კონფერენცია, რომელშიც ისრაელიდან ჩამოსული ანალიტიკოსებიც მონაწილეობდნენ. თემა იგივე გახლდათ — არაპროგნოზირებადი ირანი და აშშ-ის პოლიტიკა მის მიმართ! წინასწარ ვიტყვი: აბსოლუტურად ყველა გამომსვლელი დარწმუნებით აცხადებდა, რომ ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ძალისხმევა, გააკონტროლოს ირანის ბირთვული ამბიციები, ფუჭად დროის კარგვაა, რადგან ირანი არანაირ კომპრომისს არ აპირებს იმ მოტივით, რომ მისი ბირთვული პროგრამა მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიან მიზანს ემსახურება და რომ ბუშერის ატომური ელექტროსადგურის ამუშავების გარდა თეირანს სხვა გეგმები არ გააჩნია! მათივე თქმით, ეს ასპროცენტიანი ბლეფია, რადგან აშშ-ის, ისრაელისა და სხვა ქვეყნების სპეცსამსახურებს ხელთ აქვთ უტყუარი მონაცემები, რომლის თანახმად ირანი გამალებით მუშაობს ბირთვული იარაღის შექმნაზე! შესაბამისად, სამხედრო დარტყმა ირანის ბირთვული ობიექტების გასანადგურებლად და საერთოდ, ამ ქვეყნის ინფრასტრუქტურის პარალიზებისთვის, გადაუდებელი ხდება. დასახელდა შეტევის დაწყების სავარაუდო დროც — ოთხიდან ექვს თვემდე! აქვე ვიტყვი, რომ ერთი თვის წინ ნამდვილი ფურორი მოახდინა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილმა ოპერატიულმა თანამშრომელმა ახლო აღმოსავლეთში რობერტ ბრაიანმა, როცა განაცხადა, აშშ სამხედრო დარტყმას მიაყენებს ირანის ისლამური რესპუბლიკის გუშაგთა კორპუსის ობიექტებს უახლოესი ექვსი თვის განმავლობაში! ტელეკომპანია Fox News-ისთვის მიცემულ ინტერვიუში

ბრაიანმა ბრძანა, რომ სანდო წყაროებმა სახელმწიფო დეპარტამენტიდან და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოდან მასთან პირად საუბარში დაადასტურეს – სამხედრო დარტყმა ირანზე გარდაუვალია და შეტევა შეიძლება დაიწყოს ნებისმიერ დროს, არცთუ შორეულ მომავალში. დარტყმა იქნება მოულოდნელი, სწრაფი და გამანადგურებელი, რაც დიდი სიურპრიზი იქნება ბევრი პოლიტიკოსისა და ქვეყნისათვის! ბრაიანის კვალდაკვალ კი სამხედრო ექსპერტები უკვე ასახელებენ ორიდან ათი ათასამდე სამიზნე წერტილს ირანის ტერიტორიაზე და მის ტერიტორიულ წყლებში – სამრეწველო ობიექტებს, ელექტროსადგურებს, ინფრასტრუქტურას, ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსს, რევოლუციური გვარდიის ბაზებს, სადაც მომზადებას გადიან შიიტი ტერორისტები, აიათოლათა რეზიდენციებს თეირანსა და ყუმში, სარადარო-სარაკეტო სისტემებს და ა. შ., ხოლო ირანის სამხედრო ავიაცია და ფლოტი, უბრალოდ, შეწყვეტს არსებობას! სწორედ ამის შემდეგ დაარტყამენ მიწისქვეშა ბირთვულ ობიექტებს! მთელი ოპერაცია სამიდან შვიდ დღემდე გაგრძელდება! შეტევისთვის მზადაა სპარსეთის ყურეში მყოფი ამერიკის სამხედრო-საზღვაო არმადა ავიამზიდებითურთ და პენტაგონი, ჯერჯერობით, არ განიხილავს თურქეთის, საქართველოსა და აზერბაიჯანის საჰაერო სივრცის გამოყენების საკითხს...

ამ ფონზე, თეთრი სახლის პრესმდივანი გამუდმებით უარყოფს ნებისმიერ ინფორმაციას ირანის წინააღმდეგ ძალის შესაძლო გამოყენების თაობაზე და ირწმუნება, რომ ბუშის ადმინისტრაცია პრეროგატივას კვლავ დიპლომატიას ანიჭებს. თავად პრეზიდენტი ბუში კი ამტყდარ აჟიოტაჟს პოლიტიკურ ყბედობას უწოდებს, თუმც იქვე მრავალმნიშვნელოვნად დასძენს, რომ შეიარაღებული ძალების გამოყენება არის უკანასკნელი საშუალება პრობლემის გადასაჭრელად! ამასთან, ვაშინგტონში მოწონებით შეხვდნენ ჯერ საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრ კუშნერის განცხადებას, რომ დასავლეთი არ დაუშვებს ირანში ატომური ბომბის შექმნას და რომ საამისოდ მსოფლიო მზად უნდა იყოს უარესისთვის, ანუ ირანთან ომისთვის; შემდეგ კი პრეზიდენტმა სარკოზიმ „ბეჭედი დაუსვა“ თავისი მინისტრის ამ განცხადებას და ავისმომასწავებელი მესიჯი გაუგზავნა თეირანს: ან მოლაპარაკება თქვენი ბირთვული პროგრამის შესაწყვეტად, ან ომი! ერთი საგულისხმო დეტალი: ზემოაღნიშნულ კონფერენციაზე დაუფარავად ითქვა – ჯორჯ ბუში, იმის შიშით, რომ არ გაიჟონოს ინფორმაცია, თვით მთავრობის წევრთა ინფორმირებასაც კი ერიდება ბიუროკრატიული არხებით, რადგან საიდუმლო ინფორმაცია ირანზე შეტევის დაწყების თაობაზე უმალ აღმოჩნდება ყველგანმავალი.... „ნიუ-იორკ თაიმსისა“ და „ვაშინგტონ პოსტის“ ფურცლებზეო(!). საგულისხმო გახლდათ ისრაელის წარმომადგენლის არტურ ბრუკის განცხადებაც, რომ „მოსადის“ მონაცემებით ირანის ბირთვული პროგრამა წარმატებით მიმდინარეობს და სულ რაღაც ორ წელიწადში აიათოლების ხელში აღმოჩნდება ატომური ბომბი. ამას კი არასოდეს შეურიგდება ისრაელი, რომელიც არის კიდეც თეირანის უპირველესი სამიზნე! კითხვაზე, დაარტყამს თუ არა ისრაელი ირანის ბირთვულ ობიექტებს, როგორც 1982 წელს, როცა სადამ ჰუსეინის ბირთვული რეაქტორი გაანადგურეს ისრაელის ბობმბდამშენებმა, ექსპერტმა დააკონკრეტა, – ირანს არ ექნება ატომური იარაღიო! რაც შეეხება ისრაელის ავიაციის მიერ 5-6 სექტემბრის ღამეს სირიის საიდუმლო ობიექტის დაბომბვის ფაქტს, ბრუკის თქმით, ეს გახლდათ სირია-ჩრდილოეთ კორეის ერთობლივი ბირთვული რეაქტორი, რომლის მშენებლობაც მიმდინარეობდა და რომლის შესახებაც ინფორმაცია „მოსადს“ ჯერ კიდევ გაზაფხულზე ჰქონდა. მას შემდეგ კი, რაც ისრაელის ჯაშუშმა-თანამგზავრმა კოსმოსიდან გადაღებული ფოტოსურათებით დაადასტურა ბირთვული ობიექტის მშენებლობის ფაქტი, შემუშავდა სპეცოპერაცია. სირიის ტერიტორიაზე ამ ობიექტის მახლობლად გადაისროლეს ისრაელის სადესანტო ოცეული, რომელმაც ღამით ლაზერის სხივით მიანიშნა სამიზნეზე უკვე მოახლოებულ ისრაელის ბომბდამშენებს. დაბომბვის შემდეგ ობიექტიდან უზარმაზარი ორმოღა დარჩა... „ჩათვალეთ, რომ ეს პირდაპირი გაფრთხილებაა ირანისა“, – დასძინა ბრუკმა!

...მას შემდეგ, რაც მაჰმუდ აჰმადინეჯადმა საქვეყნოდ დაიფიცა, რომ ალგვის ისრაელს პირისაგან მიწისა, დასავლეთს კი შეუთვალა, რომ ამერიკისა და ევროკავშირის ყოველ ძალისმიერ ქმედებას ირანელი ხალხის კანონიერი უფლების საწინააღმდეგოდ (გულისხმობდა, ატომური ენერგიის მხოლოდ და მხოლოდ, მშვიდობიანი მიზნისთვის გამოყენებას) გასცემს ადეკვატურ პასუხს, ვაშინგტონმა უკან დაიხია (რა თქმა უნდა, ტაქტიკური მოსაზრებით) და მიუხედავად მანამდე გაცხადებული კატეგორიული პოზიციისა, რომ აშშ არასოდეს მიუჯდებოდა მოლაპარაკების მაგიდას ირანსა და სირ-



იასთან ერთად, სახელმწიფო დეპარტამენტის ძალისხმევით მარტსა და აპრილში მაინც გაიმართა ამერიკელთა მოლაპარაკება ბაღდადში აკრედიტებულ ირანისა და სირიის ელჩებთან! მაგრამ ირანმა არც ტერორისტების მხარდაჭერაზე აიღო ხელი და არც ბირთვული პროგრამის შეჩერებაზე. ამ ფაქტმა კი ირანთან დიალოგის მომხრე ამერიკელი პოლიტიკოსებისა და ანალიტიკოსების რისხვა გამოიწვია! საქმე ის არის, რომ შარშან, ამერიკის საერთაშორისო ურთიერთობათა საბჭოს თხოვნით, ზბიგნევ ბჟეზინსკიმ მოამზადა მოხსენება, რომელშიც მოუწოდა ბუშის ადმინისტრაციას ირანთან პირდაპირი დიალოგისკენ და ბრძანა, რომ სწორედ აშშ-ირანს შორის ურთიერთობათა არარსებობა აყენებს დიდ ზიანს ამერიკის ინტერესებს ამ უმნიშვნელოვანეს რეგიონში! ბჟეზინსკის რეკომენდაციით, თეთრ სახლს თეირანთან ერთად უნდა მოეძებნა საერთო ინტერესების შეხების წერტილები, როგორც ამას აკეთებდა ვაშინგტონი საბჭოთა კავშირსა და ჩინეთთან ურთიერთობისას და იცით, ვინ იყო ბჟეზინსკის მოხსენების თანაავტორი? – რობერტ გეიტსი, აშშ-ის დღევანდელი თავდაცვის მინისტრი! ამის შემდეგ ვაშინგტონმა დიპლომატიური არხებით რამდენჯერმე სცადა ირანის დაყოლიება პირდაპირი დიალოგის დაწყებაზე, პასუხად კი მიიღო აჰმადინეჯადის განცხადება, რომ იგი სატელევიზიო დებატებში იწვევს ჯორჯ ბუშს(!), მოგვიანებით კი საზეიმოდ ამცნო მსოფლიოს ბირთვულ ობიექტებზე ცენტრიფუგების მორიგი პარტიის გაშვების ამბავი! ვაშინგტონის მოთმინების ფიალაში ბოლო წვეთი შეიქნა ირანისთვის უახლესი რუსული სარაკეტო კომპლექსის Тор-M1-ის გადაცემა. პუტინმა არაფრად ჩააგდო ბუშის პირადი თხოვნა, არ გადაეცა თეირანისთვის ეს საზენიტო სისტემა, და შედეგად დღეს რუსული სარაკეტო კომპლექსები ირანის ბირთვული ობიექტების დასაცავადაა განლაგებული. თითოეულ კომპლექსს (სულ 29 კომპლექსი გადასცეს) შეუძლია ერთდროულად გაანადგუროს ორი სამიზნე ობიექტი ნებისმიერ ამინდსა და დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში! ერთი სიტყვით, ერაყის კვალდაკვალ ვაშინგტონს კიდევ ერთი ძვალი გაეჩხირა ყელში ირანის სახით და პლუს, თავად ისლამური სამყაროს შიგნით მზარდი დაპირისპირება. შედეგად, პრეზიდენტმა ბუშმა შეწყვიტა ლაპარაკი ამ უზარმაზარი რეგიონის დემოკრატიზაციაზე! დიახ, საუკუნეების მანძილზე სუნიტებსა და შიიტებს შორის არსებულმა ანტაგონიზმმა კვლავ მთელი ძალით იფეთქა და, ალბათ, საინტერესო იქნება მკითხველისთვის იმ ფაქტის დაფიქსირებაც, რომ დღეს ერაყში მხოლოდ ამერიკელები და ტერორისტ-ფუნდამენტალისტები არ წარმოადგენენ მებრძოლ მხარეებს! ერაყში, ფაქტობრივად, ომი აქვთ ერთმანეთთან ირანსა და საუდის არაბეთსაც! თეირანი დიდ დახმარებას უწევს მუქთადა ას-სადრის შიიტთა სახალხო ლაშქარს, ერ-რიადი კი სუნიტებს. მეტიც, ერაყი „ალ-ქაიდასა“ და „ჰესბოლას“ შორის ბრძოლის ველადაც იქცა! პოლიტოლოგები რატომღაც უყურადღებოდ ტოვებენ იმ ფაქტს, რომ ბოლო დროს ოფიციალურ პირთა ანტიალქაიდურმა რიტორიკამ იკლო დასავლეთში და უწინარესად, ამერიკაში. ისრაელის ატომური ენერგიის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ელი ლევიტის მოხსენების თანახმად, კაცობრიობას ოთხი ბირთვული ეტაპი აქვს გასავლელი, რომლის შემდეგაც ცივილიზაცია ყოფნა-არყოფნის რეალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდება! მისი თქმით, პირველი ბირთვული ეტაპი დაიწყო 1939 წელს, როცა კოლუმბიის უნივერსიტეტის ფიზიკოსებმა შეძლეს ურანში ატომის გახლეჩა! ასე დაიბადა „მანჰეტენის პროექტი“, რომელიც ჰიროსიმისა და ნაგასაკის დაბომბვით დასრულდა! მეორე ეტაპმა ჩამოაყალიბა ბირთვული იარაღის მქონე ქვეყნების კლუბი (აშშ, საბჭოთა კავშირი, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ჩინეთი), რომელიც „ცივი ომის“ დასრულებამდე არსებობდა! ინდოეთისა და პაკისტანის, უკანასკნელ ხანს კი ჩრდილოეთ კორეის მიერ ატომური იარაღის შექმნით მსოფლიო ე.წ. მესამე ბირთვულ ეპოქაში შევიდა, რომელიც დაახლოებით 2011 წლამდე გაგრძელდება. მეოთხე ეტაპი კი მიგვიყვანს ირანში ბირთვული იარაღის შექმნამდე, პაკისტანის დაშლამდე, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მწვავე კრიზისამდე, ჩრდილოეთ კორეის არაადეკვატური და პროვოკაციული ქმედებებიდან გამომდინარე... და ბოლოს, ბირთვული ტექნოლოგია აღმოჩნდება ტერორისტული და ექსტრემისტული დაჯგუფებების ხელში!

თუ ეს მოხდა, მაშინ მართლაც უნდა ველოდოთ „მაჰდის“ რისხვას....

*სპეციალურად „არსენალისთვის“*
*ზურაბ მჭედლიშვილი*
*ნიუ-იორკიდან*

# იარაღი და ადამიანის უსაფრთხოება

## უსაფრთხოების სექტორის რეფორმა საქართველოში

წარსულს ჩაჰბარდა ის დრო, როდესაც ათასი ჯურის შეიარაღებული პირები თავისუფლად დათარეშობდნენ. ქვეყანაში დემოკრატიაზე ან ეკონომიკურ განვითარებაზე ლაპარაკიც არ ღირს, თუკი მოქალაქე დაცული არ არის შეიარაღებული ძალადობისგან. ძალადობა კი არა მარტო შეიარაღებული ბოროტმოქმედისგან, არამედ სამართალდამცავისგანაც არის მოსალოდნელი.

ამიტომაცაა, რომ საერთაშორისო ინსტიტუტები, კერძოდ კი ევროკავშირი მხარს უჭერს საქართველოში უსაფრთხოების სექტორის რეფორმირებას, რაც ნიშნავს სამართალდამცავი და უშიშროე-



ბის სამსახურების პროფესიონალიზმის ამაღლებას, სამხედრო ძალებზე სამოქალაქო კონტროლის გაძლიერებას, კანონის უზენაესობის დამკვიდრებას, სასამართლო სისტემის დახვეწას და ა.შ.

უსაფრთხოების სექტორის რეფორმირების ერთ-ერთი ამოცანაა მშვიდობიანი მოსახლეობის შეიარაღებული პირებისგან დაცვა. გაყინულ შეიარაღებულ კონფლიქტებში მყოფი საქართველოსთვის არც ისე უცხოა მოსახლეობაში უკანონო იარაღის გავრცელება. განსაკუთრებით ეს ითქმის აფხაზეთსა და ცხინვალზე, ასევე მათ მოსაზღვრე სხვა რაიონებზეც.

როდესაც პოლიტიკური დაპირისპირება იზრდება, განსაკუთრებით არჩევნების წინ, ყოველთვის არის იმის საშიშროება, რომ ამა თუ იმ საპროტესტო მიტინგზე დაწყებული კამათი შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადაიზარდოს. ასეთ დროს, არცთუ იშვიათად, პროვოკაციული ძალები ცდილობენ ცეცხლსასროლი იარაღი გამოიყენონ, რითაც სამართალდამცავებს საპასუხო ძალისმიერი მოქმედებისკენ უბიძგებენ...

საქართველომ ერთხელ უკვე გადაიტანა ძმათამკვლელი ომი. ამიტომ უსაფრთხოების სექტორის წარმომადგენლებმა ყველაფერი უნდა იღონონ, რომ ასეთი რამ აღარ განმეორდეს, რომ დაცული იყოს თითოეული მოქალაქის უსაფრთხოება და კონსტიტუციური უფლებები.

*ირაკლი ალადაშვილი*



# ინტერვიუ ტელეკომპანია „საქართველოს" გენერალურ პროდიუსერთან, თამარ კვერნაძესთან



— **ტელეკომპანია „საქართველოს" თავდაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობის ხელშეკრულება აქვს გაფორმებული, რამდენწლიანია ის და რას ითვალისწინებს?**

— საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და დამოუკიდებელ ტელეკომპანიას შორის ხელშეკრულება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად დაიდო. ტელევიზიამ თავდაცვის სამინისტროს სხვადასხვა სახის ტელემომსახურება 2010 წლამდე უნდა გაუწიოს.

— **როგორია მაუწყებლობის ბადე და რა პროგრამები გავა ეთერში?**

— ჩვენი დევიზია — „ვემსახურებით მათ, ვინც მსახურობს!" დევიზი უპირველესად გულისხმობს სამხედრო სამსახურს. ბუნებრივია, ჩვენ ვითანამშრომლებთ სამხედრო ექსპერტებთან, მჭიდრო კავშირი გვექნება „საინფორმაციო ცენტრთან ნატო-ს შესახებ" და ა.შ.. დიდი სურვილი გვაქვს მოკლე, ისტორიული ხასიათის გადაცემები მოვამზადოთ. სულ რაღაც ორი კვირაა, რაც ეთერში გავედით. უამრავი პროექტი გვაქვს დაგეგმილი და გულმოდგინედ ვმუშაობთ.

— **რამდენად რთულია სამხედრო თემატიკაზე მუშაობა, როგორ დაძლიეთ ეს სირთულე, რაიმე სპეციალური მომზადება გაიარეთ?**

— ტელეკომპანია „საქართველო" თავდაცვის უწყებასთან მჭიდროდ თანამშრომლობს, ჩვენ აქტიური კონსულტაციები გვაქვს. ამჯერად ეთერში სამხედრო თემატიკის დოკუმენტური და მხატვრული ფილმები გადის.

— **იგეგმება თუ არა ადგილობრივი პროდუქციის შექმნა ან საინფორმაციო გამოშვებები?**

— საინფორმაციო გამოშვებები არ გავა. ტელეეთერის დროის დიდი ნაწილი თავდაცვის უწყებაში მიმდინარე რეფორმებს დაეთმობა. ტელევიზიის გადაცემათა ბადე სამხედრო მოსამსახურეების დღის რეჟიმის მიხედვით არის განაწილებული. ეთერის პრაიმ-თაიმი მაშინ არის, როცა ჯარისკაცებს ყველაზე მეტი თავისუფალი დრო აქვთ: 07:00-08:30, 13:15-15:45, 18:00-21:30 საათები. ტელევიზია მაუწყებლობას დილის 7 საათზე საქართველოს ჰიმნით იწყებს.

— **ორიოდე სიტყვა ტელევიზიის სტრუქტურისა და აღჭურვილობის შესახებ. ხომ არ იგეგმება ახალი კადრების მიღება და რა წესით მოხდება ეს?**

— როცა ტელევიზია საკუთარი პროდუქციის შექმნას დაიწყებს, აუცილებლად დაგვჭირდება გამოცდილი, კვალიფიციური კადრები და დამატებითი აღჭურვილობის შეძენა.

*ხატია ყურაშვილი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცაში ახედე...

## ამოჭერით და შეინახეთ!

სიმართლე გითხრათ, „არსენალის“ გვერდების დახარჯვა შვეულმფრენებისა და თვითმფრინავების სქემებით ნამდვილად არ გვინდოდა, რადგან ამ გვერდებზე საინტერესო სტატიები დაეტეოდა. ამავე სქემების ნახვა დაინტერესებულ მკითხველს ინტერნეტშიც შეეძლო, მაგრამ ზემო აფხაზეთში თუ დიდი ლიახვის ხეობაში კომპიუტერი და, მით უმეტეს, ინტერნეტი ყველასთვის არ არის ხელმისაწვდომი, არადა სწორედ აქაურებს სჭირდებათ ყველაზე ხშირად თავზე გუგუნით გადაფრენილი საჰაერო ობიექტის ამოცნობა.

ზოგს მფრინავი ობიექტის ტიპის კი არა, იმის გარჩევაც უჭირთ, თვითმფრინავმა გადაუფრინათ თუ შვეულმფრენმა.

მეორე მსოფლიო ომის დროს საბჭოთა ხელისუფლება გერმანული „მესერშმიტების“ თუ „ფოკე-ვულფების“ სქემებიან უბის წიგნაკებს ურიგებდა მოსახლეობას, რომ მათ საბჭოთა და გერმანული თვითმფრინავები ერთმანეთისგან გაერჩიათ.




სასწავლო-საბრძოლო L-39 „ალბატროსი“




ამის მაგვარი პლაკატი ამ შვიდიოდე წლის წინ საქართველო-რუსეთის საზღვრის გირევის საგუშაგოზეც ვნახე. პლაკატზე გამოსახული იყვნენ ის რუსული საბრძოლო თვითმფრინავები და შვეულმფრენები, რომლებიც ჩეჩნეთს ბომბავდნენ და ხშირად ქართულ საჰაერო სივრცესაც არღვევდნენ. ეს პლაკატი სპეციალურად ეუთოს დამკვირვებლებისთვის იყო დამზადებული საზღვარგარეთ.







საფრონტო ბომბდამშენი Су-24М



ბაბუშერას აეროპორტში მდგარი სეპარატისტების სამი რეაქტიული სასწავლო-საბრძოლო L-39 „ალბატროსი“ და სამგზავრო შიდაწვისძრავიანი Ан-2 ზემო აფხაზეთის ხშირი დაუპატიჟებელი სტუმრები არიან. პირველ „ალბატროსზე“ უმართავი რაკეტების გასაშვებ უნივერსალურ ბლოკს УБ-16-57-ს ჰკიდებენ.

ფოტო ქვეყნდება პირველად

„საინფორმაციო ცენტრი NATO-ს შესახებ“ დახმარებით „არსენალის“ რამდენიმე ასეული ეგზემპლარი ყოველთვიურად ჩააქვთ კოდორის ხეობაში, სადაც უფასოდ არიგებენ. „არსენალში“ დაბეჭდილი ამ თვითმფრინავებისა და შვეულმფრენების სურათები და სქემები (რომლებიც აფხაზებისა და რუსების შეიარაღებაშია) დაეხმარება ადგილობრივ მცხოვრებთ და იქ დისლოცირებულ შსს-ს წარმომადგენლებს რამდენიმე კმ-ის სიმაღლეზე მფრენი უცხო თვითმფრინავებისა და შვეულმფრენების ტიპები მიახლოებით მაინც დაადგინონ.



ასე გამოიყურება Су-25 ქვემოდან



ამ სქემების ჩამონათვალის ჩეხოსლოვაკიური წარმოების L-39 „ალბატროსებით“ დავიწყებთ. 1992 წელს ჩეჩნეთის პრეზიდენტმა ჯოჰარ დუდაევმა მოსკოვის დახმარებით რამდენიმე „ალბატროსი“ მიაწოდა არძინბას. მართალია, ერთი აფხაზებს ისევ რუსმა მეზენიტეებმა ჩამოუგდეს, მაგრამ სეპარატისტების განკარგულებაში კვლავ რჩება სამი ასეთი სასწავლო-საბრძოლო თვითმფრინავი. ერთ-ერთი „ალბატროსის“ საბორტო ნომერია 34.

„ალბატროსი“ კონფიგურაციით ძალიან წააგავს Су-25 ტიპის მოიერიშეს და საბრძოლო ავიაციაში ნაკლებად გარკვეულ პირს 2-4 კმ-ს სიმაღლეზე მფრენი „ალბატროსი“ შეიძლება მასში აერიოს. ყურადღებას იქცევს ფრთების ბოლოში დამაგრებული ორი ავზი, ძრავის ჰაერმიმღებებისა და ფრთების განთავსების ადგილი რაც მთავარია, ორძრავიანი Су-25-ისგან განსხვავებით „ალბატროსს“ მხოლოდ ერთი რეაქტიული ძრავა აქვს.

ჰყავთ თუ არა ნამდვილად Су-25 ტიპის მოიერიშეები სეპარატისტებს, ეს სპეცსამსახურების გასარკვევია (შეიძლება სწორედ „ალბატროსები“ ჰგონიათ Су-25-ები მათ აგენტებს). სამაგიეროდ, Су-25 მოიერიშეები არცთუ ცოტაა ჩრდილო კავკასიაში, საიდანაც ისინი ხშირად არღვევენ საქართველოს საჰაერო სივრცეს. Су-25 ადვილად გასარჩევია ცის



ეროვნული ბიბლიოთეკა



დამრტყმელი შვეულმფრენი Ми-24П



ფონზე და მისი ამოცნობა ძნელი არ უნდა იყოს.

მას შემდეგ, რაც რუსულმა Су-24М-მა წითელუბანში „საჩუქარი“ ჩამოგვიგდო ანტირადარო რაკეტის სახით, ურიგო არ იქნებოდა მისი კონფიგურაციაც გვეჩვენებინა „არსენალის“ მკითხველისთვის. ოღონდ არ შეცდეთ, Су-24М ტიპის საფრონტო ბომბდამშენი ერთ ეშმაკობას მიმართავს — მას ფრთების გაშლილობის კუთხის შეცვლა შეუძლია 16 გრადუსიდან (ამ დროს ბომბდამშენის ფრთების გაშლილობა 10,3 მეტრია) 69 გრადუსამდე (ბომბდამშენების ფრთების გაშლილობა იზრდება 17,6 მეტრამდე). ამან არ უნდა დააბნიოს ცაში მფრენი Су-24М-ის შემყურე.

შვეულმფრენებიდან ყველაზე ხშირად კოდორისა თუ დიდი ლიახვის ხეობაში შეიძლება გამოჩნდნენ სამხედრო-სატრანსპორტო Ми-8 (ან მისი მოდიფიკაციები Ми-8МТ, Ми-17 და სხვა) და საბრძოლო Ми-24.

Ми-8-ს ამოცნობა ცაში საკმაოდ ადვილია, ხოლო თუკი მისი ზუსტი მოდიფიკაციის დადგენა გსურთ, მისი კუდის ხრახნს შეხედეთ. ფრენის მიმართულების მიხედვით, თუ ხრახნი მარჯვნივაა, ე.ი. ჩვეულებრივი Ми-8Т მიფრინავს, თუ ხრახნი მარცხნივაა, მაშინ Ми-8МТ ყოფილა. ამ უკანასკნელის ფიუზელაჟის ბორტებზე სპეციალური ფერმები მაგრდება, თითოეულ მათგანზე სამი პილონია, რომლებზეც უმართავი რაკეტების უნივერსალური ბლოკები ან საავიაციო ბომბებია დაკიდებული.

Ми-24-ს იმდენად დამახასიათებელი ფორმა აქვს, რომ მისი დაწვრილებით ახსნა არც ღირს. პატარა ფრთები „მფრინავ ნიანგს“ ყველა სხვა შვეულმფრენთაგან გამოარჩევს (ისევე როგორც აკეცილი შასი) და მისი ამოცნობა არ არის ძნელი.

„არსენალის“ რედაქცია კმაყოფილი იქნება, თუკი სავარაუდო მოწინააღმდეგის საფრენი აპარატების ქართულ ცაში დაუპატიჟებელი „სტუმრობისას“ კოდორელები თუ ლიახველები (ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხის მცხოვრებნი) ზუსტად ამოიცნობენ მათ ტიპს, რაშიც მათ „არსენალში“ გამოქვეყნებული ეს სქემები დაეხმარება.

*ირაკლი ალადაშვილი*



სამხედრო-სატრანსპორტო შვეულმფრენი Ми-8

# კვალიფიციური რჩევები

**„არსენალი“ აგრძელებს რუბრიკას, რომელშიც კვალიფიციურ პასუხს გავცემთ ყველა დაინტერესებულ პირს მათთვის საინტერესო საკითხებზე.**

***კითხვებზე უპასუხებს ასოციაცია „სამართალი და თავისუფლება“, რომელიც უფასო იურიდიულ მომსახურებას სთავაზობს წვევამდელებსა და სამხედრო მოსამსახურეებს. საკონტაქტო ტელეფონი: 95-89-80***

**1. თუ სამხედრო მოსამსახურე სამხედრო სამსახურის გავლის პერიოდში იკვებება საკუთარი სახსრებით, ეკუთვნის თუ არა მას დანამატი ხელფასზე და რამდენია აღნიშნული დანამატი?**

– სამხედრო მოსამსახურეს დადგენილი ნორმით ეძლევა სასურსათო ულუფა, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი ფულადი კომპენსაცია, რომელიც ემატება მის ხელფასს და ყოველთვიურად შეადგენს:

1. საერთო საჯარისო შემადგენლობისათვის – 59 ლარი;
2. მფრინავთა შემადგენლობისათვის – 121,4 ლარი;
3. მეზღვაურთა შემადგენლობისათვის – 70 ლარი.

**2. სამხედრო სამსახურში წელთა ნამსახურობის გამო დანამატის გამოანგარიშებისას ითვლება თუ არა სავალდებულო სამხედრო სამსახურის პერიოდი?**

– წელთა ნამსახურების გამო პროცენტული დანამატის განსაზღვრისას მხედველობაში არ მიიღება სავალდებულო სამხედრო სამსახურის პერიოდი. დანამატის გამოანგარიშება ხდება უშუალოდ სამხედრო მოსამსახურის მიერ თანამდებობაზე, მათ შორის, ყოფილი სსრკ-ის და სხვა სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში ნამსახურები კალენდრული წლების მიხედვით.

**3. ვარ უფროსი ლეიტენანტი, 7 წელია ვმსახურობ შეიარაღებულ ძალებში, წელთა ნამსახურობის გამო რამდენი უნდა იყოს ხელფასზე დანამატი?**

– სამხედრო მოსამსახურეს 5-დან 10 წლამდე ნამსახურობის გამო ყოველთვიურ ხელფასზე ემატება თანამდებობრივი და წოდებრივი სარგოების 20%.

**4. დაინვალიდების შემთხვევაში, ეკუთვნის თუ არა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში მომუშავე სამოქალაქო პირს დახმარება?**

– თუ პირი დაინვალიდდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიღებული ტრავმის შედეგად, მას მიეცემა ერთჯერადი დახმარება – შრომისუნარიანობის ნაწილობრივ დაკარგვისას თანამდებობრივი სარგოს ერთი წლის ოდენობით, ხოლო შრომისუნარიანობის სრულად დაკარგვის შემთხვევაში, თანამდებობრივი სარგოს ხუთი წლის ოდენობით.

**5. ვარ სამხედრო მოსამსახურე, ვფლობ ინგლისურ და ფრანგულ ენებს. როგორც ჩემთვის არის ცნობილი, უცხო ენის ცოდნის გამო მეკუთვნის ხელფასზე დანამატი. გთხოვთ, განმიმარტოთ, რა რაოდენობის დანამატი მეკუთვნის?**

– ვინაიდან თქვენ ფლობთ ორ ევროპულ ენას, გეკუთვნით ყოველთვიური დანამატი თანამდებობრივი სარგოს 20%-ის ოდენობით, იმ შემთხვევაში, თუ თქვენ პრაქტიკულად იყენებთ უცხო ენებს სამსახურში.

**6. კონტრაქტის ვადის ამოწურვის შემდეგ აღარ გამიგრძელეს კონტრაქტის ვადა, ანუ დამითხოვეს შეიარაღებული ძალებიდან. მეკუთვნის თუ არა ერთჯერადი გასასვლელი დახმარება?**

– საერთო წესის მიხედვით, კონტრაქტის ვადის ამოწურვასთან დაკავშირებით შეიარაღებული ძალებიდან დათხოვნისას ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარება არ გაიცემა. აღნიშნული წესი არ ვრცელდება ოფიცერთა კორპუსზე.

**7. ვარ სამხედრო ძალების ოფიცერი, ვცხოვრობ რაიონში, თბილისში ოჯახთან ერთად გადმოსვლის შემთხვევაში, ამინაზღაურდება თუ არა ფართის დაქირავების ხარჯები?**

– თბილისში ბინის დაქირავების შემთხვევაში გეკუთვნით ბინის ქირა ოჯახის თითოეულ წევრზე, დღე-ღამეში 2 ლარის ოდენობით.

**8. ვარ სამხედრო მოსამსახურე, ავადმყოფობის გამო ვმკურნალობდი ჰოსპიტალში. შესაბამისი აპარატურის არარსებობის გამო გამგზავნეს სხვა სამედიცინო კლინიკაში, სადაც გადამახდევინეს მკურნალობის ხარჯები. კანონიერია თუ არა აღნიშნული ქმედება?**

სამხედრო მოსამსახურე სარგებლობს უფასო სამედიცინო მომსახურებით მხოლოდ თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებულ სამხედრო-სამედიცინო ქვედანაყოფებში. სამხედრო-სამედიცინო პუნქტში ჩატარებული მკურნალობის ხარჯები მთლიანად იფარება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. კერძო სამედიცინო კლინიკის მომსახურების ხარჯების დაფარვა თქვენ გევალებათ.

**9. ვიყავი სამხედრო მოსამსახურე, ჩემი სამსახური ითვლებოდა ჯანმრთელობისთვის მავნედ, ვინაიდან უშუალო შეხება მქონდა ქიმიურ ნივთიერებებთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურის ერთი დღე მეთვლებოდა დღე-ნახევრად. გთხოვთ, განმიმარტოთ, ჩაითვლება თუ არა ეს დამატებითი დღეები პენსიის დაანგარიშებისას?**

მართალია, სამხედრო სამსახურის პერიოდში ერთი დღე გეთვლებოდათ დღე-ნახევრად, მაგრამ პენსიის დაანგარიშებისას მხედველობაში მიიღება სამხედრო სამსახურში ნამსახურები კალენდრული წლები და პენსიის ოდენობაც დაანგარიშდება ფულადი სარგოების ერთმაგი ოდენობით.

**10. სამხედრო მოსამსახურე დააკავეს სისხლის სამართლის კოდექსის 385-ე მუხლით (უფროსის მიმართ ძალადობა) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის გამო. როდიდან შეუძლია მას მოითხოვოს ადვოკატის დახმარება?**

სამხედრო მოსამსახურეს შეუძლია მოითხოვოს დამცველის მოწვევა დაკავებისთანავე. მას უფლება აქვს ადვოკატის მისვლამდე არ მისცეს ახსნა-განმარტება ან სხვა სახის ჩვენება.

**11. რა უფლებები ეზღუდება სამხედრო მოსამსახურეს, როდესაც მას შეფარდებული აქვს აღკვეთის ღონისძიება — სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობა?**

სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობის მოქმედების პერიოდში ბრალდებული არ უნდა დაინიშნოს გუშაგად და სხვა პასუხსაგებ განწესში. მას უნდა ჩამოერთვას მშვიდობიან დროში იარაღის ტარების უფლება, არ შეიძლება გაიგზავნოს ნაწილის გარეთ მარტო სამუშაოდ, არ შეიძლება განთავისუფლდეს ნაწილიდან და იმყოფებოდეს მეთაურებისა და უფროსების მეთვალყურეობაში.

24903
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი წლის უომრად შეხვედრა თურმე ქვეყნის პრეზიდენტის სილაჩრე ყოფილა...





„ჩვენ ერთი ნაბიჯი გვაშორებდა ერთ-ერთი დაკარგული ტერიტორიის შემოერთებამდე, რომ არა პრეზიდენტის უუნარობა, სიმხდალე, ხელისუფლების დაკარგვის შიშით შეპყრობილი სააკაშვილის უსუსურობა, მიელო პოლიტიკური და ისტორიული გადაწყვეტილება... ჩვენ არ ვაპირებდით თვითშემოქმედებას ამ საკითხში, ჩვენ არ ვაპირებდით იმ გადაწყვეტილების მიღებას, რაც ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდლის გადასაწყვეტია. ჩვენი თვითშემოქმედება ამ საკითხში, ბუნებრივია, შეარყევდა ქვეყნის სტაბილურობას და ამაზე არ წავიდოდით. მე იმედი მქონდა, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში ის გამოიჩენდა ნებას და მიიღებდა ისტორიულ გადაწყვეტილებას ქვეყნის გამთლიანებისა“ (სტილი დაცულია).

ირაკლი ოქრუაშვილმა ზუსტად ამ სიტყვებით დასდო ბრალი სილაჩრეში საქართველოს პრეზიდენტს და ქვეყნის შეიარაღებული ძალების უმაღლეს მთავარსარდალს მიხეილ სააკაშვილს.

იმ ბრალდებებიდან, რასაც ყოფილი თანამებრძოლი პრეზიდენტ სააკაშვილს 25 სექტემბრის ტელეეთერიდან უყენებდა, ვფიქრობ, ყველაზე მნიშვნელოვანია. ამასთანავე, სწორედ ეს ბრალდებაა გამიზნული უახლოეს მომავალში საპრეზიდენტო არჩევნების წინა პერიოდში თავად ოქრუაშვილის პოლიტიკური რეიტინგის ასამაღლებლად.

ამ ბრალდების შემდეგ საზოგადოების დიდი ნაწილი ალბათ იკითხავს: – თუკი თავდაცვის მინისტრმა არმია გაამზადა ცხინვალის ასაღებად და ამას 2007 წლის დადგომამდე აპირებდა, რატომ შეუშალა ხელი პრეზიდენტმა?

კითხვა სრულიად სამართლიანია, ისევე როგორც მომდევნო: – იყო კი მზად ქართული არმია და მთლიანად ქვეყანა, დაეწყო ფართომასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებები ცხინვალის რეგიონში?

თავდაპირველად, შეიძლება გამართლებოდა თავდაცვის მინისტრს, სპეცდანიშნულების რაზმებს მართლაც აეღოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი ობიექტი ცხინვალში და იქ ქართული დროშა აეფრიალებინათ, მაგრამ რა იქნებოდა შემდეგ, ამაზე თუ ფიქრობდნენ?! 6 აგვისტოს რუსული ბომბდამშენი 70 კმ-ის სიღრმეში შემოგვიფრინდა, რაკეტაც გვესროლა და დაუსჯელად გაფრინდა. ეს მაშინ, როდესაც საჰაერო თავდაცვის სისტემა შედარებით გაძლიერებული იყო.

ერთი წლის წინ კი, თუკი მართლაც დაიძვრებოდნენ ქართული დანაყოფები და ტანკები ცხინვალისკენ, ისინი თითქმის სრულიად დაუცველები იქნებოდნენ. ომს კი ის იგებს, ვინც საჰაერო სივრცეს აკონტროლებს...

რეგიონში აუცილებლად გაჩაღდებოდა ასიმეტრიული, ანუ პარტიზანული ომი და მთელი ქვეყნის ეკონომიკა ომის გამოკვებაზე გადავიდოდა.

ამის სახიფათო ნიშნები ჯერ კიდევ 2004 წლის ზაფხულში გამოჩნდა. სხვათა შორის, იმჟამად შინაგან საქმეთა მინისტრი სწორედ ირაკლი ოქრუაშვილი გახლდათ. რა მივიღეთ მაშინ და რა უფრო დიდი პრობლემები გველოდა, ძნელი წარმოსადგენი არ არის, 19 აგვისტოს პრეზიდენტს ჯარების გამოყვანის ბრძანება რომ არ გაეცა.

პრეზიდენტისა და თავდაცვის მინისტრის აზრები რომ რადიკალურად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან, ნათლად გამოჩნდა 2006 წლის ზაფხულში, რასაც რამდენიმე თვეში მინისტრის დათხოვა მოჰყვა.

სააკაშვილი ოქრუაშვილისგან ლაჩრად მონათვლას ვერ აიტანს და ალბათ ოქრუაშვილსა და მის ყოფილ მოადგილესა და გენშტაბის ყოფილ უფროსს, ლევან ნიკოლეიშვილს გარდასულ ამბებს სულ დაწვრილებით და მკაცრად მოჰკითხავს...

**P.S. ჟურნალი უკვე დასაბეჭდად მზად იყო, როდესაც შევიტყვეთ, რომ თავდაცვის ყოფილი მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი დააკავეს. მას რამდენიმე საკმაოდ მძიმე ბრალდება აქვს წაყენებული.**

**„არსენალში“ არაერთხელ გაგვიკრიტიკებია (და საკმაოდ მკაცრადაც) ოქრუაშვილის გადაწყვეტილებები მისი თავდაცვის მინისტრობისას. დღეს იგი საკანში ზის, ამიტომაც თავს უფლებას არ მივცემთ, გავიხსენოთ მისი ნამოქმედარი, ხოლო მსურველს შეუძლია გაეცნოს „არსენალის“ ძველ ნომრებს.**

*ირაკლი ალადაშვილი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

„გთხოვთ, განგვიმარტოთ, რას წარმოადგენს მობილური სარაკეტო კომპლექსები „პიონერი“ და „ტოპოლი“.

*პატივისცემით ლევან გაბუნია, აბაშის რ-ნი, სოფელი გულუხეთი*

# სტრატეგიული რაკეტები ბორბლებზე



ТОПОЛЬ-М

ბალისტიკური რაკეტა „ფაუ-2“ პირველად გერმანელებმა გამოიყენეს მეორე მსოფლიო ომის მეორე ნახევარში.

იარაღის ახალი სახეობა შიშის ზარს სცემდა დიდი ბრიტანეთის ქალაქებს, მაგრამ ბრიტანელმა პილოტებმა მალევე აღმოაჩინეს „ფაუ-2“-ის სასტარტო რაიონები და მათ გამუდმებით ბომბავდნენ. როგორც აღმოჩნდა, რაკეტების სასტარტო პოზიციების განადგურება არცთუ ისე ძნელი ყოფილა და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სამხედროებმა კონსტრუქტორებს ისეთი რაკეტების შექმნა დაავალეს, რომლებიც სტარტს მიწისქვეშა შახტებიდან აიღებდნენ. შახტებში შენახული ბალისტიკური რაკეტების აღმოჩენა და მათი განადგურება ბევრად უფრო რთული საბრძოლო ამოცანა გახლდათ, ვიდრე მიწისზედა რაკეტის განადგურება.

გავიდა წლები და მოწინააღმდეგე მხარეების შეიარაღებაში გამოჩნდა ზუსტი დამიზნების ბირთვული იარაღი, რომლის მოხვედრისას რაკეტას ველარც შახტის კედლები იცავდნენ.

დღის წესრიგში დადგა მოძრავი პლატფორმიდან ბალისტიკური რაკეტის სტარტის საკითხი, რათა მოწინააღმდეგის დაზვერვას არ ჰქონოდა ზუსტი ინფორმაცია რაკეტის სასტარტო პოზიციაზე.

ჩატარდა გამოცდები ბალისტიკური რაკეტის მძიმე სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავიდან გასაშვებად. პარაშუტი თვითმფრინავის სატვირთო ნაკვეთურიდან „გამოათრევდა“ რაკეტის წაგრძელებულ სხეულს.

რაკეტის პარაშუტით შვეულად დაშვების შემდეგ ირთვებოდა სამარშო ძრავა და რაკეტა ზემოთ აიჭრებოდა. მრავალი სირთულის გამო თვითმფრინავიდან ბალისტიკური რაკეტების სტარტმა არ გაამართლა.

ბალისტიკური რაკეტების სტარტი უფრო შედეგიანი გამოდგა წყალქვეშა ნავებიდან. დღეს მსოფლიოში 5 ქვეყანას – აშშ-ს, რუსეთს, დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთსა და ჩინეთს ჰყავს შეიარაღებაში ბალისტიკური რაკეტებით აღჭურვილი წყალქვეშა ნავები.

საჭირო იყო ისეთი ბალისტიკური რაკეტების მიწისზედა მობილური გასაშვები კომპლექსების შექმნა, რომლებიც მუდმივად შეიცვლიდნენ სასტარტო პოზიციებს, რაც მოწინააღმდეგის დაზვერვას გაუძნელებდა მათ აღმოჩენას.

აშშ-სა და საბჭოთა კავშირშიც ინსტრუქტორები ინტენსიურად მუშაობდნენ სარკინიგზო შემადგენლობებიდან ბალისტიკური რაკეტების გასაშვებად. ამ საქმეში მოსკოვმა ვაშინგტონს ბევრად გაუსწრო წინ და შექმნა ბალისტიკური რაკეტების სარკინიგზო სტარტის სისტემა.

თუმც ბევრად უფრო ეფექტიანი გამოდგა ბალისტიკური რაკეტების ბორბლებზე დაყენება.

ჩვენმა თანამემამულემ აკადემიკოსმა ალექსანდრე ნადირაძემ მოსკოვის სითბოტექნიკის ინსტიტუტში შექმნა მობილური სარაკეტო კომპლექსების რამდენიმე სისტემა, რომელთა შორის ყველაზე ცნობილი გახლდათ საშუალო სიშორის სარაკეტო კომპლექსი РСД-10 ПИОНЕР-ი (NATO-ს კლასიფიკაციით SS-20 Saber) და სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო კომპლექსი РС-12М ТОПОЛЬ-ი (NATO-ს კლასიფიკაციით SS-25 Sicle).

ნადირაძის „პიონერს“ სხვანაირად „ევროპის რისხვასაც“ უწოდებდნენ, რადგან მისი მოქმედების რადიუსში (5000კმ) მთელი ევროპა ხვდებოდა, მით უმეტეს, მას შემდეგ, რაც „პიონერები“ აღმოსავლეთ გერმანიაში განათავსეს.

ექვსღერძიანი მაღალი გამავლობის ავტომობილის თავზე მოთავსებული იყო 16,4 მ სიგრძის 37 ტონა მასის ორსაფეხურიანი ბალისტიკური რაკეტა, რომლის საბრძოლო ნაწილში თავსდებოდა სამი ბირთვული ქობინი, თითოეული მათგანის სიმძლავრე 150 კილოტონა ტროტილის აფეთქების ტოლფასი იყო (იაპონიაში ჩამოგდებული ამერიკული ატომური ბომბების სიმძლავრე დაახლოებით 20 კილოტონას უთანაბრდებოდა).

„პიონერების“ აღმოსავლეთ გერმანიაში განთავსებამ პროვოცირება გაუკეთა ამერიკული „პერშინგ-2“-ების გამოჩენას დასავლეთ გერმანიაში. აქედან სტარტაღებულ „პერშინგ“ 8-10 წუთი თუ სჭირდებოდა მოსკოვამდე მისაღწევად. კრემლი იძულებული გახდა, დაეთმო და საშუალო და ახლო მანძილზე მოქმედი რაკეტების შესახებ ხელშეკრულების თანახმად, „პიონერების“ განადგურება დაიწყო. საპასუხოდ ამერიკელებმა „პერშინგები“ გაანადგურეს.

ნადირაძის მეორე პირმშო – „ტოპოლი“ უკვე თვით ამერიკელების დასაშინებლად შეიქმნა, რადგან ამ სამსაფეხურიანი და 46-ტონიანი რაკეტის ფრენის მაქსიმალური სიშორე 10 ათას კილომეტრს აღწევდა. რაკეტას თავზე ჰქონდა ერთტონიანი ბირთვული ქობინი, რომლის სიმძლავრე 550 კილოტონა ტროტილის აფეთქების ტოლფასი იყო. უფრო მძიმე რაკეტის გამოსაყენებლად უკვე შვიდღერძიანი მძლავრი გამწევი გამოიყენებოდა.

„პიონერისგან“ განსხვავებით „ტოპოლს“ ხანგრძლივი სიცოცხლე ერგო, – ნადირაძისეული „ტოპოლებით“ კრემლი დღესაც ემუქრება მთელ ამერიკას. მეტიც, „ტოპოლის“ გაუმჯობესებული ვარიანტი ТОПОЛЬ-М რუსეთის სტრატეგიული ძალების შეიარაღებაში კიდევ რამდენიმე ათეულ წელს დარჩება.

*ირაკლი ალადაშვილი*



РСД-10 ПИОНЕР

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამხედრო ჰოსპიტალი მშვიდობიან პერიოდშიც „ბრძოლის ხაზთან“ არის ახლოს



ომის ვეტერანებს, მათთან გათანაბრებულ პირებსა და მათი ოჯახის წევრებს უფასო სამედიცინო მომსახურებას მათთვის განკუთვნილ ჰოსპიტალში უწევენ. აქ დერეფნებშიც კი ხალხმრავლობაა, პალატები ხომ სავსეა და სავსე... ერთი დიდი ოჯახივით ცხოვრობენ, ერთმანეთს ნათესავებივით ექცევიან მეომრები და მათი მკურნალი ექიმები, რომლებსაც არც ხელფასი აქვთ ისეთი, რომ სამსახურში მოუხაროდეთ და არც სამუშაო პირობები საუკეთესო. მაინც მოდიან, რადგან აქ თვალებში სევდაჩამდგარი ბიჭები ელიან, რომელთა უმრავლესობა 19-20 წლისა ჩაება საქართველოს მთლიანობისათვის ომში და ბრძოლის ველზე დატოვა ჯანმრთელობაცა და სიცოცხლის ხალისიც. ზოგი სამუდამოდ დარჩა ბრძოლის ველზე, ამიტომ გადარჩენილები არ წუწუნებენ, ჩუმად უმკლავდებიან ტკივილს. ექიმებიც სევდიანები არიან, იმდენის საშუალება რომ არ აქვთ, რამდენის სურვილიც, – ხან მედიკამენტები აკლიათ, ხან აპარატურა სჭირდებათ უკეთესი... მაინც არ ეპუებიან უიმედობას და მეომართა ვაჟკაცობის ამბებს დიდი ხალისით გვიყვებიან. ომში ბრძოლა ხომ ბრძოლაა და ნაკლები არც სიცოცხლისათვის ბრძოლა ყოფილა... ვაჟკაცობა ორივეს სჭირდება.

**ლალი ბარათაშვილი**, მიმღები განყოფილების გამგე:

– არასოდეს დამავიწყდება, ომის წლებში დაჭრილები რომ შემოჰყავდათ. ყველაზე პატარა 19 წლის ბიჭი იყო, აფხაზეთში საომრად გაპარულა და იქიდან მძიმე ტრავმით ჩამოიყვანეს. ყველაზე მეტად ერთი პაციენტი დამამახსოვრდა, ხელის მტევანი ჰქონდა ამპუტირებული. ასეთ დროს გაუსაძლისი ტკივილი აქვთ ხოლმე და გასაყუჩებლად ნარკოტიკი სჭირდებათ. მერე, დიდი შრომა დაგვჭირდა, რომ გადაჩვეულიყო. მანქანით ვაკითხავდი შინ, მომყავდა პროცედურებზე და მერე უკან მიმყავდა. საბედნიეროდ, მიზანს მივაღწიეთ, გადავაჩვიეთ ნარკოტიკის მიღებას.

**მანანა ვერულაშვილი**, ექიმი, სამკურნალო-დიაგნოსტიკური განყოფილების გამგე:

– ჩვენთან უმძიმესი კატეგორიის პაციენტები მოდიან. ომის ჯოჯოხეთი აქვთ გამოვლილი და სერიოზული დაზიანებები აქვთ მიღებული...

მოხუცი ვეტერანები უფრო გაწონასწორებულები არიან, ვიდრე ის ბიჭები, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომები რომ გადაიტანეს. ყველა პაციენტი მახსოვს, მაგრამ ერთი – განსაკუთრებით. მეორე მსოფლიო ომის მონაწილეა, ორივე ხელი იდაყვებთან აქვს ამპუტირებული. ისეთი მარჯვეა, თავად იხდის ტანსაცმელს. პირველად რომ მოვიდა, ვუთხარი, მე დაგეხმარებით-მეთქი. იუარა. გაოცებული შევყურებდი, როგორ იხსნიდა და იკრავდა ღილებს იმ გადაჭრილი ხელებით...

ერთხელ მოსკოვში ვიყავი კვალიფიკაციის ასამაღლებლად და ძველი პაციენტი შემეხმაურა, იქ იწვა საავადმყოფოში. გნახავ-მეთქი, – დავპირდი და საავადმყოფოში მივედი. ერთი გენახათ, რა გახარებული დამატარებდა და ყველას ეუბნებოდა, ეს ჩემი ექიმიაო...

ჩვენთან მართლაც სულ სხვაგვარი ურთიერთობაა ექიმებსა და პაციენტებს შორის, უფრო თბილი, ადამიანური... თუ ყურადღება მოაკლდათ, ბავშვებივით განიცდიან, აღარაფრად გვთვლიანო, – დარდობენ.

**ლეილა ჯიქია**, ფსიქონევროლოგიური განყოფილების გამგე: – ეს ჰოსპიტალი 30 წელია არსებობს. ბევრი რამ მინახავს. დაჭრილთა 80% ქალა-ტვინის ტრავმით შემოდის. ბევრს დეპრესია აქვს და ფსიქიატრის დახმარებაც სჭირდება. ამიტომ პაციენტებს კომპლექსურად ვმკურნალობთ. ბევრი ტკივილს ვაჟკაცურად უძლებს, ერთხელაც არ დაიწუწუნებენ. გახსოვთ, რა წლები იყო? 1993, 1994... ჰოსპიტალში საშინელება ტრიალებდა, დაჭრილებს ავტომატები სასთუმალთან ედოთ. რამდენჯერ ყოფილა კრიტიკული სიტუაცია – რომელიმე პაციენტი ექიმს იარაღს უღერებდა და ნარკოტიკს სთხოვდა, ექიმსაც და ექთანსაც დახვრეტით ემუქრებოდა... მაინც არასოდეს გვიფიქრია, სამსახურში აღარ მოვალთ-მეთქი. ხშირად ბაგებიდან ფეხითაც წამოვსულვარ.

მართალია, მონაწილეები არ ვყოფილვართ იმ ომებისა, მაგრამ ომი ჩვენც ისევე გადავიტანეთ, როგორც იმ ბიჭებმა. ყველას ერთი სადარდებელი გვქონდა – საქართველოს დარდი...

*ლელა ჯიყაშვილი*

# გადაადგილება მთებში

ბევრი საბრძოლო ამოცანის შესრულება დიდადაა დამოკიდებული ჯარისკაცების ბუნებრივი წინააღმდეგობების გადალახვის უნარზე. მებრძოლს უნდა შეეძლოს მთიან ადგილას (გზებზე, ბილიკებზე, კლდეებზე, ხეობებში და ა.შ) დაუბრკოლებლად გადაადგილება, იმ გზის ამორჩევა, რომელიც მალულად და შეუმჩნევლად გაიყვანს მტრის ყველაზე სუსტ წერტილში. ჯარისკაცმა სწრაფად და შეუმჩნევლად უნდა იაროს, მთიანი ადგილების უპირატესობები მარჯვედ გამოიყენოს.
მთიან რაიონებში დისლოცირებული ნაწილები საბრძოლო ამოცანის შესრულებისას, შესაძლოა, უამრავ დაბრკოლებას წააწყდნენ: ბობოქარ მდინარეებს, სხვადასხვა დაქანების მქონე ბალახითა და თოვლით დაფარულ ფერდობებს, მყინვარებს. მთაში გადაადგილება ხშირად მკაცრ კლიმატურ პირობებში უხდებათ. ყოველივე ეს მებრძოლისგან კარგ ფიზიკურ მომზადებას მოითხოვს. მას უნდა შეეძლოს მთაში სწორად ორიენტირება, ბუნებრივი საფრთხეების წინასწარ განჭვრეტა (ზვავი, ქვაცვენა და ა.შ.) და ა.შ.. ის ოფიცრები და ჯარისკაცები, რომელთაც კარგად აქვთ შესწავლილი მთიანი დაბრკოლებების გადალახვის ტექნიკა, ფიზიკური ძალის ნაკლები დაკარგვით ასრულებენ დასახულ ამოცანებს.

## უსაფრთხო გადაადგილების ზომები

მთაში უბედურ შემთხვევათა უმეტესობა ტექნიკის, რომელიც გადაადგილების უსაფრთხოებას უზრუნველყოფს, გამოყენების უცოდინარობის ბრალია. სასურველია, მებრძოლებს გამოუმუშავდეთ თვითდაზღვევისა და დაზღვევის უნარებიც, სპეციალური აღჭურვილობის მარჯვედ მოხმარების ჩვევები.

მებრძოლმა ზედმიწევნით უნდა იცოდეს, რომელ შემთხვევაში და როგორ გამოიყენება დაზღვევისა და თვითდაზღვევის ესა თუ ის ხერხი.

იმ ადგილებში, სადაც მებრძოლს მთის ან კლდის ფერდობიდან ჩამოვარდნა ემუქრება, აუცილებელია თვითდაზღვევის გამოყენება. საამისოდ მეტად საიმედო საშუალებაა ყინულმჭრელი, ალპენშტოკი ან ჩვეულებრივი ჯოხი, დაახლოებით მეტრი მეტრ-ნახევარი სიგრძისა. ყინულმჭრელი მეტად საიმედო დასაყრდენია, მისი მეშვეობით ჭრიან საფეხურებს ყინულში, რაც ციცაბო ფერდობზე დაცემისას თავის შეკავებას უზრუნველყოფს. ყინულმჭრელს თავზე ფოლადის თოხ-წერაქვი აქვს. ხის ტარი, რომელზეც მცოცავი რგოლია ტემლაკით, და მეტალის შტირით ბოლოვდება.

ამავე მიზნისათვის სავსებით ვარგისია პატარა მესანგრის ნიჩაბიც. მისი მეშვეობით შეიძლება ძალზე ციცაბო ფერდობებზე საფეხურების ამოჭრა, კლდეებზე კი ნაპრალში ჩამაგრება და მისი სახელურის საფეხურად გამოყენება ან თოკის გამობმა.

ბალახიან ან ყინულოვან ფერდობებზე გადაადგილებისას თვითდაზღვევა რეკომენდებულია მხოლოდ ყინულმჭრელით. ამ დროს ყინულმჭრელი ან ალპენშტოკი ფერდობისკენ შტირითაა მიმართული, რათა საჭირო მომენტში მებრძოლმა შეძლოს მასზე დაყრდნობა. თოვლში ყინულმჭრელი ვერტიკალურად მაგრდება (თოხ-წერაქვის დონემდე).

დაცემის შემთხვევაში, ანუ მაშინ, როცა თავს ვერ იმაგრებს ყინულმჭრელის შტირით, მებრძოლი ვალდებულია არ შეცვალოს ყინულმჭრელის მდებარეობა და უმოკლესი გზით შემობრუნდეს მუცელზე (სახით ფერდობისკენ) და ერთდროულად ფეხები განზე გასწიოს. ამ დროს ყინულმჭრელის წერაქვი ხელის დაწოლის ძალით ფერდობში ჩაერჭობა, რის შედეგადაც თვითდაჭერა უზრუნველყოფილია.



ეროვნული ბიბლიოთეკა



რთულ მონაკვეთებზე გადაადგილებისას, სადაც საჭიროა ნაკლებმომზადებული და სპეციალური აღჭურვილობით ნაკლებუზრუნველყოფილი ნაწილის სწრაფად და უსაფრთხოდ გადაყვანა, თვითდაზღვევა ე.წ. საჭერი ნასკვით ხდება. მთის ან კლდის კალთაზე პირველად ორი გამოცდილი და სპეციალური მოწყობილობებით აღჭურვილი მებრძოლი ადის. თოკის ერთ ბოლოს ზემოთ ამაგრებენ, მეორეს კი დაბლა ჩაუშვებენ. ძირს დარჩენილი ჯარისკაცები (რომელთაც თან 2,5 მ სიგრძის დამხმარე ზონარი აქვთ) ჩამოშვებულ თოკზე ერთმანეთს სწრაფად მიამაგრებენ დამჭერი ნასკვით და ერთიმეორის მიყოლებით იწყებენ მონაკვეთის დაძლევას.

ძალზე რთულ და საშიშ მონაკვეთებზე ერთდროულად ორი ან სამი ჯარისკაცის გადაბმა შეიძლება, ამ დროს ე.წ. „გამცილებლის“ ნასკვი ან ნასკვი „ბულინი“ გამოიყენება. ორივე მებრძოლის გულმკერდზე კეთდება და დამხმარე ზონრით მაგრდება. ჯარისკაცებს შორის მანძილი 7-8 მეტრს უნდა შეადგენდეს.

რელიეფის სირთულისდა მიხედვით, იოლ მონაკვეთებზე გადაადგილება შეიძლება მთელი შემადგენლობით; რიგრიგობით და ურთიერთდაზღვევით კი რთულ მონაკვეთებზე.

დაზღვევა შეიძლება შემდეგი ხერხებით: ღია ფერდობებზე და ფეხის მოსაკიდებელი მარჯვე ადგილების არსებობის შემთხვევაში – მხრებზე შედგომით; კლდეებზე საიმედო საყრდენის არსებობის შემთხვევაში – შვერილზე ფეხის მოკიდებით; კლდეებსა და ყინულზე – კაუჭის დახმარებით.

ყველა შემთხვევაში, რთულ და სახიფათო მონაკვეთზე მებრძოლები შემდეგი ხერხით უნდა გადაადგილდნენ: სანამ ერთი ჯარისკაცი წინ მიდის, დანარჩენები დგანან და მის დაზღვევას უზრუნველყოფენ. შემდეგ წინ წასული ჩერდება და ასასვლელად გამზადებულ მორიგ ჯარისკაცს მეურვეობს. დამზღვევ ჯარიკაცს საამისოდ უნდა ჰქონდეს თოკის საკმარისი მარაგი (2-3 მ), დასაზღვევის დაცემის შემთხვევაში ბიძგის ძალის შესანელებლად.

ნებისმიერ პირობებში ჯარისკაცი ვალდებულია იპოვოს საიმედო და მოხერხებული ადგილი წინ მიმავალი თანამებრძოლის კარგად დასაზღვევად. ყურადღებით უნდა უთვალთვალებდეს მის მოქმედებას და მზად იყოს ამხანაგის ჩამოვარდნის შემთხვევაში ბიძგისთვის სწორი მიმართულების მისაცემად. ფერდობზე გადაადგილებისას ყველაზე წინ მიდის გაცილებით გამოცდილი, მას უკან მიჰყვებიან ძლიერი და მარჯვე ჯარისკაცები, რომელთაც სხვების დაზღვევა შეუძლიათ.

დაშვებისას ყველაზე გამოცდილი ჯარისკაცი ბოლოს მიდის, მის წინ კი უფრო სუსტი, რომელმაც არ იცის მარშრუტის სწორად ამორჩევა და საიმედო დაზღვევის ორგანიზება.

## მთის მდინარეების გადალახვა

მთის ნაკადები და მდინარეები გადაადგილებისას საკმაოდ დიდ დაბრკოლებას ქმნიან. მთაში ხშირად შეხვდებით პატარა, მაგრამ ბობოქარ მდინარეებს. მთის მდინარეების რეჟიმის შეცვლა (წვიმის ან კოკისპირული წვიმის შედეგად) ძალზე ართულებს ჯარების გადაადგილებას. ამიტომაც მებრძოლმა უნდა იცოდეს მათი გადალახვა.

მთის ბობოქარი მდინარის გადალახვისთვის ყველაზე მარჯვე დროა ადრიანი დილა, საზოგადოდ, დღის პირველი ნახევარი, როცა წყლის დონის აწევის ალბათობა ძალზე მცირეა. როგორც წესი, მთის მდინარე ვიწრო კალაპოტში მიედინება. ცალკეულ მონაკვეთზე კალაპოტი ფართოვდება ან რამდენიმე ნაკადად იყოფა, რაც ამცირებს მდინარის სიღრმეს და დინების სისწრაფეს. შესაბამისად, ასეთ ადგილებში შეიძლება თავთხელის მონახვა. ფონი პატარ-პატარა ჭორომებს ქვემოთ უნდა მოძებნოთ. სასურველია წყლის მშვიდი ზედაპირის შერჩევა, აქ უფრო ნაკლები ალბათობაა იმისა, რომ ფსკერზე დიდ ქვებს შეხვდებით.

მთის მდინარეში თავთხელი უფრო მეტია, ვიდრე ვაკის მდინარეებში. ფონის მოძებნა არც ისე რთულია. მისკენ ხშირად მიგიყვანთ ბილიკები. ფონი შეიძლება მონახოთ მდინარის სიღრმის გაზომვით ან ადგილობრივ მცხოვრებთა დახმარებითაც. გადასვლის ადგილი უნდა შეირჩეს იქ, სადაც ნაკადი ფართოა და დინება მდორე. მთის ნაკადები, რომელთაც თან ქვიშა, ქვა და ხე ბლომად მოჰყვება, გადაადგილებისთვის სახიფათოა. ასეთ დროს რეკომენდებულია ცოტა ხნით დაიცადოთ, სანამ წყალი არ დაიკლებს.

სასურველია, ფონი ორმა კაცმა გადალახოს, ამ დროს ჯარისკაცები ხელიხელჩაკიდებული უნდა იყვნენ. თუ თითო-თითო გადადიან, ჭოკს დაეყრდნონ. პატარა დინების მქონე მთის მდინარეებს ქვედანაყოფები კოლონებად, სამ-ოთხი კაცის შემადგენლობით გადავლენ. დასუსტებულ ან აღჭურვილობით დატვირთულ ჯარისკაცს კოლონის შუაგულში ჩააყენებენ. მთის მდინარე შეიძლება გადალახონ წყვილ-წყვილადაც, ერთმანეთის მხრებზე ხელებშეწყობილებმა, ასევე, წრეზე ჩამდგარმა 5-6-მა კაცმა.

სწრაფდინებიანი მდინარის, ასევე ფონს ტვირთით გასვლისას, რეკომენდებულია უსაფრთხოების მიზნით მდინარეზე გადაიჭიმოს თოკი, რომლის ბოლოები ნაპირებზე ქვებზე დამაგრდება. ამგვარად გაბმულ თოკს როგორც რიკულებს, ისე მიუყვებიან მებრძოლე-

ბი. ქვებზე რომ ფეხები არ დაუშავდეთ, ფეხსახვევები კი მშრალი დარჩეს, ფონს შიშველ ფეხებზე ფეხსაცმელჩაცმული უნდა გადავიდნენ. გადასვლისას ფეხები რაც შეიძლება განზე უნდა გადგან და ფსკერის უსწორმასწორო ადგილები ფეხით ფრთხილად მოსინჯონ.

სწრაფდინებიანი და ღრმა მდინარეები წყალზედა სვლით გადალახეთ. ამისათვის შეგიძლიათ გამოიყენოთ წყლიდან ამოშვერილი ქვები. თუ მდინარის ახლოს ტყეც არის, მებრძოლებს შეუძლიათ გამოიყენონ ერთი ნაპირიდან მეორეზე გადებული ხეები. საამისოდ ნაპირზე უნდა მოინახოს მაღალი ხე და ისე მოიჭრას, რომ წაქცევისას პირდაპირ მდინარეზე გაიხიდოს ან გამოიყენონ გრძელი ჭოკები.

ზამთარში მდინარე შეიძლება გადალახოთ ხიდით, მაგრამ სანამ გადახვიდოდეთ, ხიდის სიმტკიცე უნდა შემოწმდეს. თუ ხიდი საიმედოა, ზედ წყალი მოასხით და დაელოდოთ, სანამ გაიყინება. ხიდზე შეიძლება ხის ტოტების დაწყობაც. ბობოქარი მთის მდინარის გადალახვისას უსაფრთხოების მიზნით ნაპირზე (დინები ქვემოთ) რამდენიმე მაშველი პოსტი უნდა გაკეთდეს. პოსტი რამდენიმე ჯარისკაცისგან უნდა შედგებოდეს, რომლებიც ერთმანეთზე თოკით იქნებიან გადაბმული ისე, რომ ერთ-ერთმა მათგანმა ნაპირიდან მეორე დააზღვიოს, მეორეს კი ნებისმიერ დროს შეეძლოს დაზარალებულის მიშველება. მებრძოლებს უნდა შეეძლოთ არა მარტო ბობოქარი მთის მდინარეების გადალახვა, არამედ მათი წყლების მტრის წინააღმდეგ გამოყენება – მისი ცოცხალი ძალისა და ტექნიკის განადგურება. მებრძოლებმა უნდა იცოდნენ, რომ



მთა-ტყიან ადგილებში შედარებით იოლია წყლის დონის ამაღლება ხეებითა ან ჩამონატანით კალაპოტის ჩახერგვის წყალობით. წყლის დონის ხელოვნურმა ამაღლებამ მტრის ჯარებს შეიძლება ფონზე გადასვლის საშუალება მოუსპოს, ხელს უწყობს ხიდების დანგრევასაც.

## მთის ფერდობებისა და ჩამონაშალის გადალახვა

სხვადასხვა სიმაღლეს, მწვერვალებსა და უღელტეხილებს სხვადასხვა დაქანება აქვს. ზაფხულში ფერდობები უმეტესად დაფარულია ბალახით ან ბუჩქნარით (ზოგჯერ ქვებით ან ჩამონაშალით), ზამთარში კი თოვლითა და ყინულით.



ბალახიან ფერდობებზე, რომელთა დამრეცობა 20 გრადუსზე ნაკლებია, ასვლა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს, მათი დაძლევა პირდაპირ შეიძლება, ფეხების ე.წ. „ნაძვის ხისებური" გადაადგილებით. რაც უფრო დამრეცია ფერდობი, მით მეტი უნდა იყოს კუთხე ტერფებს შორის. ზიგზაგით სვლა ხელსაყრელია იმით, რომ ამ დროს დამრეციანობა მცირდება. ორივე შემთხვევაში ფეხები მთელი ტერფით უნდა ეხებოდეს ფერდობის ზედაპირს. ასვლის შესამსუბუქებლად და ფეხის მყარად მოსაკიდებლად უნდა გამოიყენოთ ფერდობის პატარ-პატარა ოღროჩოღროები (ქვები, ნებისმიერი შვერილი ან ჩაღრმავებები). არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მერყევ ადგილას ფეხის დადგმა, ამას შესაძლოა ჩამოვარდნა ან დაცემა მოჰყვეს.

თუ ფერდობი მოფენილია ქვებით ან ჩამონაშალით, ერთიმეორის მიყოლებით სვლა რეკომენდებული არ არის, რადგან პირველივე ჩამოვარდნილმა ქვამ შეიძლება მებრძოლი დააზიანოს და მწყობრიდან გამოიყვანოს. ასეთ ფერდობებზე უნდა დააყენონ მეთვალყურეები იმისათვის, რომ მათ დროულად გააფრთხილონ თანამებრძოლები.

ბალახიან და მშრალ ფერდობზე მებრძოლს მოცურების საფრთხე ემუქრება. საფრთხე კიდევ უფრო იზრდება სველ ფერდობზე გადაადგილებისას (ნაწვიმარზე, თოვლიან ან გაყინულ კალთებზე).

ნაწვიმარზე ფერდობის ავლისას ჩექმის კიდეებით მომცრო ღრმულები ამოთხარეთ – გრუნტის ეს საფეხურე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი დაგეხმარებათ საყრდენად, იმისათვის, რომ ასვლისას ფეხი არ დაგიცურდეთ.

იმ ადგილებში, სადაც მოსალოდნელია ჩამოვარდნა ან სხვა საფრთხე, მიმართეთ თვითდაზღვევას. ამისათვის გამოდგება ყინულმჭრელი ან ალპენშტოკი. ყინულმჭრელი თვითდაზღვევისთვის მუდამ მზად უნდა გქონდეთ, შტირით ფერდობისკენ. დაცემისას ან ჩამოვარდნისას ყინულმჭრელით ფერდობის გრუნტს მოეჭიდეთ.

ჩამონაშალზე ასვლისას დაზღვევისა და თვითდაზღვევის იგივე ხერხები გამოიყენება, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ გადაადგილებისას ფეხი ფრთხილად უნდა დაადგათ ქვებზე, რათა ჩამონაშალი არ დაძრათ და ქვაცვენა არ გამოიწვიოთ.

თუ ყინულმჭრელი ან ალპენშტოკი არ გაქვთ, თვითდაზღვევისათვის ავტომატი, ნიჩაბი ან მაგარი ჯოხიც (სიგრძით 1,5მ) გამოდგება.

ბალახიანი ფერდობების გადალახვისას გამოიყენება ე.წ. „კატები“, რომლებსაც ფეხსაცმელებზე ჩამოიცვამენ. თუ „კატები“ არ აქვთ, მაშინ ფეხზე თოკს შემოიხვევენ (ისე, ზვავსაშიშ ადგილებს სასურველია გვერდი აუარონ).



ჩამონაშალიან ფერდობზე გადაადგილებისას თვითდაზღვევისა და დაზღვევის იგივე ხერხები გამოიყენება, რაც ბალახიან ფერდობზე, მაგრამ ჩამონაშალიან ფერდობზე სვლას ართულებს ის, რომ გრუნტიანი ღორღი სხეულის სიმძიმეს ვერ უძლებს და მებრძოლს ფეხქვეშ ეცლება. ეს საშიშია სხვა მხრივაც, — ქვაცვენის ხმა მტრის ყურამდე მიაღწევს და თქვენ აღმოგაჩენენ. ასე რომ, სანამ ფეხს დაადგამდეთ, კარგად შეამოწმეთ ქვების სიმყარე. ჩამონაშალიან ფერდობზე ქვედანაყოფი თითო-თითოდ ან კოლონებად, მწყობრად მიდის. მებრძოლებს შორის დისტანცია 1-2 მ-ს უნდა აღწევდეს. წვრილ ჩამონაშალზე სიარულისას სწრაფი ნაბიჯებით უნდა იაროთ, არ უნდა დაუცადოთ, სანამ ჩამონაშალი გაჩერდება. ჩამონაშალიანი რთული მონაკვეთები სასურველია ერთ წყებად, თოკით გადაბმულებმა გადალახოთ.

## მთის გზები და ბილიკები

მთის ბილიკები უმეტესად ბალახითა და ბუჩქნარით დაფარულ, ტყიან, ზოგჯერ კი სავსებით ხრიოკ ადგილას გადის (მათზე მხოლოდ ქვები და ჩამონაშალია). გადაადგილების სისწრაფე დამოკიდებულია ფერდობის დამრეციანობაზე, მასზე სხვადასხვა დაბრკოლების არსებობაზე, ასევე ამინდსა და წლის დროზე.

მთის ბილიკებზე გასვლისას აუცილებლად უნდა დაიცვათ აბსოლუტური სიფრთხილე და ეცადოთ, ფეხი არ დააბიჯოთ არამყარად დაგდებულ ქვებზე. რაც უფრო ციცაბოა ბილიკი, მით ნელი სვლაა საჭირო (განსაკუთრებით დაბლა დაშვებისას). თუ ვაკე ადგილას კაცი წუთში 120 ნაბიჯს აკეთებს, მთაში, ციცაბო ფერდობებზე, 60-80 ნაბიჯს დგამს წუთში, სამაგიეროდ, სიარულისას არ უნდა დაარღვიოს სუნთქვის რიტმი. მებრძოლებს შორის დისტანცია დამოკიდებულია ფერდობის დამრეციანობაზე. რაც უფრო ციცაბოა ფერდობი, მით დიდი უნდა იყოს დისტანცია, საშუალოდ უნდა 1-დან 5 მ-მდე.

წვიმა, თოვლი და ყინვა ხშირად აუარესებს მთის ბილიკებზე სვლას. ასეთ პირობებში კიდევ მეტი სიფრთხილეა საჭირო, დისტანციაც ორმაგდება და დაზღვევისა და თვითდაზღვევის ზომებს მიმართავენ.

ძნელად მისაგნები გასასვლელები და ბილიკები ჩვეულებრივ მწყემსებმა და მონადირეებმა იციან. თუ ჯარებს მოქმედება მტრის ტერიტორიაზე უწევთ, სასურველია, მთის ბილიკების მისაგნებად გამცილებლებად მწყემსები და მონადირეები გამოიყენონ.

მტრის მოწინავე პოზიციებთან ახლოს და მათი გადაადგილების მონაკვეთში, მთის ბილიკებსა და გზებზე სიარული სახიფათოა. მტერი არა მარტო გაძლიერებულად უთვალთვალებს თითოეულ მათგანს, არამედ ჯვარედინ ცეცხლში ჰყავს მოქცეული ახლომახლო ადგილები, აგებს ძოტებს და ა.შ. გარდა ამისა, მტერს დაწვრილებით აქვს შესწავლილი მთის ბილიკები და გზები, რომელთა გამოყენება მის მოწინააღმდეგესაც შეუძლია. ამიტომაც სასურველია ბილიკებსა და გზებს გვერდი აუაროთ და მთის ფერდობებითა და ხეობებით, მტრისთვის უცნობი ბილიკებით იაროთ. გადაადგილებისას რომ მტრის ჩასაფრებას თავი დააღწიოთ, გაძლიერებული სიფრთხილეა საჭირო.

ვიწროებში გასვლა მათი წინასწარი შემოწმების შემდეგაა რეკომენდებული. არ არის სასურველი იმ მარშრუტის არჩევა, რომელიც მოკლე და იოლად დასაძლევი ჩანს. მზვერავებმა ყველაზე რთული მარშრუტით უნდა იარონ, რომელიც ციცაბო კლდეებზე, ხევებსა და ტყეებზე გადის. სწორედ ასეთი გზაა ყველაზე უსაფრთხო და დავალების შესასრულებლად ეფექტიანი, მზვერავები გავლენ იქ, სადაც მათ მტერი სულ არ ელის.

როგორ უნდა იპოვოს მებრძოლმა ბილიკი, რომელიც რუკაზე არ არის აღნიშნული? საამისოდ კარგად უნდა შეისწავლოს ხეობა და გზად შეხვედრილი ნაკადულების ნაპირები. იქ აუცილებლად იპოვის გზას ან მონადირის ბილიკს, რომლითაც ადგილობრივი მცხოვრებნი დადიან მთაში. ბილიკი იმ ადგილებშიც უნდა მონახოს, სადაც ტყეს ჩეხენ. თუკი აქედან ხეტყე გააქვთ, ე.ი. გზა ან ბილიკი აუცილებლად იქვე უნდა იყოს.

თუ წინა დღეს წვიმდა, ნაკადულთან ნაკვალევი კი ჯერაც ახალია, ე.ი. მას სწორედ ამ დღეს მიუახლოვდნენ. ქვიშაზე ჩექმის ლურსმნებისა და ნალების ნაკვალევით უშეცდომოდ შეიძლება განსაზღვრა, გაიარა აქ თუ არა მოწინააღმდეგემ. ამიტომაც სასურველია მტრის ჩაცმულობას კარგად იცნობდეთ. გარდა ამისა, კვალის კარგად წაკითხვა მტრის რაოდენობაზეც მიგითითებთ და მის ადგილმდებარეობაზეც.



# უპილოტო საფრენი აპარატები დაზვერვის შემდეგ ბრძოლას სწავლობენ

პილოტებო, ყველა ქვეყნისა, მალე საბრძოლო თვითმფრინავებისა და შვეულმფრენების მართვა მიწიდან, კომპიუტერით მოგიწევთ!

უპილოტო თვითმფრინავები და შვეულმფრენები დღეს აღარავის აოცებს. უპილოტო საფრენმა აპარატებმა ბოლო 10-15 წელია, მყარად დაიმკვიდრა ადგილი სხვადასხვა ქვეყნის არმიებში. უპილოტო თვითმფრინავები და შვეულმფრენები ავღანეთსა და ერაყის თავზე სადაზვერვო ინფორმაციას ყოველდღიურად აგროვებენ. მანამდე მათ არცთუ ისე ხშირად იყენებდნენ ყოფილი იუგოსლავიისა და ჩეჩნეთის კონფლიქტებშიც. უპილოტო სადაზვერვო საფრენი აპარატი პირდაპირ მისწრებაა იმ ქვეყნის არმიის მეთაურებისთვის, რომლებიც უფრთხილდებიან თავიანთი პილოტების სიცოცხლეს. რაც უნდა ძვირად ღირებული უპილოტო თვითმფრინავი ჩამოგიგდოს მოწინააღმდეგემ, გული ნაკლებად დაგწყდება, რადგან ამას შენი თანამებრძოლის სიცოცხლე არ შეეწირება.

უპილოტო საფრენმა აპარატებმა ისე



X-45



მოდერნიზებული უპილოტო „პრედატორს“ სერიოზული შეიარაღება მიაქვს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაამართლა სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვების საქმეში, რომ სამხედროებმა მათი წმინდა საბრძოლო მიზნებისთვის გამოყენება გადაწყვიტეს.

ერთ-ერთი პირველი უპილოტო სადაზვერვო თვითმფრინავი RQ-1 Predator-ი იყო, რომელსაც ფრთებზე თითო-თითო მართვადი ტანკსაწინააღმდეგო რაკეტა AGM-114 Hellfire ჩამოჰკიდეს.

მიწიდან მართვადმა უპილოტო „პრედატორმა“ „ჰელფაიერით“ მიზანი ზუსტად დააზიანა. ამის შემდეგ ამერიკელებმა „პრედატორის“ მოდიფიკაციაზე MQ-9 „რიპერზე“ მთელი არსენალი დააყენეს – 16 „ჰელფაიერი“, ოთხი მართვადი ბომბი GBU-38 ან ექვსი ასეთივე ბომბი GBU-12.

ეს შეიარაღება განკუთვნილია, ძირითადად, სახმელეთო და წყალზედა მიზნების დასაზიანებლად, საჰაერო მოწინააღმდეგის ჩამოსაგდებად კი „რიპერს“ აიარაღებენ „ჰაერი-ჰაერი“ კლასის ახლო (AIM-120) სიშორის მართვადი რაკეტებით.

შეიარაღებულ უპილოტო სადაზვერვო „პრედატორებსა“ და „რიპერებს“ ამერიკული არმიის მეთაურობა ხშირად იყენებს ერაყსა და ავღანეთში. უპილოტო თვითმფრინავები 24 საათის განმავლობაში მიწაზე დაუჯდომლად და საწვავის მარაგის შეუვსებლად ბარაჟირებენ რამდენიმე კილომეტრის სიმაღლეზე. როგორც კი სადაზვერვო აპარატურით (მაგალითად, „პრედატორზე“ დაყენებულია ორი ციფრული ფერადი სატელევიზიო, ასევე ინფრაწითელი კამერები და სპეციალური რადიოლოკატორი) აღმოაჩენენ „ალ-ქაიდას“ ან „თალიბების“ შეიარაღებულ რაზმებს, ოპერატორ-პილოტის ბრძანებისთანავე მიზნისკენ მართვად რაკეტებს უშვებენ. ეს


უპილოტო X-45 და მართვადი ბომბებისა და რაკეტების ის არსენალი, რომელიც მის შეიარაღებაშია


ექვსი წლის წინ ისრაელის ფირმა EMIT-მა ეს უპილოტო სადაზვერვო თვითმფრინავი თბილისის საავიაციო ქარხნის ანგარში გამოიფინა


GBU-38


GBU-12



მიმდინარეობს X-45A-ს აწყობა

მეთოდი დღემდე გამოიყენება მოუხელთებელი ბინ ლადენის აღმოსაჩენად. ერთხელ „პრედატორმა" ავღანეთ-პაკისტანის საზღვარზე, მთებში, მართლაც დააფიქსირა თითქმის ორმეტრიანი ბინ ლადენის მსგავსი ფიგურა და რაკეტაც ესროლა, მაგრამ მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ ბინ ლადენის ფიზიკურ მსგავსებას მისი ორეული შეეწირა.



უკვე დაწყებულია გამოცდები „რიპერის" მიერ თვითდამიზნებადი საავიაციო დაზიანების საშუალებების BAT (Brilliant Anti-Tank)-ისა და Viper Srike-ს გამოსაყენებლად. პირველი მათგანი აღჭურვილია ინფრაწითელი და აკუსტიკური დამიზნების საშუალებით. როდესაც უპილოტო „რიპერი" BAT-ს ჩამოაგდებს, ეს უკანასკნელი ჯერ აკუსტიკური მოწყობილობის მეშვეობით აღმოაჩენს ძრავაჩართული და მოძრავი ჯავშნიანი საბრძოლო ტექნიკის ადგილსამყოფელს, შემდეგ კი ინფრაწითელი დამიზნების სისტემა ტანკის ან ჯავშანმანქანის ძრავასკენ ზუსტად მიმართავს BAT-ს. Viper Srike-ი იგივე BAT-აა, თუმცა დამიზნების ორი, ინფრაწითელი და აკუსტიკური სისტემის ნაცვლად მხოლოდ ერთი — ნახევრად აქტიური ლაზერული დამიზნების მოწყობილობა აქვს დაყენებული.

რაც უნდა ულტრათანამედროვე საავიაციო დაზიანების საშუალებები დაუყენო ტურბოხრახნიანი ძრავას მქონე „პრედატორსა" და „რიპერს", მას მომავალი მაინც არ აქვს. ამიტომაც ამერიკელმა ინჟინრებმა შექმნეს „სტელსის" კონცეფციით დაპროექტებული უპილოტო X-45, რომელიც გამოირჩევა როგორც დიდი სიჩქარით, ისე ძლიერი შეიარაღებით.

ეტყობა, მომავლის საბრძოლო ავიაცია, ძირითადად, უპილოტო იქნება, რადგან საზენიტო-სარაკეტო კომპლექსების სწრაფი განვითარების ეპოქაში ნაკლებად გაწირავენ პროფესიონალი პილოტის სიცოცხლეს.

საქართველოს რეალობიდან გამომდინარე, ჯერ ნაადრევია ფიქრი საბრძოლო უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენებაზე, მაგრამ არავინ გვიშლის ხელს ავითვისოთ სადაზვერვო უპილოტო თვითმფრინავებით ეფექტიანად მოქმედების ტაქტიკა. მათ მიერ მოპოვებული და დროულად გადმოცემული სადაზვერვო ვიდეოკადრები დიდად დაეხმარება ქართველ სამხედროებს ამა თუ იმ ოპერაციის დაგეგმვასა და ჩატარებაში.

*ირაკლი ალადაშვილი*





უპილოტო საფრენი აპარატის მართვა ასეთი მობილური ცენტრებიდან, ჯოისტიკის მეშვეობით ხდება

არსენალი


EXPERIMENTAL
NASA
N8172V
GENERAL ATOMICS AERONAUTICAL SYSTEMS
ALTAIR

# კომანდოსის დაბადება:

## მითი და რეალობა

*„ტყვიის სტვენის ხმა გავიგონე. დამიჯერეთ, რაღაც მომხიბვლელიც არის ამ ხმაში".*

*ჯორჯ ვაშინგტონი*



განმარტებითი და სამხედრო ლექსიკონთა უმრავლესობა ასე განმარტავს სიტყვა „კომანდოსს“: „სადაზვერვო, სადივერსიო-სადესანტო ჯგუფი; ან ამავე სადაზვერვო სადივერსიო-სადაზვერვო ჯგუფის წევრი“, მაგრამ იციან კი მათ, ვინც ეს სიტყვა ასე განმარტა, რა იმალება მის მიღმა ან როგორ წარმოიშვა იგი?

ტერმინი „კომანდოსი“ სამხედროების ლექსიკონში მეოცე საუკუნის ორმოციან წლებში გაჩნდა, როცა დიდი ბრიტანეთის შეიარაღებულ ძალებში პირველი საგანგებო ქვედანაყოფების ჩამოყალიბება დაიწყეს. მათი შექმნის ინიციატორი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი უინსტონ ჩერჩილი გახლდათ. აი, რას სწერდა ის მინისტრ ენტონი იდენს: „შემექმნა შთაბეჭდილება, რომ გერმანია სწორად მოიქცა, როცა პირველი მსოფლიო ომის დროს და ახლაც განსაკუთრებული მოიერიშე ქვედანაყოფები გამოიყენა... საფრანგეთი დაამარცხეს არაპროპორციულად მცირე, კარგად შეიარაღებულმა და საგანგებოდ გაწვრთნილმა შენაერთებმა“.

1940 წლის ზაფხულში უინსტონ ჩერჩილმა მაღალი რანგის სამხედრო ხელმძღვანელებს უბრძანა საგანგებო ნაწილების ფორმირება, რომლებიც თავიდან მტრის ზურგში დივერსიების მოსაწყობად და პარტიზანული ომის საწარმოებლად იქნებოდნენ გამიზნული. ასეთ ქვედანაყოფებს ოფიციალურად „საგანგებო სამსახურის ბატალიონებს“ უწოდებდნენ. თუმცა თავად პირველი საგანგებო ნაწილების შემადგენლობაში უცებ ამოტივტივდა სიტყვა – „ცომმანდოს“. როგორც მოგვიანებით გაირკვა, მისი ავტორი დიდი ბრიტანეთის სამხედრო სამინისტროს ოფიცერი, წარმოშობით სამხრეთაფრიკელი პოდპოლკოვნიკი დალი კლარკი აღმოჩნდა. იგი საგანგებო სამსახურის ბატალიონის მებრძოლებს გატაცებით ამცნობდა 1899-1902 წლის ინგლის-ბურების ომის დროს „კომანდოსში“ გაერთიანებული ლეგენდარული ბური პარტიზანების ბრძოლის ხერხებსა და ტაქტიკას. სამხრეთაფრიკელის რომანტიკულმა ნაამბობმა ბევრი მებრძოლი გაიტაცა, უმეტესობას სახელწოდება „კომანდოსიც“ მოეწონა.

**ინფორმაციის თემაზე**

მე-19 საუკუნის დასასრულსა და მე-20 საუკუნის ოცდაათიან წლებამდე საქართველოში ცხოვრობდა ერთი გამორჩეული, ტანადი და სახიერი კაცი, რომელსაც ნიკო ბურს ეძახდნენ. ბევრმა არ იცოდა, რატომ შეერქვა ეს სახელი გიორგი ბაგრატიონ-მუხრანელისა და ეკატერინე მესხიშვილის დიდ ოჯახში (მათ 15 შვილი, 14 ვაჟი და 1 ქალი ჰყავდათ) 1868 წელს დაბადებულ ნიკო ბაგრატიონ-მუხრანელს, არც სიტყვა „ბურის“ მნიშვნელობა იცოდა ბევრმა.

„მე მოგზაურობა და თავგადასავლები მიტაცებდა, – ამბობს თავის წიგნში ნიკო ბური, – ჯერ პარიზს გავემგზავრე, შემდეგ მარსელიდან ალექსანდრიაში, აფრიკაში ლომებზე სანადიროდ...“

ლომებზე სანადიროდ ჩასულმა ბაგრატიონმა გაიგო, რომ აფრიკის სამხრეთში, ჰოლანდიიდან, საფრანგეთიდან და გერმანიიდან გადასახლებულ მოახალშენეთა, ე.წ. ბურების (გლეხების ანუ ფერმერების) ქვეყანას, ძლევამოსილმა ბრიტანეთის გაერთიანებულმა სამეფომ ომი გამოუცხადა. „საპყრობილედ“ წოდებული რუსეთის იმპერიის მოქალაქემ სამართლიანი და რაინდული გადაწყვეტილება მიიღო: „უყოყმანოდ გულში ამოვიჭერი დავხმარებოდი მცირერიცხოვან ხალხს, რომელსაც ინგლისი მოსპობას უქადდა... ბურების მდგომარეობა როგორღაც მაგონებდა ჩემს სამშობლოს და მწამდა, თუ შევებრძოლებოდი მათ მტრებს, მე ამით სამაგიეროს გადავუხდიდი ჩემი სამშობლოს მტრებსაც. ჩემთვის ყველა დამპყრობელი, მოძალადე ერთიანად საძულველი იყო და ყოველთვის გული მიმიწევდა დავხმარებოდი დაჩაგრულს“.

ნიკო პრეტორიაში ჩავიდა და მოხუც



ნიკო ბაგრატიონი (ბური)

## დასცხე და გაასწარი

ბევრს სმენია ასეთი გამოთქმა: „ერთი ანთებული ასანთიდან მესამე არ უკიდებს“, მაგრამ ზოგიერთმა თუ იცს, რომ იგი ინგლის-ბურების 1899-1902 წლის ომის დროს გაჩნდა. ეს გამოთქმა ბრიტანეთის კოლონიური არმიის, „წითელი მუნდირების“ ჯარისკაცების მწარე ხუმრობა იყო. ისინი ამბობდნენ, როცა თამბაქოს პირველი მწეველი ასანთს გაჰკრავს, ჩასაფრებული ბური შაშხანას შემართავს, როცა ანთებული ასანთიდან მეორე უკიდებს, ბური უმიზნებს, ხოლო როცა მესამე უკიდებს, ბური ისვრისო. ისვრის და ზუსტად ახვედრებს მიზანს და მესამე ვერ უკიდებს, უბრალოდ, ვერ ასწრებს ამას.

ბურების (ჰოლანდიურად – გლეხი, ფერმერი) სამხრეთ აფრიკაში გადასახლებულ პირველ ევროპელთა შთამომავლების, სროლის სისწრაფისა და სიზუსტის შესახებ ლეგენდებს ჰყვებოდნენ. მათ არა მარტო ასანთის რამდენიმეწამიანი გაელვების მიხედვით ზუსტი სროლა, არამედ კუნაპეტ სიბნელეში, ორიენტაციით მიზანში მოხვედრა შეუძლიათ. თითოეული ზრდასრული გლეხი, რომელსაც იარაღის ტარება შეეძლო, ნაღდი სნაიპერი იყო, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ზულუსი მეომრების ნადავლი შეიქნებოდა. ბურები ერთმანეთს უხამებდნენ იარაღის შესაშურ პოზიციურ ფლობასა და ზუსტ სროლას მიმავალი ცხენებიდან და ოთხთვალებიდან. სამხრეთ აფრიკის თეთრკანიანი მოახალშენეები ყოველდღიურმა ხიფათმა გამოაწრთო, ყოველი ღამე მათ უამრავ საშიშროებას უქმნიდა ცალკე ზულუსების (აფრიკული აბორიგენი ტომი) და ცალკე სისხლსმოწყურებული მტაცებლების სახით. იძულებულნი იყვნენ სულ ახალ-ახალი საშუალებები ეძებნათ თავის გადასარჩენად. ბურები პირველები იყვნენ მათ შორის, რომლებმაც ყურადღება მიაქციეს შენიღბვის მნიშვნელობას. ისინი ნამდვილი მონადირეები იყვნენ, მათი მიზანი კი ხან მტაცებელი ცხოველი იყო, ხან – ადამიანი. ბურები მზვერავებად იბადებოდნენ. ფრანგი ოფიცერი გილერგასი წერდა: „ბური საუკეთესო მზვერავია, რადგან მან კარგად იცის თავისი სამშობლო, მისი ადგილმდებარეობანი, ამიტომ თვალი უფრო მახვილი და გამჭრიახი აქვს, ვიდრე მის მოწინააღმდეგეს. სამხრეთ აფრიკის ჰაერი ერთობ სუფთა და გამჭვირვალეა, ყველას შეუძლია შორ მანძილზე საგნის დანახვა, მაგრამ მხოლოდ ბურს შეუძლია გაარჩიოს შორ მანძილზე ინგლისელი ჩვეულებრივი ობივატელისგან.

პირველი ევროპელი მოახალშენეები, ძირითადად, ჰოლანდიელები, ასევე გერმანელები და ფრანგები აფრიკის სამხრეთში ჯერ კიდევ 1652 წელს გამოჩნდნენ. ერთხანს მათი სახით ცალკე ეთნიკური ჯგუფი – ბურები (აფრიკანერები) ჩამოყალიბდა, რომელთაც საკუთარი ენა – აფრიკაანსი ჰქონდათ.

თავიანთი დასახლებების ზულუსებისა და მხეცებისგან დასაცავად ბურებმა საგანგებო რაზმების შექმნა დაიწყეს, რომელთაც „კომანდო“ უწოდეს. რაზმები გამოცდილი და სამხედრო საქმეში დახელოვნებული გლეხებისგან შედგებოდა. ისტორიამ სამხრეთაფრიკული კომანდოს პირველი ბრძოლის აღწერა შემოგვინახა. ეს 1816 წელს მოხდა. ბლომფოლტაიმში, ზულუსებისგან თავის დასაცავად, შეიქმნა 135 ყველაზე გამოცდილი და გამობრძმედილი გლეხისგან შემდგარი რაზმი. ისინი არაერთხელ შესჭიდებან ადგილობრივ ტომებს. ამ წელს მათ აბორიგენთა მთელ არმიასთან მოუხდათ შეჯახება. აფრიკელებმა შუბებით შეიარაღებული 12 ათასი მეომრის შეგროვება მოახერხეს. ბურები შაშხანებით იყვნენ აღჭურვილი და სხვა მნიშვნელოვანი უპირატესობაც ჰქონდათ – ცხენებზე ისხდნენ. მიუხედავად იმისა, რომ რაოდენობრივად წარმოუდგენელი უპირატესობა ჰქონდა მოწინააღმდეგეს, ბურები არ შედრკნენ და ბრძოლაში ჩაებნენ.

მოწინააღმდეგეები მეფეკინგის ახლოს, მდინარე მარიკოსთან შეებნენ ერთმანეთს. ბურებმა ისე ოსტატურად გამოიყენეს თავიანთი უპირატესობა, შეიარაღება და გადაადგილების სისწრაფე – რომ რამდენიმე საათის განმავლობაში აფრიკელი მეომრების ერთი მესამედი გამოიყვანეს მწყობრიდან.

მათი ტაქტიკა ასეთი იყო: ტანდაბალ და გამძლე ცხენებზე ამხედრებული ბურები, რომლებიც საუცხოოდ ისროდნენ მოძრაობის დროსაც, გრძელ რიგად ეწყობოდნენ ბრძოლის ველზე და უცებ გადადიოდნენ შეტევაზე. ცხენების ფლოქვების თქარუნი, ავარდნილი მტვერი, მეომრების საბრძოლო შეძახილები აბორიგენთა რიგებში არეულობას იწვევდა. როცა მტერს შუბის სატყორცნელ მანძილზე მიუახლოვდებოდნენ, ბურები ერთბაშად შეაჩერებდნენ ცხენებს, რასაც თოფების ერთობლივი ზალპი მოჰყვებოდა, შემდეგ კი, სანამ ზულუსები გონს მოვიდოდნენ და შუბს შემართავდნენ, დაუყოვნებლივ იხევდნენ უკან. გაწბილებული აბორიგენები ბურებს ვერ ეწეოდნენ. როცა დევნა შეწყდებოდა, ბურები კვლავ საომარ რიგად ეწყობოდნენ და ისევ შეტევაზე გადადიოდნენ. ამ ტაქტიკის წყალობით ბურები ერთბაშად რამდენიმე მიზანს აღწევდნენ: ზულუსი მეომრების უმრავლესობა უიარაღოდ რჩებოდა, რადგან ნატყორცნი შუბების აღებას ვერ ასწრებდა. რამდენიმე ასეული მეტრის გარბენის მერე აბორიგენები იღლებოდნენ და მომდევნო შეტევის დროს შუბის სატყორცნელი ღონე



ახალგაზრდა უინსტონ ჩერჩილი

პრეზიდენტ პაულუს კრიუგერს წარუდგა, რომელსაც არაფერი სმენოდა საქართველოს და ქართველების შესახებ. ნიკოს სთავაზობდნენ ფულს, მამულებს, მაგრამ ქართველმა რაინდმა განაცხადა, რომ ყოველგვარი ანგარების გარეშე აპირებდა დახმარებოდა თავისუფლებისმოყვარე, მცირერიცხოვან ხალხს.

ინტერნაციონალურ პოლკში ვოლონტიერად ჩარიცხული ბაგრატიონი ინგლისელებთან უთანასწორო ბრძოლაში ჩაება. „ბურები მედგრად იბრძოდნენ და ბრძოლისას მტრის დანდობა არ სჩვეოდათ, მაგრამ ტყვედ ჩავარდნილ ინგლისელებს საოცარი გულთბილობით ეპყრობოდნენ, აპურებდნენ და შემდეგ ათავისუფლებდნენ. ასევე მოექცნენ ბურები დატყვევებულ ახალგაზრდა უინსტონ ჩერჩილსაც – მომიყვანეს რამდენიმე ინგლისელი, ერთი მათგანი იყო წითელლოყებიანი, 20-25 წლის ოფიცერი, იგი ჰერცოგის შთამომავალი აღმოჩნდა. დედამისი ამერიკელი ჟურნალისტის, „ნიუ-იორკ თაიმსის“ პატრონის ჯერომის ქალი ყოფილიყო. ახალგაზრდა სამხედრო კორესპონდენტს ბედმა არ გაუღიმა და პირველსავე ბრძოლაში ტყვედ ჩავარდა.“ მიუხედავად იმისა, რომ ბურები ტყვეებს თავაზიანად ექცეოდნენ, ლოყაწითელა დიდგვაროვანს პრეტენზია გამოუთქვამს, აქაოდა ჰერცოგი მალბორო გახლავართ და ისე მომექეცით, როგორც ჩემს მაღალკეთილშობილებას შეჰფერისო. ამაზე ბურების ოფიცერს უპასუხია: ჰერცოგო, თუ მიგაჩნიათ, რომ მდაბიო ხალხთან ურთიერთობა შეურაცხყოფს თქვენს ღირსებას და გარემოებათა აუცილებლობა მოითხოვს თქვენი უმაღლესობის პატივმოყვარეობის დაკმაყოფილებას, მაშინ ჩვენ იძულებულნი გავხდებით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღარ ჰქონდათ. და ბოლოს, „მოქცევა-მიქცევა“ ტემპის დროს აბორიგენთა არმია ერთმანეთში ირეოდა და საბრძოლო განლაგებას და მართვადობას კარგავდა. საბოლოოდ 12 ათასი ზულუსი მეომრისგან შემდგარი არმია 135-მა ბურმა ცხვრის ფარასავით დაფანტა, მათი საუკეთესო მეომრები და ბელადები კი ამოხოცა. ბურების 135 მეომრიდან კი არც ერთი არ დაჭრილა. შემდგომ ბურების ამ ტაქტიკას ინგლისელებმა „Hit and run“ – „დასცხე და გაიქეცი“ უწოდეს.

## „მტაცებელი ფრინველების ბუდის“ ძებნაში

1877 წელს ძლევამოსილმა ბრიტანეთის იმპერიამ სამხრეთ აფრიკის მთელი ტერიტორია ბრიტანეთის საკუთრებად გამოაცხადა. თავისუფლებისმოყვარე ბურები ოკუპაციის მოლოდინში გაერთიანდნენ და აჯანყდნენ. როგორც თვითმხილველი წერდა, „თითოეულმა ფერმამ თავისი მეომარი გამოიყვანა“. გამობრძმედილმა მონადირეებმა და ჩუბინმა მსროლელებმა კომანდოს რაზმების ფორმირება დაიწყეს. პირველივე შეტაკებისას ჩასაფრებულმა და ოსტატურად შენიღბულმა ბური სნაიპერების მცირერიცხოვანმა ჯგუფმა ბრიტანელი კოლონიალების არმიის ოთხასი რჩეული მსროლელი გაანადგურა. ეს ბრძოლა მაჯუბა-ჰილთან მოხდა.

ინგლისელები მალე მიხვდნენ, რომ იმ ტაქტიკით, რომლითაც ისინი იბრძოდნენ, ბურებს ვერას დააკლებდნენ და დროის მოსაგებად, 1881 წლის მარტში, ბრძოლა შეწყვიტეს, რის შემდეგაც ბრიტანულ ადმინისტრაციასა და ბურებს შორის სამშვიდობო ზავი დაიდო. ბურებს დამოუკიდებელი რესპუბლიკების – ორანჟისა და ტრანსვაალის დაარსების უფლება მიეცათ.

სწორედ ამ პერიოდში მიიღო კომანდოსმა ნახევრად რეგულარული საჯარისო ფორმირებების ოფიციალური სტატუსი.

კანონით, შეიარაღებული ფორმირებების (კომანდოს) წევრებს შეკრებებზე მოუხმობდნენ „ქვეყანაში საშინაო არეულობების ჩასახშობად და გარეშე მტრის თავდასხმისას სამშობლოს დასაცავად“. თითოეული ბური ვალდებული იყო შესაკრებ პუნქტში იარაღითა და აღჭურვილობით გამოცხადებულიყო. გამონაკლისი მხოლოდ უკიდურესად ღარიბებისთვის იყო დაშვებული. იარაღისა და აღჭურვილობის გარდა ბურს თან უნდა ჰქონოდა საკვების მარაგი, ამის გარდა აუცილებელი იყო ცხენიც. ბევრი მებრძოლი სანოვაგითა და აღჭურვილობით, ჯორებშებმული ოთხთვალებით ცხადდებოდა შესაკრებ პუნქტებში.

ინგლის-ბურების მეორე ომი 1899 წელს დაიწყო, ბრიტანელებს დრო არ დაუკარგავთ, ისინი საფუძვლიანად მოემზადნენ: სამხრეთ აფრიკაში მათ გადაისროლეს მეტროპოლიისა და კოლონიების – კანადის, ავსტრალიის, მალაიზიის და როდეზიის პოლკები. მიუხედავად ამისა, მათ თავიდან რამდენიმე დამარცხება იწვნიეს. უმთავრესად ფსიქოლოგიური განწყობის გამო: კარგად გაწვრთნილი და ტაქტიკურად მომზადებული კოლონიური არმიის ჯარისკაცები და ოფიცრები სერიოზულ მოწინააღმდეგეებად ვერ აღიქვამდნენ ცხენზე ამხედრებულ ფერმერებს. თუმცა კომანდოში ორგანიზებული ეს ცხენოსანი გლეხები, რომელთა რიცხვი ხან რამდენიმე ათეულს, ხანაც ათასს და ათი ათასს აღწევდა, ღირსეულ წინააღმდეგობას უწევდა მომხდურებს და ამარცხებდა.

„ბურები მამაცი და ვაჟკაცური ხალხია. ისინი ჩვენს წინააღმდეგ რელიგიური აღტყინებით იბრძოდნენ. ტანდაბალ ცხენებზე ამხედრებულები საოცრად მობილურები იყვნენ, რის გამოც მათი რიცხვი თითქოს ორმაგდებოდა, – მათ ფლანგიდან ვერასდროს შემოუვლიდი. სროლაში ხომ ბადალი არ ჰყავდათ. ამას დავუმატოთ ის უპირატესობაც, რომ ნაცნობ გარემოში მოქმედებდნენ და უფრო მოკლე და უსაფრთხო კომუნიკაციებს ირჩევდნენ და თქვენ მიხვდებით, როგორი გადაუჭრელი ამოცანა ჰქონდათ იმპერიის ჯარსკაცებს“, – წერს ერთ-ერთი ინგლისელი ოფიცერი.

ბრიტანელებს უკან დახევა არ სჩვეოდათ და გადაწყვიტეს რესურსების ხარჯზე დაემარცხებინათ მოწინააღმდეგე. თავიდან მათ რიცხობრივი უპირატესობა უფრო გაზარდეს, ინდოეთიდან და სხვა კოლონიებიდან აფრიკაში გადაისროლეს რჩეული, საქმეში გამოცდილი სამხედრო ნაწილები, რომელთაც ბრძოლებში გამობრძმედილი ოფიცრები მეთაურობდნენ და მათი მეშვეობით დაიწყეს ბურების შევიწროება თითქმის ყველა ფრონტზე. აფრიკანერები სიმცირის გამო პარტიზანული ომის წარმოებაზე გადავიდნენ. სწორედ მაშინ გამოჩნდა მათი კომანდოს განსაკუთრებული ეფექტიანობა. ბურების პარტიზანული რაზმები შედგებოდა:

„მზისგან გარუჯული, წვერგაუპარსავი ფერმერებისგან, ისინი ბიბლიისა და იარაღის ხალხი იყვნენ, რომლებსაც დაბადებიდანვე ჰქონდათ პარტიზანული ომის ტრადიციები შესისხლხორცებული. შესაძლოა, იმ დროისათვის ყველაზე საუკეთესო მეომრები იყვნენ მთელ დედამიწის ზურგზე, ზუსტად მსროლელები, მონადირეები, შიმშილსა და ტყეში ცხოვრებას მიჩვეულნი. მათი ქცევა და მეტყველება უხეში და დაუხვეწავი იყო, მაგრამ საომარი დისციპლინით არც ერთ რჩეულ რეგულარულ ჯარს არ ჩამოუვარდებოდნენ“. ბურები პარტიზანული ომის იმ დროისათვის ცნობილ ყველა ხერხსა და მეთოდს იყენებდნენ: სპობდ-

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲗᲔᲛᲐᲖᲔ

თქვენი ბადრაგის მეთაურობა ვთხოვოთ საქართველოს ათასწლოვანი სამეფო დინასტიის წარმომადგენელს, პრინც ნიკო ბაგრატიონს, რომელიც ჩვენს რიგებში მოხალისედ იბრძვის, ოღონდ არ ვიცით, დაგვთანხმდება თუ არა მისი ბრწყინვალება პრინცისთვის ესოდენ საჩოთირო სამსახურის შესრულებაზეო...

„ერთხელ, თარეშის დროს, – იგონებს ნიკო, – ჩვენმა რაზმმა, რომელსაც მე ვხელმძღვანელობდი, ხელში ჩაიგდო მოწინააღმდეგის ალალი. აქ იყო ხორცი, კონსერვები. ყავის, შოკოლადის და კონიაკის დიდი მარაგი. ამ ნადავლმა სულზე მოუსწრო ბურებს, რომელთაც სურსათი უთავდებოდათ. გახარებულმა მეომრებმა ხელი მტაცეს, სურდათ ჩემი ჰაერში აბურთავება, მაგრამ უცებვე გადაიფიქრეს – სიმაღლით ორი მეტრი და ათი სანტიმეტრი ვიყავი და 8 ფუთს (128 კგ) ვიწონიდი“.

ბურების გმირულმა ბრძოლამ, როგორც ვიცით, ნაყოფი ვერ გამოიღო – ერთ-ერთი შეტაკებისას ნიკო ბაგრატიონი ტყვედ ჩავარდა. ინგლისელებმა მას დახვრეტა მიუსაჯეს, მაგრამ როგორც საქართველოს სამეფო გვარის შთამომავალს, დახვრეტა წმინდა ელენეს კუნძულზე გადასახლებით (ამ კუნძულზე, თავის დროზე, ნაპოლეონი იყო გადასახლებული) შეუცვალეს.

ამ დროისათვის თითქმის მთელი მსოფლიოს ჟურნალ-გაზეთები წერდნენ ქართველ პრინცზე და აქვეყნებდნენ მის ფოტოებს. „ერთხელ ტყვეთა ბანაკის კომენდანტმა გემის კაპიტანი გამაცნო – იგონებდა ნიკო, – თქვენ ბრძანდებით ბაგრატიონი?

– დიახ.

– ეს გემი თქვენს სახელზეა გამოგზავნილი, იგი ამერიკაში მცხოვრები ფრანგი ქალების მიერ შეგროვილი საჩუქრებითაა დატვირთული, ერთმა ლამაზმა ქალმა მთხოვა პირადად მომერთვა თქვენთვის“.

როცა ნიკო ბაგრატიონ-მუხრანელმა ტყვეობას თავი დააღწია და პარიზის გავლით სამშობლოში დაბრუნდა, ქართველი საზოგადოება სიხარულით შეეგება სახელგანთქმულ მამულიშვილს. სწორედ აქ შეიტყო ნიკომ, რომ მას ბაგრატიონ-მუხრანელად კი არ მოიხსენიებდა ქართული პრესა, არამედ ნიკო ბურს უწოდებდა. პარადოქსია – ჰოლანდიური სიტყვა „ბური“ ხომ „გლეხს“ ნიშნავს: გამოდის, მეფეთა შთამომავალმა ბრძოლაში გამოჩენილი გმირობისთვის „გლეხის“ ტიტული მიიღო.

სამშობლოში დაბრუნებული ნიკო მალე დაქორწინდა და მუხრანში დასახლდა, მამა-



ნენ პოსტებსა და მცირე სამხედრო შენაერთებს, იტაცებდნენ სურსათით დატვირთულ ოთხთვალებსა და ურმებს, მწყობრიდან გამოჰყავდათ სარკინიგზო მაგისტრალები, შლიდნენ წყალსადენის სათავეებს და ანადგურებდნენ კოლონიური ჯარის ცხენების საკვებს, მათი სნაიპერები უსაფრთხებოდნენ ორთქლმავლის მემანქანეებსა და ცეცხლფარეშებს, რომლებსაც სამხედრო ტვირთი გადაჰქონდათ.

ბურები ფართოდ იყენებდნენ იმ მონადირეების გამოცდილებას, რომლებმაც ოსტატობა მტაცებელ ცხოველებსა და აბორიგენებზე ნადირობისას შეიძინეს და დახვეწეს. ბური მზვერავები ახერხებდნენ სამეფო დრაგუნთა და მსროლელთა რიგებში უჩუმრად შეღწევას და მათი რაოდენობის, შეიარაღებისა და ფსიქოლოგიური განწყობის თაობაზე ძვირფასი ცნობების შეგროვებას.

ბურების კომანდოს მებრძოლები ხშირად მიმართავდნენ მტრის მოტყუების იმ ხერხებს, რომლებიც დღევანდელი მსოფლიოს საგანებო ნაწილების არსენალშია შესული.

ერთხელ მანჩესტერის გორდონის პოლკის რჩეულმა ქვედანაყოფმა, როგორც იქნა, აიღო ბურების მიერ გამაგრებული სიმაღლე. ინგლისელი ოფიცერი, რომელიც შეტევას ხელმძღვანელობდა, სისხლიანი ხმლით პირველი ავიდა სიმაღლეზე და ის იყო, მეომრებისთვის გამარჯვება უნდა ეცნობებინა, რომ მოულოდნელად პოლკის საყვირის ხმა გაისმა — „შეწყვიტეთ ცეცხლი"! „დაისვენეთ!" — იტყობინებოდა საყვირი. სამხედრო დისციპლინას მიჩვეულმა ინგლისელმა ჯარისკაცებმა დაუშვეს თოფები. რამდენიმე წუთის შემდეგ საყვირმა ბრძანება გაიმეორა, „მოვალეობამოხდილმა" ჯარისკაცებმა სწრაფად დატოვეს სიმაღლე და უკან დაიხიეს. მხოლოდ ამის შემდეგ წამოყო თავი ჯარისკაცთა ჯგუფიდან პოლკის მესაყვირემ და განაცხადა, რომ ბრძოლაში გართულს საყვირისთვის ხელი არც უხლია. თურმე ბურმა კომანდოსებმა კარგად შეისწავლეს ბრიტანელთა სამხედრო სიგნალები, მესაყვირეების „კურსებიც" ჩამოაყალიბეს და ამის წყალობით მანჩესტერელების ძლევამოსილი შეტევა შეაჩერეს. როცა ბრიტანელი ჯარისკაცები მიხვდნენ მოწინააღმდეგის ეშმაკობას და აღებული, მაგრამ მიტოვებულ სიმაღლეს ხელახლა მიეტანენ, მათ ერთობლივი ზალპით შეხვდნენ. თითოეული ლოდის უკან ბური კომანდოსი იდგა, თითოეული მათგანი სასიკვდილო ცეცხლს აფრქვევდა.

ინგლისელებმა სიმაღლე მაინც აიღეს, მაგრამ ბურების ფანდის წყალობით მათი დანაკარგი ერთი-ორად გაიზარდა.

სხვა შემთხვევისას ალყაშემორტყმულმა ბურების გარნიზონმა თეთრი დროშა გადმოფინა, „კეთილშობილი ინგლისელები" საფრიდან გამოვიდნენ და დანებებული „მოწინააღმდეგის" პოზიციებისკენ გაემართნენ, მაგრამ პასუხად მძლავრი ზალპი მიიღეს. ცნობილია ათეულზე მეტი შემთხვევა, როცა ბური მზვერავები ბრიტანელების გამაგრებულ და დაცემულ ობიექტებზე მხოლოდ იმიტომ აღწევდნენ, რომ დარაჯების კითხვებს ინგლისურად პასუხობდნენ. ბურების

პაპისეულ მამულში. წლების განმავლობაში იგი წარმატებით უძღვებოდა მეურნეობას და ბაგრატიონ-მუხრანეთა დიდ ოჯახს.

ეგრეთ წოდებული გასაბჭოების შემდეგ დატრიალებულმა ცოდვის კალომ, მთელ საქართველოს რომ დაატყდა თავს, მუხრანელ ბაგრატიონებსაც ავად გადაუარა. მარტო 21-24 წლებში 22 კაცი დაიღუპა ამ ოჯახიდან, მცირე ნაწილმა ემიგრაციაში გაასწრო. მუხრანის სასახლეს ახალი პატრონი — გიგლა ბერბიჭაშვილი (ილიას მკვლელი) გამოუჩნდა. მან წარმატებით ჩაატარა „ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაცია" და ნიკო ბური და მისი ოჯახის ცოცხლად გადარჩენილი წევრები მამა-პაპისეული სახლ-კარიდან გამოაძევა.

ნიკო ბური 1933 წელს 67 წლის ასაკში ფილტვების ანთებით გარდაიცვალა. მუხრანის საგვარეულო ეკლესიაში მისი დაკრძალვის უფლება კომუნისტებმა ოჯახს არ მისცეს. არც სვეტიცხოველში ბაგრატიონ-მუხრანელთა ისტორიულ ძვალთშესალაგში. ბოლოს ვერის ძველ სასაფლაოზერ დაკრძალეს. ეს სასაფლაოც რამდენიმე წლის შემდეგ გააუქმეს ბოლშევიკებმა და კიროვის სახელობის კულტურის და დასვენების პარკად გადააკეთეს მიცვალებულთა ძვლები კი ქალაქგარეთ გაიტანეს და გადაყარეს. ასე დაიკარგა ნიკო ბურის საფლავიც.

თავისუფლებისმოყვარე გმირი ბურების შთამომავლები დღეს საკუთარ თავს აფრიკანერებს უწოდებენ. ოდესღაც ინგლისისგან დაპყრობილი ტრანსვაალის, კაპის და ორანჟის რესპუბლიკები ნამიბიასა და როდეზიასთან გაერთიანებულნი, შემდეგ ერთ სახელმწიფოდ — სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკად ჩამოყალიბდა და გასული საუკუნის 60-იან წლებში დამოუკიდებლობა მოიპოვა. ბურების შთამომავლებს არ ავიწყდებათ მათი სახელმწიფოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი უცხოელი გმირები და ღირსეულ პატივს მიაგებენ მათ ხსოვნას. 1986 წელს იოჰანესბურგში გამოვიდა წიგნი, რომელშიც თვალსაჩინო ადგილი უკავია ნიკო ბურს, დაბეჭდილია მისი ფოტო, ბიოგრაფია და საბრძოლო თავგადასავლები. ხოლო 1999 წელს გამოვიდა ინგლისურ ენაზე დასტამბული ბურების ომის ასი წლისადმი მიძღვნილი ახალი წიგნი, რომლის ერთ-ერთი თავის სახელწოდებაა „ქართველი პრინცი ნიკო ბაგრატიონ-მუხრანელი (ნიკო ბური)"

თბილისში ცხოვრობს ნიკო ბურის ქალიშვილის რუსუდანის შვილი, თეიმურაზ ჩიკვაიძე, რომლის ოჯახშიც სახელოვანი პაპის ხმალი ინახება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეთაურებმა უკვე მაშინ შეფასეს მოწინააღმდეგის ენის ცოდნის მნიშვნელობა. მათ კარგად ესმოდათ, რომ გამარჯვების მისაღწევად ნებისმიერ საშუალების გამოყენება შეიძლებოდა. ნარჩევი სამეფო მსროლელები, ბურების სიმაგრეების აღების შემდეგ, თვალცრემლიანები ითვლიდნენ დანაკარგს: გამარჯვებული პოლკების უმრავლესობას პირადი შემადგენლობის ერთი მესამედი აკლდა ხოლმე. ბევრი მეომრისთვის ეს მოულოდნელი და უსიამოვნო აღმოჩენა იყო. მათი მეთაურები ხომ მხოლოდ ჩასაფრებულ რამდენიმე წვეროსან ბურს ხედავდნენ, როცა შეტევის წინ ჭოგრიტით მოწინააღმდეგის პოზიციებს ზვერავდნენ. შეტევაზე გადასულებს კი ათობით და ასობით გამძვინვარებული კომანდოსი ფერმერი ხვდებოდა. ბურების საფარი იმდენად სრულყოფილად იყო შენიღბული, რომ ერთი ბრიტანელი ოფიცერი, რომელმაც 120 ტყვია გაისროლა, გამოტყდა, რომ ბრძოლისას ერთხელაც ვერ დაინახა ვერც ერთი მოწინააღმდეგე. მეორე ოფიცერი ირწმუნებოდა: ბურები ისე ოსტატურად ინიღბებოდნენ, რომ ხშირად დამიზნება შეუძლებელი იყო. მხოლოდ შენკენ მოღერებული შაშხანის ლულის დანახვა შეიძლებოდაო.

ხშირად, წარმატებული შეტევის შემდეგ, როცა ინგლისელები ბურების პოზიციებს აიღებდნენ, გაკვირვებულები აღმოაჩენდნენ, რომ მათ ორი-სამი სნაიპერი ებრძოდა. მოუხელთებელი ბურების კარგად შენიღბეულ საფრებს ინგლისელებმა „მტაცებელი ფრინველების ბუდეები“ შეარქვეს.

ბური კომანდოსების ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო თვისება იყო წარმატებისგან, ისევე როგორც მარცხისგან, სასწრაფოდ დასკვნის გამოტანა. ისინი უპირატესობას არა მეომრების რაოდენობას, არამედ მათ ჭკუასა და მოხერხებას ანიჭებდნენ. სახელგანთქმული მწერალი არტურ კონან დოილი, რომელიც ინგლის-ბურების ომში კოლონიური ჯარების ექიმად მსახურობდა, ბურ მეომრებს შემდეგნაირად ახასიათებდა: „ისინი გამოწრთობილი მონადირეები და მამაცი მეომრები იყვნენ, რომლებიც ომის დროს მოწინააღმდეგის მოქმედებების შესაბამისად უმაღლესი ოსტატობით ცვლიდნენ საბრძოლო ტაქტიკას. ეს იყო მათი გამარჯვების მომტანი ძირითადი თვისება“.

ბურებმა იცოდნენ, რომ მცირერიცხოვნობის გამო მოწინააღმდეგეს ბრძოლაში ვერ დაამარცხებდნენ. ამიტომ ახალ-ახალ ტაქტიკურ ხერხებსა და ილეთებს იგონებდნენ. მაგალითად, ბური კომანდოსები წარმატებით იყენებდნენ გაცილების ტაქტიკას, — როცა ბრიტანეთის ჯარების კოლონა მიზნისკენ მიემართებოდა, მას მოშორებით შეუმჩნევლად მიჰყვებოდნენ მფრინავი კომანდოსები. ისინი კოლონის დაცვასთან ბრძოლაში არ ებმებოდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ფეხმარდი ცხენები ჰყავდათ და გარემოსაც მშვენივრად იცნობდნენ. სამაგიეროდ, მცირე შესაძლებლობასაც კი იყენებდნენ და კოლონას ჩამოშორებულ აღალსა და ჯარისკაცებს ატყვევებდნენ. მაგალითად, გენერალ გატაკრის შენაერთი მეორე ჰორთუმბერლენდის პოლკისგან (დაახლოებით 960 ჯარისკაცი და ოფიცერი), მეორე ირლანდიური ქვეითი პოლკისგან (840 ჯარისკაცი), 259 ცხენოსნისგან და ორი ბატარეა საველე არტილერიისგან შედგებოდა, სულ დაახლოებით 3 ათასი მებრძოლი იყო. მარშის დროს მათ ბური კომანდოსების 10-15 კაცისგან შემდგარი რაზმები მიჰყვებოდნენ შორიახლო. არ ისროდნენ, მხოლოდ შორიდან ეჩვენებოდნენ მოწინააღმდეგეს და მხედრული ოსტატობის დემონსტრირებას ახდენდნენ. როგორც კი ინგლისელი გენერალი მათ წინააღმდეგ ესკადრონს ან ოცეულს აგზავნიდა, ბურები წამსვე უკვალოდ უჩინარდებოდნენ სავანეში.

შენაერთის მსვლელობა რამდენიმე დღე გაგრძელდა. უზარმაზარი ფიზიკური დატვირთვისა და ფსიქოლოგიური დაძაბულობისგან გასავათებული ჯარისკაცები დასასვენებლად გზისპირას წვებოდნენ და იძინებდნენ. ბური კომანდოსები კი დაუძლურებულებს სოკოებივით კრეფდნენ. მარშის დასასრულს სამიათასიანი კოლონა უპოვართა ბრბოს ჰგავდა. გენერალ გატაკრის დანაკარგმა მხოლოდ 26 მოკლული და 68 დაჭრილი შეადგინა. ტყვედ კი ბურებმა 600 ბრიტანელი ჯარისკაცი და ოფიცერი აიყვანეს.

ერთხელ, როცა ინგლისელების უზარმაზარი კოლონა მდინარის ფონით გადალახვას აპირებდა, ბურებმა ფონს ქვემოთ სახელდახელო ჯებირები ააგეს და წყლის დონე აამაღლეს, რის გამოც ინგლისელებმა არათუ არტილერია, ქვეითებიც ვერ გადაიყვანეს მეორე ნაპირზე.

სპეცრაზმის წარმატებულ ოპერაციად შეიძლება ჩაითვალოს ბრიტანული ჯავშნოსანი მატარებლის განადგურება 1899 წლის 15 სექტემბერს.

ჯავშნოსანი მატარებლები, რომლებიც მსხვილკალიბრიანი საზღვაო-საკრეისერო ქვემეხებით იყვნენ აღჭურვილნი, დიდად აზარალებდნენ აჯანყებულებს. ამ დღეს ინგლისელმა გენერალმა ჰილდვარდმა, რომელიც იმპერიულ ჯარებს ესკორტისა და ჩიველის რაიონში სარდლობდა ჯავშანმატარებლის ეკიპაჟს უბრძანა, კოლენსოს რაიონისკენ დაძრულიყო და აფრიკანერი აჯანყებულების რაზმები აღმოეჩინა. ამ დროისათვის ბურების კომანდოს რამდენიმე ჯგუფს რკინიგზის მახლობლად კარგად შენიღბული პოზიცია ჰქონდა დაკავებული. როგორც კი ჯავშნოსანმა ჩაიარა, რამდენიმე ბური შეუმჩნევლად გამოძვრა საფრიდან და თვალის დახამხამებაში აყარა ლიანდაგები, რითაც მატარებელს უკან დასახევი გზა მოუჭრა. რამდენიმე წუთის შემდეგ კი ჯავშანმატარებელს თავს დაესხა კომანდოსი ბურების სხვა რაზმი. მემანქანემ მაშინვე ჩართო უკან სვლა. უზარმაზარმა დაჯავშნულმა ურჩხულმა თანდათან მოუმატა სიჩქარეს და აყრილლიანდაგებიან მონაკვეთზე მთელი სისწრაფით შევარდა. რამდენიმე ვაგონი მგზავრი მებრძოლებიანად თხრილში გადაეშვა. ბურმა სნაიპერებმა ყველანი დაუნდობლად გაჟლიტეს. ბედის ირონიით ამ ჯავშნოსანზე ცნობილი ინგლისელი სამხედრო ჟურნალისტი უინსტონ ჩერჩილიც იმყოფებოდა. მან მემანქანე მოასულიერა და ორთქლმავალი გადაბრუნებულ ვაგონებს ჩააჩხნევინა. მიუხედავად იმისა, რომ მომავალმა პრემიერ-მინისტრმა მეომრის ცივსისხლიანობა და სწრაფი და ადეკვატური მოქმედების ნიჭი გამოავლინა, იგი რამდენიმე მეომარსა და მემანქანესთან ერთად მაინც დაატყვევეს ბურებმა (ბურების ტყვეობიდან ჩერჩილი, როგორც ერთნი ამბობენ, გაიქცა, მეორენი კი ირწმუნებიან, კაცთმოყვარე ბურებმა ჰერცოგი მალბორო, როგორც ჟურნალისტი, თვითონვე გაათავისუფლესო).

როდესაც 1940 წელს ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ უინსტონ ჩერჩილს მისი ბრძანებით შექმნილი პირველი „საგანგებო სამსახურის ბატალიონების“ შესახებ მოახსენეს, ის დაინტერესდა, რა „არაოფიციალური“ სახელწოდება აირჩიეს „თავზე ხელაღებულმა ბრიტანელმა ბიჭებმა“ — „მონადირეები“ თუ „სკაუტები“?

„არა, სერ მათ, „კომანდოსი“ აირჩიეს“, — უპასუხა მას თანაშემწემ.

„რას იზამ, ბურები მშვენივრად იბრძოდნენ ტრანსვაალში, მე თავად ვნახე დაე მათი მაგალითი და მაღალი ღმერთი იყოს ჩვენი შემწე“. ასე აუნთო მწვანე შუქი ჩერჩილმა სახელწოდებას, რომელიც სამხრეთ აფრიკაში დაიბადა და ბრიტანეთის იმპერიის ყველაზე შეურიგებელი და მძვინვარე მოწინააღმდეგის — ბურების სახელწოდება იყო. ბური კომანდოსები სამართლიანად ითვლება თანამედროვე სპეცრაზმების წინამორბედებად. შეუდარებელი ჩუბინობა (ნებისმიერი მდგომარეობიდან ზუსტად სროლის უნარი), მცირე მობილური ჯგუფებით მოქმედების უნარი, შენიღბვის ოსტატობის სრულყოფილად ფლობა, გამძლეობა და უმთავრესი, — აზროვნების უნარი, მდგომარეობის შესაბამისი ტაქტიკისა და საომარი მოქმედებების შერჩევის ცვლის ნიჭი, — ყველა ეს თვისება აუცილებელია მსოფლიოს ქვეყნების სპეცრაზმელებისთვის, რომლებსაც გმირი ბურების პატივსაცემად „კომანდოსს“ უწოდებენ.




# თურქეთის ეროვნული სადაზვერვო ორგანიზაცია

*(გაგრძელება)*

## MIT-ის ორგანიზაციული სტრუქტურა

MIT-ი ოფიციალურად 1965 წლის 22 ივლისს შეიქმნა. ამ დღეს თურქეთის პარლამენტმა მიიღო დადგენილება, რომლის საფუძველზე ჩამოყალიბდა ეროვნული დაზვერვის ორგანიზაცია, სადაც გაერთიანდნენ მანამდე არსებული თურქეთის დაზვერვისა და კონტრდაზვერვის სამსახურები. mit-ი ქვეყნის პრემიერ-მინისტრის დაქვემდებარებაშია, მას ეროვნული დაზვერვის ორგანიზაციის მრჩეველი (ასე ჰქვია ამ სამსახურის ხელმძღვანელის პოსტს) ხელმძღვანელობს, რომელიც იმავდროულად თურქეთის ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრიცაა. მას პრემიერ-მინისტრის წარდგინებით ამტკიცებს ქვეყნის პრეზიდენტი. MIT-ის სტრუქტურა საოცრად წააგავს საბჭოთა კა-გე-ბეს სტრუქტურას. ისიც ფუნქციური და ტერიტორიული ნიშნით აგებული დანაყოფებისგან შედგება. ცენტრალურ აპარატში შედის: 1. საგარეო დაზვერვის მთავარი სამმართველო; 2. საშინაო დაზვერვის მთავარი სამმართველო; 3. ოპერატიული მუშაობისა და ინფორმაციის მოპოვების სამმართველო; 4. ფსიქოლოგიური თავდაცვის მთავარი სამმართველო; 5. ელექტრონული და ტექნიკური დაზვერვის სამმართველო; 6. ინსპექციისა და კონტროლის სამმართველო; 7. ადმინისტრაციული სამმართველო; 8. იურიდიულ მრჩეველთა ჯგუფი; 9. საავიაციო უზრუნველყოფის ჯგუფი; 10. შიფრებისა და კავშირგაბმულობის განყოფილება.

MIT-ის დაქვემდებარებაშია ტერიტორიული სამმართველოები თურქეთის დიდ ქალაქებში (ანკარა, სტამბოლი, იზმირი, ადანა, დიარბაქირი, არზრუმი, სივასი, კონია და სამსუნი) და განყოფილებები შედარებით პატარა ქალაქებში. ტერიტორიული სამმართველოები ერთდროულად რამდენიმე ვილაიეთის (ოლქის) ოპერატიულ მომსახურებას ეწევიან და ცენტრალური აპარატის ანალოგიური ორგანიზაციული სტრუქტურა აქვთ.

MIT-ის საგარეო დაზვერვის მთავარ სამმართველოს შემდეგი დანაყოფები აქვს: საზღვარგარეთ უცხოეთის სპეცსამსახურებთან ბრძოლის განყოფილება; სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ინფორმაციის მოპოვების განყოფილებები; საზღვარგარეთ თურქეთის დიპლომატიური კორპუსისა და სხვა წარმომადგენლობების უსაფრთხოების განყოფილება; საგამოძიებო განყოფილება; სასწავლო განყოფილება, ადმინისტრაციული განყოფილება და სადაზვერვო ოპერაციების დაგეგმვის განყოფილება. საშინაო დაზვერვის (კონტრდაზვერვის) მთავარი სამმართველოს სტრუქტურა ამგვარია: – სამმართველო „ა“ – ატარებს სადაზვერვო ოპერაციებს. მისი ძირითადი ფუნქციებია პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო და ა.შ. ინფორმაციის მოპოვება; სამმართველო „ბ“ ასრულებს კოტრდაზვერვის ფუნქციებს ქვეყნის შიგნით (უცხოეთის აგენტურის გამოვლენა, სტრატეგიული სახელმწიფო ობიექტების დაცვა და ა.შ..). მას აგრეთვე ექვემდებარება სპეცოპერაციების განყოფილება; განყოფილება „ს“-ს სამხედრო კონტრდაზვერვის ფუნქციები აქვს; ქურთთა ეროვნული მოძრაობის შესწავლისა და ოპერატიული დამუშავების განყოფილება ატარებს ქურთთა ორგანიზაციებში აგენტურული შეღწევის ოპერაციებს; სახელმწიფო საზღვრის დარღვევებთან ბრძოლის განყოფილება; ოპერატიულ-ტექნიკური განყოფილება; გარე თვალთვალის განყოფილება.

მრჩევლის კანდიდატურას, რომელსაც პრემიერ-მინისტრი წარადგენს, ჯერ განიხილავს ეროვნული უშიშროების საბჭო და შემდეგ დასამტკიცებლად წარუდგენს ქვეყნის პრეზიდენტს. MIT-ის ხელმძღვანელს, მის თანაშემწესა (მოადგილეს) და სამმართველოების უფროსებს პირადად თურქეთის პრეზიდენტი ამტკიცებს, სხვა საკადრო დანიშვნებს თავად მრჩეველი წყვეტს.

MIT-ის თანამშრომლები საკმაოდ დიდი უფლებებით სარგებლობენ: შეუძლიათ საფრად გამოიყენონ თურქეთის სახელმწიფო სტრუქტურები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და კომერციული ფირმები. ქვეყნის შიგნით ისინი, როგორც წესი, მოქმედებენ პოლიციის, ჟანდარმერიის ან არმიის ოფიცრის საფარქვეშ. 1972 წლის მაისიდან მოქმედებს თურქეთის პრემიერ-მინისტრის მიერ დამტკიცებული ინსტრუქცია, რომელიც თურქეთის ყველა მოქალაქეს, რომლებიც საზღვარგარეთ სამუშაოდ არიან მივლინებულნი, ავალდებულებს ითანამშრომლონ თურქეთის დაზვერვასთან. 1984 წლის ნოემბერში თურქეთის პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლითაც განისაზღვრა mit-ის ძირითადი ფუნქციები. კერძოდ: სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ოპერაციების ჩატარება როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ; ქვეყნის ტერიტორიული ერთიანობის, დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და უსაფრთხოების დაცვა; ქვეყნის სხვა სპეციალური სამსახურების საქმიანობის კოორდინირება; მათ მიერ მოპოვებული ინფორმაციის გამოყენება და ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებისთვის კრებსითი მოხსენების წარდგენა და ა.შ.. MIT-ს ეკრძალება შანტაჟის გზით აგენტურის გადაბირება. ეს ოპერაცია უნდა ჩატარდეს მხოლოდ მორალურ-ფსიქოლოგიური (იდეოლოგიური) და მატერიალური დაინტერესების საფუძველზე. საბჭოთა ეპოქაში თურქეთის დაზვერვას აგენტურა, ძირითადად, აზერბაიჯანის, ყირიმის, ჩრდილოეთ კავკასიის, ასევე საქართველოსა და რუსეთის მაჰმადიანურ მოსახლეობაში ჰყავდა. საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ განსაკუთრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით გაიზარდა თურქეთის გავლენა კავკასიისა და შუა აზიის რესპუბლიკებზე, აგრეთვე, რუსეთის მაჰმადიანურ რეგიონებზე.

## პარტნიორები და მოწინააღმდეგენი

MIT-ის მთავარი პარტნიორები ამერიკისა და NATO-ს წევრი ქვეყნების სპეცსამსახურები არიან. ვაშინგტონმა ავღანეთის ოპერაციებში თურქეთს განსაკუთრებული როლი დააკისრა. ჯერ კიდევ 2001 წლის ოქტომბერში 90 თურქი მებრძოლი ავღანეთში გაიგზავნა, სადაც თალიბების წინააღმდეგ სპეცოპერაციებში მონაწილეობდნენ. დღეისთვის თურქეთის სპეცსამსახურები აქტიურად არიან ჩაბმულნი ერაყსა და ავღანეთში მიმდინარე ანტიტერორისტულ ოპერაციებში. MIT-ის ოპერატიულ-აგენტურული ოპერაციები ითვალისწინებდა ავღანეთის საველე მეთაურების დამუშავებას. 1997 წელს ანკარაში თავშესაფარი მიიღო უზბეკური წარმოშობის საველე მეთაურმა აბდულ რაშიდ დუსთუმმა, თურქეთის გარდა, მას მხარს უჭერდნენ აშშ და უზბეკეთი, ხოლო ირანი, რუსეთი და ინდოეთი სხვა საველე მეთაურების — ბარჰანუდინ რაბანის, აჰმად-შახ მასუდის და მუჰამედ ფაჰიმის კანდიდატურებს უჭერდნენ მხარს. რამდენიმე წლის წინ თურქეთის ხელისუფლებამ საკმაოდ მოულოდნელი ნაბიჯი გადადგა, როდესაც თურქეთის პრეზიდენტმა ნეჯეთ სეზერმა, რომელიც ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა თეირანში, ირანის ლიდერ მუჰამედ ხათემისთან ერთად ხელი მოაწერა სამხედრო სფეროში სპეცსამსახურების არხებით ორმხრივი ურთიერთობის განვითარების მემორანდუმს. მეორე დღეს კი თურქეთის არმიის გენშტაბის უფროსმა ჰუსეინ ქივრიქოღლუმ, სირიელ კოლეგა ჰასან თურქმანთან ერთად, ხელი მოაწერა ორი ქვეყნის სამხედრო თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას. კურიოზული სიტუაცია შეიქმნა — რეგიონში აშშ-ისა და ისრაელის მთავარმა მოკავშირე თურქეთმა ხელი მოაწერა სტრატეგიული ხასიათის ორ ხელშეკრულებას — საკუთარი მოკავშირეების მთავარ მოწინააღმდეგეებთან — ირანსა და სირიასთან. თუმც ირანის სათავეში ახალი პრეზიდენტის, აჰმადინეჯადის მოსვლის შემდეგ, რომელიც აშშ-ის დაუღალავი ოპონენტია, ეს ხელშეკრულება მხოლოდ ქაღალდად დარჩა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თურქეთის გენერალიტეტი, აქედან გამომდინარე MIT-იც, ტრადიციულად ისლამური ფუნდამენტალიზმის მოწინააღმდეგეა და მჭიდრო კავშირს ინარჩუნებს ისრაელსა და აშშ-სთან. ამიტომ თურქეთის სპეცსამსახურების თანამშრომლობა ირანელ და სირიელ კოლეგებთან დიპლომატიურ ეტიკეტს არ გასცილებია. აბდულა ოჯალანის ადგილსამყოფლის დადგენისა და კენიაში მისი დაკავების ოპერაციაშიც აქტიურად მონაწილეობდნენ ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო და ისრაელის „მოსადი“. ჯერ კიდევ 1958 წელს თურქეთის MIT-ს, ისრაელის „მოსადსა“ და ირანის „სავაკს“ შორის დაიდო საიდუმლო შეთანხმება სადაზვერვო ინფორმაციის გაცვლისა და რეგულარული კონსულტაციების შესახებ. ირანში ისლამური რევოლუციის შემდეგ, თურქეთ-ირანის ურთიერთობა დაიძაბა და ორივე ქვეყნის სპეცსამსახურებმა ერთმანეთის წინააღმდეგ მუშაობა გააჩაღეს. 1982 წელს თურქეთისა და ისრაელის სადაზვერვო ორგანიზაციებს შორის გაფორმდა ახალი ხელშეკრულება — „მოსადი“ კისრულობდა თურქეთში საბჭოთა აგენტურის გამოვლენაში დახმარებას, სანაცვლოდ MIT-ი არაბულ ქვეყნებში ისრაელის წინააღმდეგ დაგეგმილი სპეცოპერაციების შესახებ ინფორმაციას გადასცემდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ თურქეთსა და აზერბაიჯანს ძალზე მჭიდრო ურთიერთობა აქვთ. ამიტომაც MIT-ის მთავარი პარტნიორი ყოფილ საბჭოთა კავშირის სპეცსამსახურებს შორის აზერბაიჯანის სამხედრო და პოლიტიკური დაზვერვაა.

1998 წელს თურქეთის ინიციატივით შეიქმნა თურქულენოვანი სახელმწიფოების სპეცსამსახურების საკოორდინაციო ორგანიზაცია. ერთმანეთს ხშირად ხვდებიან აზერბაიჯანის, ყაზახეთის, ყირგიზეთისა და თურქეთის დელეგაციები, რუსეთისა და უკრაინის სპეცსამსახურების წარმომადგენლები კი ამ შეხვედრებში რამდენჯერმე დამკვირვებლის სტატუსით მონაწილეობდნენ.

## MIT-ის სადაზვერვო ოპერაციები ყოფილი სსრკ-ის ტერიტორიაზე

ამჟამად თურქეთის სპეცსამსახურები ინტენსიურად მუშაობენ ყოფილი სსრკ-ის რესპუბლიკებში თურქული ფირმების მიერ ინვესტირების, ბუნებრივი



**მუსტაფა ბარზანი**

რესურსებისა და სატრანსპორტო დერეფნების ათვისების, ასევე დიდ სამშენებლო პროექტებში. ამ პროცესების წარმატებით წარმართვისათვის, გავრცელებული შეხედულებით, თურქეთის MIT-ი ინფორმაციის მოპოვებისა და საპრივატიზაციო კონკურსებში გამარჯვებისათვის ხშირად იყენებს ადგილობრივი ჩინოვნიკების მატერიალური დაინტერესების (უფრო სწორად, ქრთამის მიცემის) მეთოდს. MIT-ის წარმომადგენლები თავისუფლად მოქმედებენ საქართველოსა და აზერბაიჯანში. მათი ოპერატიული დაინტერესების ობიექტები ისტორიული მოწინააღმდეგეები: რუსეთი, სომხეთი და ირანი არიან. თურქეთის დაზვერვა ცდილობს მხედველობიდან არ გამორჩეს საქართველოში მცხოვრები ქურთები და მათი კავშირები. ამასთან, MIT-ი აქტიურად აკვირდება და კრებს ინფორმაციას საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებში (უპირველესად, აფხაზეთში) მიმდინარე პროცესებზე.

შუა აზიის ქვეყნების ტერიტორიებზე თურქეთის დაზვერვის ოპერატიული ამოცანებია: თურქული იდეოლოგიის დანერგვა და ამ ქვეყნების ეკონომიკის სტრატეგიულ დარგებში (ნავთობის, გაზის, ოქროს და ა.შ.. მოპოვება და ტრანსპორტირება), ინვესტირება.

თურქეთის სპეცსამსახურების ერთ-ერთ ძირითად მოწინააღმდეგედ რუსეთი რჩება. ორი აგრესიული იმპერიის ისტორიული ქიშპობა „ცივი ომის“ დროს მოწინააღმდეგე ბანაკებში ყოფნამ კიდევ უფრო გააღრმავა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბარზანი და მისი ვაჟი

## რუსეთი და თურქეთი – რა მსგავსებაა მათ შორის

რუსეთისა და თურქეთის სპეცსამსახურების დაპირისპირებას დიდი ხნის ისტორია აქვს და შუა საუკუნეებიდან იწყება. უკანასკნელი ორასი წლის მანძილზე ამ სახელმწიფოებს შორის ბალკანეთზე, კავკასიასა და შავი ზღვის ტერიტორიებზე ბატონობის მოსაპოვებლად ექვსჯერ (1806-1812 წ., 1828-1829 წ., 1853-1856 წ., 1877-1878 წ. და 1914-1917წ.,) გაიმართა სისხლისმღვრელი ომი. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ამ ქვეყნების სპეცსამსახურებიც დაუნდობლად ებრძვიან ურთიერთს. XX საუკუნის დასაწყისში თურქეთის დაზვერვას დიდი დასაყრდენი ჰყავდა რუსეთში მცხოვრები მაჰმადიანების სახით. არალეგალური პროთურქული ორგანიზაციები მოქმედებდნენ პეტერბურგში, ყაზანში, უფაში, ირკუტსკში, ტომსკში, ბაქოსა და რუსეთის სხვა ქალაქებში. რუსეთის სპეცსამსახურების ხელმძღვანელების აზრით, გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან თურქეთი ძალიან დიდ სახსრებს ხარჯავს რუსეთის ტერიტორიაზე (როსტოვიდან ნოვოსიბირსკამდე) თურქული სკოლებისა და კულტურული ცენტრების მშენებლობაზე. საინტერესოა, რომ რუსეთის კონტრდაზვერვის ინფორმაციით, მოსკოვში თურქეთის საელჩოში ტექნიკური პერსონალის ადგილზე სამუშაოდ ილებდნენ უმეტესად აზერბაიჯანელებს, რომლებიც რუსეთის მოქალაქენი იყვნენ. რუსეთში MIT-სა და თურქულ სამხედრო დაზვერვას დამოუკიდებელი რეზიდენტურები აქვთ. ამ რამდენიმე წლის წინ როსტოვში შეაჩერეს თურქული კულტურის ცენტრის საქმიანობა. რუსეთის კონტრდაზვერვის მტკიცებით, აქ პროპაგანდას უწევდნენ რადიკალური ისლამური ორგანიზაცია „ნურჯულარის“ იდეებს, რომელის მიზანია „დიდი თურანის“ სახელმწიფოს შექმნა. მის შემადგენლობაში უნდა შევიდეს სამხრეთ რუსეთის რამდენიმე რეგიონი. რუსეთიდან გააძევეს ცენტრის ხელმძღვანელი, თურქი ეროვნების ალდირმაზ ნეჯათი, რომელიც რუსეთის ფე-ეს-ბეს მონაცემებით თურქეთის სპეცსამსახურებისთვის ინფორმაციას აგროვებდა. რუსეთის კონტრდაზვერვის განსაკუთრებული აქტიურობა თურქეთის სპეცსამსახურების წინააღმდეგ 1998 წლიდან იწყება, როდესაც ფე-ეს-ბეს დირექტორად პუტინი დაინიშნა. ამ პერიოდიდან კარდინალურად შეიცვალა სამხრეთ კავკასიაში ფე-ეს-ბეს საქმიანობის პრიორიტეტები და მთავარი ძალები ირანის ისლამური რესპუბლიკის სპეცსამსახურებიდან, NATO-ს აქტიური წევრი ქვეყნის – თურქეთის წინააღმდეგ იქნა მიმართული.

### „ქურთული ფაქტორი“

ადრე საბჭოთა, ამჟამად კი რუსეთის სპეცსამსახურები თურქეთის წინააღმდეგ სისტემატურად იყენებდნენ „ქურთულ ფაქტორს“. ჯერ კიდევ 1947 წელს ქურთების შეიარაღებულმა რაზმმა მუსტაფა ბარზანის მეთაურობით ბრძოლებით გაარღვია სსრკ-ირანის საზღვარი და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გადმოვიდა.

მცირე დოსიე: მუსტაფა ბარზანი (1903-1979წ.წ.), გენერალ-მაიორი. დაიბადა ერაყის ჩრდილოეთში, სოფელ ბარზანში. ეკუთვნოდა ქურთთა ტომ ზიბარის. 1943 წლიდან ერაყელი ქურთების შეიარაღებული მოძრაობის ხელმძღვანელია. 1947-1958 წლებში იმყოფებოდა საბჭოთა კავშირში. ერაყში დაბრუნების შემდეგ დაუპირისპირდა პრემიერ-მინისტრ აბდელ-ქერიმ ყასემს და 1961 წელს საბჭოთა კავშირის დახმარებით ქურთთა სამხედრო აჯანყება დაიწყო, რომელიც 14 წელიწადს გაგრძელდა. ერაყში სადამ ჰუსეინის პროსაბჭოთა რეჟიმის დამყარების შემდეგ მუსტაფა ბარზანმა აშშ-ისკენ აიღო გეზი და 1975 წელს ვაშინგტონში გაემგზავრა, სადაც 1979 წელს გარდაიცვალა.

ბარზანთან მოსალაპარაკებლად სასწრაფოდ გაფრინდა საბჭოთა დაზვერვის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, გენერალ-ლეიტენანტი პავლე სუდოპლატოვი. საბჭოთა სადაზვერვო-დივერსიული ოპერაციების ხელმძღვანელი რომ არ გაშიფრულიყო, ბარზანს საკდესის გენერალური დირექტორის მოადგილედ წარუდგა. მუსტაფა ბარზანმა აღმოსავლური ეშმაკობა გამოიყენა და საბჭოეთის ემისარს კომპლიმენტები არ დააკლო: უკანასკნელი ასი წელია ქურთებმა 80-ზე მეტი აჯანყება მოვაწყვეთ ირანისა და თურქეთის, ერაყისა და დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ. დიდი რუსეთი ყოველთვის დახმარების ხელს გვიწვდიდა და ახლაც უნდა დაგვეხმაროთო. სტალინის გადაწყვეტილებით ქურთები უზბეკეთში, ტაშკენტთან ახლოს ერთ-ერთ კოლმეურნეობაში დაასახლეს. ბარზანის მებრძოლებს საბჭოთა სამხედრო ინსტრუქტორები ამზადებდნენ და დივერსიებისა და ტერაქტების მოწყობას ასწავლიდნენ. თავად მუსტაფა ბარზანი საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის აკადემიაში ჩარიცხეს და სამ წელში გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება მიანიჭეს. სტალინი ქურთების გამოყენებას ახლო აღმოსავლეთში დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ის წინააღმდეგ აპირებდა და სათანადო პოლიტიკურ ვითარებას ელოდა. საბჭოთა კავშირის მთავარი მოწინააღმდეგეების შეიარაღებული ძალები, რომლებიც ახლო აღმოსავლეთსა და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში იყვნენ განლაგებული, ნავთობით ერაყიდან მარაგდებოდნენ. სტალინი ქურთი პარტიზანების გამოყენებას გეგმავდა როგორც ერაყის პროდასავლური რეჟიმის დასამხობად და ნავთობსადენებზე დივერსიების მოსაწყობად, ასევე საჭიროების შემთხვევაში თურქეთსა და ირანში „ქურთული ფაქტორის“ ასამოქმედებლად. ხუთი წელი ელოდა მუსტაფა ბარზანი აქტიური მოქმედებების დაწყებას და ქურთისტანის დამოუკიდებელი რესპუბლიკის შესაქმნელად ბრძოლაში საბჭოთა სამხედრო დახმარებას. ბოლოს სტალინს მიმართა. 1952 წელს ბარზანი კვლავ სუდოპლატოვმა მოინახულა და კონკრეტული გეგმა გააცნო. ახლო აღმოსავლეთში საბრძოლო და დივერსიული ოპერაციების ჩასატარებლად ქურთი მებრძოლებისგან სპეციალური ბრიგადა (1500 ბოევიკი) უნდა შექმნილიყო, რომელსაც ფართომასშტაბიანი დივერსიები უნდა მოეწყო ერაყის, ირანისა და თურქეთის ტერიტორიებზე. თუმცა მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ (1958

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელს) მოახერხეს საბჭოთა სპეცსამსახურებმა ერაყის პროდასავლური ორიენტაციის მოქნე პრეზიდენტ ნური საიდის ჩამოგდება და მათთვის სასურველი ყასემის ხელისუფლებაში მოყვანა. ერთი წლის შემდეგ მუსტაფა ბარზანი და მისი მებრძოლები ერაყში გაისტუმრეს, მაგრამ ქურთებს ახალ ხელისუფლებასთანაც მოუხდათ შეიარაღებული კონფლიქტი. საბჭოთა კავშირმა კვლავ სეპარატისტების მხარე დაიჭირა. 1961 წელს საბჭოთა კავშირის პოლიტბიურომ საიდუმლო დადგენილება მიიღო „ქურთთა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობისთვის დახმარების აღმოჩენის შესახებ“. საბჭოთა სპეცსამსახურებს (კა-გე-ბეს და გე-ერ-უს) დაევალათ იარაღისა და საბრძოლო მასალების ქურთებისთვის გადაცემის ფარული ოპერაციის მომზადება და ჩატარება. საზღვაო გზით იარაღის გადატანას საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა. კა-გე-ბედან ამ ოპერაციას ახალგაზრდა კაპიტანი ალექსანდრ კისელიოვი ხელმძღვანელობდა, რომელიც პირადად იცნობდა მუსტაფა ბარზანს. ერაყში სისხლისმღვრელი სამოქალაქო ომი დაიწყო, რომელიც თოთხმეტ წელიწადს გაგრძელდა.

ბარზანის გარდაცვალების შემდეგ ქურთთა ეროვნულ მოძრაობას სათავეში მისი ვაჟი მასუდი ჩაუდგა, რომელიც ქურთთა პრობლემის პოლიტიკური გზით გადაწყვეტის მომხრე იყო. საბჭოთა კავშირს მოვლენების მშვიდობიანი განვითარება ხელს არ აძლევდა, ამიტომ 80-იანი წლებიდან ქურთთა მოძრაობის ეპიცენტრის თურქეთში გადატანას შეუწყო ხელი. ქურთთა ახალი ლიდერი აბდულა ოჯალანი, რომელიც უკიდურესი რადიკალური მეთოდების მომხრეა, 1984 წლიდან ხელმძღვანელობდა ქურთთა სამხედრო-პოლიტიკურ გამოსვლებს (მისი დაკავების ოპერაციის შესახებ დაწვრილებით „არსენალის“ წინა ნომერში უკვე გიამბეთ). ნახევარი საუკუნე გავიდა, მაგრამ რუსეთის ქურთულ პოლიტიკაში თითქმის არაფერი შეცვლილა, ის წარმატებით იყენებს იმ გარემოებას, რომ ამჟამად ქურთების მტერი არა ირანი და ერაყი, არამედ თურქეთია.

## თურქეთისა და რუსეთის სპეცსამსახურების დაპირისპირების მოკლე ქრონოლოგია

რუსეთი რომ მხარს უჭერს ქურთი სეპარატისტების მოქმედებებს თურქეთში, საყოველთაოდ ცნობილია. საპასუხოდ, თურქეთის სპეცსამსახურები ფარულად მხარს უჭერდნენ ჩეჩენ სეპარატისტებს როგორც პირველი, ისე მეორე ჩეჩნეთის ომის დროს.

2000 წლის თებერვალში გროზნოსთან დააკავეს თურქი მოქალაქე ალი იემანი, რომელიც რუსეთის ფე-ეს-ბეს მტკიცებით თურქეთის სპეცსამსახურების თანამშრომელი იყო; 2001 წლის 6 აპრილს სტავროპოლის მხარის უშიშროების ფედერალური სამსახურის წარმომადგენელმა განაცხადა ორი თურქი მზვერავის დაკავების შესახებ. შპიონები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მუშაობდნენ, თითოეულს თავისი ამოცანები და მიზნები ჰქონდა. ერთ-ერთი — ჰალი მუთლოდალანი სტავროპოლში ბულგარეთიდან ჩასულა. ფე-ეს-ბეს მტკიცებით, მან ტრაპიზონში გახსნა ფირმა, სადაც თარჯიმნებად თურქული ენის მცოდნე ყირიმელი თათრები მუშაობდნენ. თვეში ერთხელ მუთლოდალანი რუსეთს თითქოსდა კომერციული საქმეების მიზნით სტუმრობდა, სინამდვილეში კი თავის აგენტებთან ოპერატიულ კონტაქტს ამყარებდა. მეორე დაკავებულმა — ნესრინ უსლუმ ანკარის უნივერსიტეტის სლავური ფაკულტეტი, შემდეგ კი სადაზვერვო სკოლა წარჩინებით დაამთავრა. სტავროპოლში 1995 წელს გამოჩნდა, ფირმა „იდილიის“ თარჯიმნის სტატუსით. 2001 წლის 19 აპრილს ფე-ეს-ბემ ოფიციალურად გაავრცელა განაცხადება, რომ თურქეთის სპეცსამსახურები მონაწილეობდნენ 1996 წლის იანვარში ტერორისტების მიერ ბორან „ავრასიის“ მგზავრების შეპყრობაში და 2001 წლის მარტში საუდის არაბეთში Ту-154-ის გატაცებაში. მათი მტკიცებით, ტრაპიზონში ბორანისა და სტამბოლში ავიალაინერის გატაცების ოპერაციები ერთმანეთს ძალიან ჰგავდა, ხოლო „ავრასიის“ ოპერაციას MIT-ი ხელმძღვანელობდა. სწორედ მან უზრუნველყო ტერორისტების იარაღით მომარაგება. რუსეთის სპეცსამსახურის მტკიცებით, „ავრასიაზე“ MIT-ის რამდენიმე თანამშრომელი იმყოფებოდა. მათ შორის თურქეთის მოქალაქე ერთან ჯუშქუნი, რომელიც დაკავშირებულია თურქეთის დაზვერვასთან. შემდგომში ჯუშქუნი ამოიცნეს სტამბოლში Ту-154-ის ბორტზე მყოფ ტყვეებს შორის.

2001 წლის 3 მაისს, რუსეთის ფედერაციის უსაფრთხოების ფედერალური სამსახურის განცხადებით, ჩელიაბინსკიდან გააძევეს თურქეთის მოქალაქეები, რომლებიც ეჭვმიტანილები იყვნენ თურქეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობაში. მათგან ყველაზე ცნობილმა ჰამიდ იუქსელმა მომზადება MIT-ის სპეცნაზის ქვეგანყოფილებაში გაიარა, იყო ტერორისტული ორგანიზაცია „ნაცრისფერი მგლების“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი. ჩელიაბინსკში ოფიციალურად კომერციულ საქმიანობას ეწეოდა, არალეგალურად კი ცდილობდა შეეღწია ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ წარმონაქმნებში. „ნაცრისფერი მგელი“ ასევე შემჩნეული იყო ჩელიაბინსკის კრიმინალურ დაჯგუფებებთან კონტაქტის დამყარების მცდელობაში. მათი მონაცემებით, ჩელიაბინსკის რეგიონში მოქმედებს რამდენიმე თურქული ფირმა, რომელიც თითქოსდა განათლების ან კულტურულ სფეროში მოღვაწეობს, სინამდვილეში კი ისლამური ექსტრემიზმის იდეებს ავრცელებს.

თავის მხრივ, თურქეთის სპეცსამსახურებიც ცდილობენ ამხილონ რუსეთის ოფიციალური სტრუქტურებისა და ქურთთა ეროვნული მოძრაობის წევრების მჭიდრო კავშირი. 1999 წლის ნოემბერში თურქეთის საინფორმაციო სააგენტო „ანატოლიამ“ განაცხადა, რომ თურქეთის სპეცსამსახურებმა დააპატიმრეს ქურთების მუშათა პარტიის ბოევიკების ერთ-ერთი მეთაური ქემალ ბაიიკი. მას ბრალად დასდეს, რომ რუსეთსა და ბელორუსში ცდილობდა თურქეთის წინააღმდეგ საბრძოლველად იარაღის შესყიდვას.

ამ ორი ქვეყნის სპეცსამსახურების დაპირისპირება, გვინდა თუ არა, საქართველოს საგარეო და საშინაო პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზეც ახდენს ზეგავლენას. ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ აფხაზეთსა და პანკისის ხეობაში სულ ცოტა ხნის წინ მიმდინარე მოვლენებში. აფხაზეთის ომის დროს mit-ის აგენტურა ბევრჯერ იყო ჩართული საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ ოპერაციებში. ერთ-ერთი მათგანის, შამილ ბასაევის თანამებრძოლის, აფხაზი ეროვნების მოჰამედ ტოკჯანის (იმავე ტუჟბას) შესახებ „არსენალის“ შემდეგ ნომერში გიამბობთ.

*(დასასრული იხ. შემდეგ ნომერში)*

**ბესიკ ალადაშვილი**

# ვინ შექმნა ნორვეგიისთვის სპეცრაზმები

Forsvarets Spesialkommando
Hærens Jegerkommando

ნორვეგიის სამხედრო-საგანგებო რაზმების ისტორია მეორე მსოფლიო ომიდან იწყება. იგულისხმება ის სამი ჯგუფი, რომლებიც ბრძოლისას სპეცქვედანაყოფების მეთოდებსა და ტაქტიკას იყენებდნენ. კერძოდ, „ლინგეს ასეული“ (Company Linge), „შეტლანდის ჯგუფი“ (Shetland) და ფინმარკი (Funnmark), ჩრდილოეთ ნორვეგიის რეგიონის პარტიზანები.

„ლინგეს ასეული“ და „შეტლანდის ჯგუფი“ ბრიტანეთის ხელისუფლებამ ომის საწყის ეტაპზე, Special Operation Executive-ს ჩარჩოში შექმნა.

Special Operation Executive გახლავთ ჩერჩილის მიერ 1940 წელს დაარსებული საიდუმლო ორგანიზაცია „მტრის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე საბოტაჟის, ძირგამომთხრელი საქმიანობებისა და საგანგებოდ გაწვრთნილი პირებისგან უჯრედების შესაქმნელად, რომლებიც დახმარებას გაუწევდნენ წინააღმდეგობის ფრონტის მებრძოლებს (Records of Special Operations Executive the National Archives)“. მოგვიანებით ორივე ჯგუფის ხელმძღვანელობა დევნილ ნორვეგიელ მთავრობას გადაეცა, რომელიც ლონდონს აფარებდა თავს. თუმც მათი როლი და ამოცანები მთელი ომის განმავლობაში არ შეცვლილა. მესამე ჯგუფი „ფინმარკის პარტიზანები“ ნაკლებადაა ცნობილი, რადგან ის საბჭოთა ჯარების სარდლობის ხელმძღვანელობით მოქმედებდა.

თავდაპირველად „ლინგეს ასეული“ ბრიტანელი კომანდოსების მეთოდებით იყო გაწვრთნილი – სარეიდო ოპერაციებისთვის. წვრთნის კონცეფცია შეიცვალა 1941 წელს, მაგრამ ასეული მაინც მონაწილეობდა რეიდებში. საგანგებო ასეულის დამაარსებელი მარტინ ლინგე ერთ-ერთი რეიდის დროს, 1941 წლის დეკემბერში დაიღუპა.

ასეულის ახლებურად გაწვრთნა აგენტების ჩანერგვის გზით და რეგულირებული მეთოდებით საბრძოლო მოქმედებების წარმოებას ისახავდა მიზნად. უნდა შექმნილიყო წინააღმდეგობის საკუთარი ჯგუფები. მათი მიზანი იყო ერთიანი წინააღმდეგობის მოძრაობის შექმნა, რომელიც დახმარებას გაუწევდა მოკავშირეებს ნორვეგიაში შეჭრის შემთხვევაში, შეძლებდა მტრის კომუნიკაციების მოშლას, ჩაატარებდა საბოტაჟურ აქციებს. გერმანელების ქვეყნიდან გასვლის შემთხვევაში დაიცავდა მნიშვნელოვან ობიექტებს და მათი კაპიტულაციის შემდეგ ნორვეგიაში სტაბილურობის შენარჩუნებას შეძლებდა. როგორც ნორვეგიული წინააღმდეგობის ფრონტის „მილორგის“ (Milorg) მეთაური 1945-52 წლებში, ამჟამად კი ნორვეგიის თავდაცვის მინისტრი იენს კრისტიან ჰაუგე მოგვითხრობს, ოპერაცია „მილორგის“ წარმატებით ჩატარება „ლინგეს ასეულის“ დახმარებამ განაპირობა. იგულისხმება 1943 წელს რიუანეში მძიმე წყლის ქარხნის განადგურება (ექსპერტების აზრით, სწორედ ამან შეუშალა ხელი ჰიტლერს ბირთვული ბომბის შექმნაში).

ომის მსვლელობის დროს გაიწვრთნა 540 სპეცრაზმელი, რომელთაგან 51 ბრძოლაში დაიღუპა, 7 კი ტყვედ ჩავარდა. რამდენიმე კაცი დაიღუპა წვრთნების დროს, ეს ფაქტი სწავლების მაღალ დონეზე მიუთითებს.

**ამერიკელი გენერალი: „ჩვენი სპეცდანაყოფებიც კი ყოველთვის არ იყვნენ მომზადების იმ დონეზე, რომელიც NORSOF-ს ჰქონდაო“.**



„შეტლანდის ჯგუფის“ გამოყენება ბრიტანელებს ჩრდილოეთის ზღვის რეგიონიდან ლტოლვილების გამოსაყვანად ჰქონდათ ჩაფიქრებული. ნორვეგიის კაპიტულაციის შემდეგ მეთევზეებს როგორც ბრიტანელი ჯარისკაცების, ისე ადგილობრივი მოსახლეობის საევაკუაციოდ იყენებდნენ.

1940 წლის ნოემბერში მაიორი მიტჩელი შეტლანდის კუნძულებზე მათი საქმიანობის მოსაგვარებლად ჩავიდა. მიზანი ისეთი ორგანიზაციის შექმნა იყო, რომელიც ნორვეგიაში აგენტების შეუმჩნევლად გადაყვანას შეძლებდა, უკან დაბრუნებისას კი ლტოლვილებს წამოიყვანდა. 1942 წლიდან „შეტლანდის ჯგუფი“ ისევე როგორც „ლინგეს ასეული“, უკვე ნორვეგიის მთავრობის დაქვემდებარებაში გადავიდა. ამასთან ერთად, ნორვეგიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის საგანგებო ქვედანაყოფად ითვლება. ის დივერსიულ ოპერაციებშიც მონაწილეობდა. 1942 წელს ჯგუფის სახელგანთქმული ოფიცერი ლეიფ ლარსენი შეეცადა ორადგილიანი ტორპედო „შერიოტის“ მეშვეობით ჩაეძირა გერმანული სამხედრო გემი „ტირპიცი“, მაგრამ ძლიერმა შტორმმა ხელი შეუშალა. მოგვიანებით „შეტლანდის ჯგუფის“ მეომრები ამერიკული წყალქვეშა ნავებიდან მოქმედებდნენ, რამაც მათი ოპერატიული შესაძლებლობანი ერთიორად გაზარდა.

მძიმე მეტეოროლოგიური პირობების გამო ჯგუფმა ბევრჯერ განიცადა დანაკარგი. 1942-43 წლების ზამთარში გერმანელებმა მათი რამდენიმე გემი ჩაძირეს, რომლის დროსაც „შეტლანდის ჯგუფის“ 33 სპეცრაზმელი დაიღუპა. ერთ დღეში ყველაზე დიდი დანაკარგი ჯგუფმა 1941 წელს განიცადა, როცა გემი „ბლია“ ეკიპაჟის 43 წევრთან ერთად ჩაძირეს გერმანელებმა.

მესამე ჯგუფი, „ფინმარკის პარტიზანები“ იმ ლტოლვილებისგან

ეროვნული ბიბლიოთეკა



შედგებოდა, რომლებიც ოკუპაციის შემდეგ აღმოსავლეთში მოხვდნენ. ეს ჯგუფი შექმნა და გაწვრთნა „შინსახკომმა“ (НКВД). მათი ოპერაციები ჯერ კიდევ 1940 წელს დაიწყო. პარტიზანთა ოპერაციები ფოკუსირებული იყო ნორვეგიის ყველაზე ჩრდილოეთით მდებარე რეგიონებში: ფინმარკსა და ტრომსში.

შინსახკომი არასოდეს უთანხმებდა საკუთარ პარტიზანულ მოქმედებებს ნორვეგიის ხელისუფლებას, როგორც ამას ბრიტანელები აკეთებდნენ. ამავე დროს ჯგუფის წევრობისთვის შერჩეული პარტიზანები იძულებული იყვნენ ხელი მოეწერათ საბჭოთა დაზვერვასთან სიკვდილამდე თანამშრომლობის ხელშეკრულებაზე, რის შემდეგაც ომის შემდგომ მათ შპიონაჟში ადანაშაულებდნენ.

ამ პარტიზანებმა დიდი დახმარება გაუწიეს მე-14 საბჭოთა არმიას დასავლეთ ლიტსის რეგიონში.

პარტიზანული მოქმედებები ფოკუსირებული იყო გერმანელთა ბაზების დაზვერვით ამოცანებზე, აგენტურული ქსელის შექმნაზე, ინფორმაციის შეგროვებაზე. მათი მოქმედების ზონა ფლორით უკიდურესად ღარიბი იყო, რაც პარტიზანული ჯგუფების აღმოჩენას აადვილებდა. გარდა ამისა, მათი ნაპირზე ზაფხულში გადასხმა, როცა ოცდაოთხსაათიანი დღე იდგა, შეუძლებელი იყო, ხოლო ზამთარი ისეთი მკაცრი იყო, რომ წყალქვეშა ნავებიდან პარტიზანების ნაპირზე გადასვლაც ძნელდებოდა.

აგენტურული ქსელების შესახებ სწრაფად შეიტყო გერმანულმა კონტრდაზვერვამ, ძირითადად, ნორვეგიელთა დასახლებების დიდი გამჭვირვალობის გამო. როგორც იქნა, საბჭოთა დაზვერვა დარწმუნდა, რომ ამ რეგიონში პარტიზანული ომის მუდმივად წარმოება შეუძლებელი იყო.

სტრატეგიული დაზვერვის ჯგუფები თავიდან შედარებით იღბლიანები გამოდგნენ. ხმელეთის იზოლირებულ მონაკვეთზე გადამსხდარი რაზმები ჩვეულებრივ სამი მზვერავისგან შედგებოდნენ, მათი მისია ექვს თვეს გრძელდებოდა. სწორედ მათმა მოქმედებამ შეუწყო ხელი საბჭოთა ჯარებს ჩრდილოეთ ფინეთსა და ფინმარკში განლაგებული ვერმახტის 70-ათასიანი დაჯგუფების ინფრასტრუქტურის განადგურებაში. მათ მიერ გადაცემული კოორდინატების მიხედვით საბჭოთა ავიაცია ზუსტად ბომბავდა გერმანელთა საწყობებს, ბაზებსა და საფორტიფიკაციო ნაგებობებს. თავდაპირველად გერმანელები საბჭოთა ავიაციის ასეთ სიზუსტეს პარტიზანთა დივერსიულ საქმიანობას არ უკავშირებდნენ. 1942 წლისთვის კი ეს ფაქტი გერმანული სარდლობისთვის ნათელი შეიქნა, რის შემდეგაც გერმანულმა კონტრდაზვერვამ ოპერაციების სერია წამოიწყო. ორი ასეთი ოპერაციის შედეგად, აღმოსავლეთ ფინმარკში გამოავლინეს სადაზვერვო ქსელების უმრავლესობა.

საბჭოთა დაზვერვის მიერ გაწვრთნილი პარტიზანების ზუსტი რაოდენობა დღემდე უცნობია, სხვადასხვა მოსაზრებით კი დაახლოებით 75 კაცს მოიცავდა. მათი დანაკარგი გაცილებით შთამბეჭდავი იყო, ვიდრე დანარჩენი ორისა. ნორვეგიელი ისტორიკოსი რაგნერ ულსტერი თვლის, რომ პარტიზანთაგან 35 დაიღუპა ან სიკვდილით დასაჯეს. სხვებს კი დანაკარგთა რიცხვი 100-მდე აჰყავს.

## „ცივი ომი"

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ საგანგებო ნაწილების დიდი რაოდენობა გაუქმდა. ეს პროცესი არც ნორვეგიას ასცდენია. სამხედრო სტრატეგებს მიაჩნდათ, რომ ახალ დამცავ სისტემაში, რომელშიც ბირთვული ბომბებიც შედის, საგანგებო ძალები საჭირო აღარ იქნებოდა.

Marinejegerkommandoen (MJK) და Haerens Jegerkommando (HJK)-ს სათავეები 50-60-იან წლებშია საძებარი. ორივე ქვედანაყოფის ორგანიზება ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების რიგებში მოხდა. ქვედანაყოფი Haerens Fallskjegerskole (HFJS), HJK-ს წინამორბედი შეიქმნა 1962 წელს, როგორც ნორვეგიის არმიის ჩვეულებრივი სამხედრო მოსამსახურეთა საპარაშუტო მომზადების საწვრთნელი ცენტრი. 1966-67 წლებში ოსლოს ახლოს, ტრანდუმში დისლოცირებულმა სკოლამ ქვედანაყოფების fallskjerjegertropp-ის საპარაშუტო მომზადება დაიწყო, რომელიც მტრის ზურგში დივერსიული საქმიანობისთვის და სადაზვერვოდ იქნებოდა გათვლილი. ოცეულების შტატი ერთი წლის ნამსახურები ჯარისკაცებით შეივსო. ამავე დროს სკოლამ სახელწოდება შეიცვალა და Haerens Jagerskole დაირქვა.

MJK-ს წინამორბედი Marinejegerlaget-ი შეიქმნა 1968 წელს, თუმცა მისი ფესვები უფრო ღრმად მიდის. ეროვნული სადაზვერვო სამსახური მეორე მსოფლიო ომის დროს ჩატარებული იტალიური და ბრიტანული წყალქვეშა დივერსიული ოპერაციების შთაბეჭდილებების ტყვეობაში იმყოფებოდა. 1953 წელს მათ სამხედრო მყვინთავების პირველი კურსი გამოუშვეს. ქვედანაყოფების ამოცანები თანდათან ფართოვდებოდა. წვრთნებს დაემატა ღრმა წყალში ცურვა, შერეული წყალქვეშა ტექნიკა, გადარჩენის ოპერაციები და ა.შ.. 1968 წელს ჯგუფების ორ ნაწილად გაყოფის გადაწყვეტილება მიიღეს. დივერსიული ფუნქციები დაეკისრა Marinejegerlot-ს,

გერმანული სანაპირო დაცვის შიშით, ხარისხიანი ფოტოს გადაღება ნორვეგიელ დივერსანტებს აზრადაც არ მოსდიოდათ



ხოლო დივერსიებთან ბრძოლის ფუნქციები Minedykkertroppen-ს. MJL-ის ამოცანებში შედიოდა გემებსა და საპორტო ნაგებობებზე დივერსიული ოპერაციების ჩატარება, დაზვერვა, რეიდები და ერთობლივ სპეცოპერაციებში მონაწილეობა. MJL-ის წვრთნები პარაშუტით დესანტირებასაც მოიცავდა, ამის გამო 1965 წლიდან მჭიდრო თანამშრომლობა გაჩაღდა HFJS-თან. ოპერატიული კონცეფცია შემდეგში მდგომარეობდა: გადაესროლათ სპეცდანაყოფები პორტის ან გემის რაც შეიძლებოდა ახლოს, ოპერაციის ჩატარების შემდეგ კი მებრძოლები მედესანტეების დახმარებით გაეყვანათ სამშვიდობოს.

ტრადიციულად, ორივე ქვედანაყოფი მოქმედების სფეროებს გეოგრაფიული პრინციპით ინაწილებდა – შესაბამისად, ზღვასა და ხმელეთზე. 1978 წელს ნორვეგიის პოლიტიკურმა ხელისუფლებამ კონტრტერორისტული ქვედანაყოფების შექმნის ბრძანება გასცა, რომელიც პოლიციას დახმარებას იმ შემთხვევაში გაუწევდა, თუ ტერორისტები ჩრდილოეთის ზღვაში ნორვეგიული ნავთობის ობიექტებს ხელყოფდნენ.

მსგავსი ოპერაციების იურისდიქციას სანაპირო შელფზე, მას შემდეგ, პოლიციისა და იუსტიციის სამინისტროები ახორციელებენ.

ამის შემდეგ არმიამ HJS-ის შიგნით Fosvarets Spesialkommando (FSK) ჩამოაყალიბა. ამ ქვედანაყოფმა სრულ ოპერატიულ მზადყოფნას 1984 წელს მიაღწია. FSK-ს შექმნამ გამოიწვია ის, რომ ახლა HJS-ის წინაშე ორი ამოცანა იდგა: პარაშუტისტთა მოსამზადებელი თორმეტთვიანი კურსების გახსნა და ზღვაზე კონტრტერორისტული ოპერაციების ჩატარების სწავლებები.

იმის გამო, რომ ყურადღება კონტრტერორიზმზე იყო გამახვილებული, HJS-ს აღარ შეეძლო სპეცრაზმის ტრადიციული ფუნქციების შესრულება, რადგან პარაშუტისტები მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის ოპერაციებისთვისაა განკუთვნილი. ამავე დროს MJL-ის მებრძოლები ხმელეთზე ოპერაციების ჩატარებაში ვარჯიშობდნენ. საბოლოოდ, ორ საგანგებო ქვედანაყოფს შორის განსხვავება აღარ არსებობდა. მიუხედავად იმისა, რომ MJL-ი ყურადღებას ამახვილებს ოპერაციების სამხედრო-საზღვაო ფლოტთან ერთად ჩატარებაზე, ხოლო HJS-ი პარაშუტისტთა სახმელეთო ოპერაციებზე, ძნელი გასარკვევია, რით უნდა განსხვავდეს მათი მოქმედებების ტაქტიკა და ტექნიკა საგანგებო ოპერაციის ფინალურ სტადიაზე – ორივე ქვედანაყოფს თავიდანვე ურთიერთგადამკვეთი ამოცანები ჰქონდა.

ომის შემდეგ სამეთაურო სტრუქტურა სამსახურებრივი დაქვემდებარების პრინციპით ვითარდებოდა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან გაერთიანებულ სარდლობაზე დაქვემდებარებული ქვედანაყოფები. 1971 წელს შეიქმნა Detense Command Northern Norway, რომლის საბაზო იდეა საგანგებო ძალების ხელმძღვანელობის გაერთიანება იყო. ამ სტრუქტურის ქალაქ ბროდში შექმნა კომიტეტ Hauge II-ის მუშაობის შედეგი იყო, რომელმაც წამოაყენა იდეა, შექმნილიყო ორი ეროვნული სამეთაურო


საუკეთესო საჩუქარი
დაბადების დღისა და სხვა დღესასწაულებისთვის!!!
«მსოფლიო სპორტის» ბიბლიოთეკის I ტომი
ურუგვაიდან გერმანიამდე
პირველად – ენციკლოპედიური ხასიათის
პირველად – მსოფლიოს თვრამეტივე ჩემპიონატი ერთად
პირველად – დიდი ფორმატის, 500 გვერდიანი, მთლიანად ფერადი, ლამინირებული მაგარ გარეკანში




წიგნი, რომელიც სჭირდება ქომაგს
1930-2006 წლების მსოფლიოს თვრამეტივე ჩემპიონატის ისტორია, მასპინძელი ქვეყნების მოკლე ეკონომიკურ-გეოგრაფიული დახასიათება, შესარჩევი და ფინალური ეტაპების დაწვრილებითი სტატისტიკური მონაცემები, ჟურნალისტური მიმოხილვები და საინტერესო ფაქტები.
გამოყენებულია 1000-ზე მეტი ფერადი ფოტო და ცალკე თავი ეძღვნება ქართველი ფეხბურთელების მონაწილეობას მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპებზე.
თბილისში შეგიძლიათ შეუკვეთოთ სახლში მიტანით,
ტელ: 38-26-73; 42-43-40. (ელვა-სერვისი)
ასევე მოიკითხეთ წიგნის მაღაზიებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამხედრო ლექსიკონი

მოგეხსენებათ, ხშირია შემთხვევები, როდესაც ქართველი სამხედრო თუ სამოქალაქო პირები რუსულ სამხედრო ტერმინოლოგიას იყენებენ. ეს იმიტომ ხდება, რომ მათ ამ სიტყვების ქართული შესატყვისი არ იციან. ამ ხარვეზის გამოსასწორებლად „არსენალი" აგრძელებს რუსული სამხედრო ტერმინების ქართული შესატყვისების გამოქვეყნებას.

младший – უმცროსი

многомерный – მრავალგანზომილებიანი

многоствольный – მრავალლულიანი

многоцелевой – მრავალმიზნობრივი

мобилизационный – სამობილიზაციო

моделирование боевых деиствий – საბრძოლო მოქმედებათა მოდელირება

мореходность – ზღვაოსნობა

мореходность гидросамолета – ჰიდროთვითმფრინავის ზღვაოსნობა

мореходный – საზღვაოსნო, ზღვაოსნური

моряк – ზღვაოსანი, მეზღვაური

мост – ხიდი

мост воздушный – საჰაერო ხიდი

мост на козлах – ჯოჯგინებიანი ხიდი

мост наплавной – მოტივტივე ხიდი

мост на свайных опорах – ხიმინჯის საყრდენებიანი ხიდი

мост плавучий – მცურავი ხიდი

мост подводный – წყალქვეშა ხიდი

мост понтонный – პონტონის ხიდი

мост самоходный штурмовой – თვითმავალი საიერიშო ხიდი

мостоукладчик – ხიდგამდები

мотокран – მოტოამწე

мотопехотный – მოტოქვეითი

моторизация войск – ჯარების მოტორიზაცია

мотострелковый – მოტომსროლელი

моточас – მოტოსაათი

мошность ядерного взрыва – ბირთვული აფეთქების სიმძლავრე

мощь – ძლიერება, სიმძლავრე

мощь наступательная – შეტევითი ძლიერება

мощь огневая – ცეცხლითი სიმძლავრე

мушка – ნიშანი, სანიშნებელი

мушка кольцевая – რგოლისებრი სანიშნებელი

мушка ножевидная – დანისებრი სანიშნებელი

мушка ровная – სწორი სანიშნებელი

ცენტრი – ერთი ჩრდილოეთ ნორვეგიაში, მეორე სამხრეთში. საპასუხისმგებლო ზონები 65-ე პარალელით გაიყო. თითოეული სამეთაურო ცენტრი თავდაცვის მინისტრს ემორჩილებოდა.

1979 წელს ჩრდილოეთ ნორვეგიის სამხედრო ძალების შტაბში შეიქმნა სპეცოპერაციების სამმართველო, რომლის შემადგენლობაშიც MJL-მა და HJS-მა წვრთნა დაიწყეს ერთობლივი ოპერაციების ჩასატარებლად. უცხო ქვეყნების საგანგებო რაზმები, რომლებიც მაშინ წვრთნებში მონაწილეობდნენ, ამ სამმართველოს ემორჩილებოდნენ. ასეთი სიტუაცია ნორვეგიაში 2002 წლამდე გაგრძელდა. ცივი ომის დასასრულს ნორვეგიის სპეცოპერაციების ძალების ფუნქციები შეიცვალა. ისინი ახლა ყურადღებას სადაზვერვო ოპერაციებსა და მოწინააღმდეგის ზურგში რეიდებზე ამახვილებდნენ. თავდაცვის კონცეფციის თანახმად, ამ ქვედანაყოფებს თავიანთ ტერიტორიაზე უნდა ემოქმედა იმ შემთხვევაშიც კი, თუ „ცივი ომი" ნამდვილ ომად იქცეოდა.

## „ცივი ომის" შემდეგ – დღეს

„ცივი ომის" დამთავრების შემდეგ დაიწყო ნორვეგიის საგანგებო ქვედანაყოფების როლისა და ადგილის თაობაზე დისკუსიები. უპირველეს ყოვლისა, ყურადღება ექცეოდა ეროვნული სტრატეგიის ადეკვატურობას, რომელიც ტერიტორიის დაცვას ეყრდნობა. შეიცვალა ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობაც, რამაც სამხედრო ძალებს თავიანთი შესაძლებლობების გადასინჯვა აიძულა. 1993-2000 წლებში ხელისუფლებამ მოიწონა ორ ათეულამდე წინადადება, რომლებიც სხვადასხვა სამხედრო ქვედანაყოფის გაუქმებას ან შერწყმას შეეხებოდა, მაგრამ არც ერთი მათგანი საგანგებო რაზმებს არ შეხებია. MJL-ს, ტრადიციულად, თავისი მცირერიცხოვნობიდან გამომდინარე, კვლავ მოკრძალებული ბიუჯეტი აქვს. HJS-იც ძველებურად მზადაა ტერორიზმთან საბრძოლველად. 1997 წელს MJL შედგებოდა 40 მუდმივი წევრისგან, მობილიზაციის შემთხვევაში კი 160-მდე იზრდებოდა. HJK-ს მუდმივი შემადგენლობა 90 მებრძოლს შეადგენს, მობილიზაციისას კი – 210-ს. HJK-ს შტაბი 1997 წელს გადაიტანეს არმიის ბანაკ რენეში, ოსტერდალენის მახლობლად. ტერმინი NORSOF ორივე ქვედანაყოფის აღსანიშნავად პირველად ავღანეთის ოპერაციის დროს, 2001-2002 წლებში გამოიყენეს. 2006 წელს HJK-ს ოფიციალურად გადაარქვეს სახელი. ახლა ის Fosvarets Sesialkommando / Haerens Jegerkommando (FSK/HJK)-დ იწოდება.

ნორვეგიის სპეცქვედანაყოფების თანამედროვე ოპერაციების შესახებ ოფიციალური წყაროებისგან მწირი ინფორმაცია ვრცელდება, მაგრამ ცნობილია, რომ ისინი მონაწილეობდნენ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე NATO-ს ოპერაციებში.

ავღანეთში ნორვეგიელთა მონაწილეობაზეც ბევრი არაფერია ცნობილი, მაგრამ ის კი გახმაურდა, რომ 2001 წლიდან მათ მოწინააღმდეგის შეიარაღებული ფორმირებების ლიდერების დატყვევება ევალებოდათ. ისიც ცნობილია, რომ NORSOF-ის მებრძოლებმა ერთობლივ ოპერაციაში მონაწილეობისთვის ამერიკული სარდლობის ჯილდოები დაიმსახურეს, ხოლო ამერიკელმა გენერალმა დეილიმ, US Special Operation Commando-ს სარდალმა, განაცხადა, ჩვენი სპეცდანაყოფებიც კი ყოველთვის არ იყვნენ მომზადების იმ დონეზე, რომელიც NORSOF-ს ჰქონდაო.

თვით ნორვეგიაში HJK-ს მინიჭებული აქვს იმ კონტრტერორისტული ქვედანაყოფის როლი, რომელმაც სანაპირო ხაზის მიღმა უნდა იმოქმედოს. ამასთან, აქვს საშუალება ქვეყნის შიგნითაც იმოქმედოს, მაგრამ მსგავს სიტუაციებში პოლიციისათვის არმიის დახმარება კანონითაა შეზღუდული, ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, თუ ამ უკანასკნელს ხალხი ან ტექნიკა არ ჰყოფნის. ■





მელიკ-შაჰი



# ფარცხისის ომი

თურქ-სელჩუკების შემოსევა ახლო აღმოსავლეთისა და კავკასიის ხალხებისთვის დიდი ტრაგედია იყო. მომთაბარე ოღუზები დედაწულიანად მოდიოდნენ ახალ-ახალი ტერიტორიების დასაპყრობად. თავდაპირველად, ძირითადად, ბიზანტიის იმპერიის წინააღმდეგ იბრძოდნენ, XI საუკუნის 60-იანი წლებიდან კი სამხრეთ კავკასიის დაპყრობა დაიწყეს. 1064 და 1068 წლებში მათ საქართველოს სამხრეთი და აღმოსავლეთი პროვინციები მოარბიეს, მაგრამ მალევე გაეცალნენ იქაურობას. მომთაბარე ოღუზები ამ დროს სომხეთისა და შირვანის დაპყრობით იყვნენ დაკავებულნი. სულთანმა ალფ-არსლანმა ამ ტერიტორიის დამორჩილება თავის სარდალთაგან ყველაზე წარჩინებულ სავთენგის, ქართულ წყაროებში მოხსენიებულ სარანგს დაავალა.

1075 წლის ახლო ხანებში თურქ-სულჩუკთა სულთანი საქართველოში შემოჭრილა. ზოგიერთი ფეოდალი თავიდანვე ცდილობდა თურქებთან დაახლოებას. ივანე ბაღვაშმა თავისი ვაჟი ლიპარიტი მიაგება სულთანს საზღვართან, მაგრამ რატომღაც ლიპარიტი მალე სულთანს გამოეპარა და სამშობლოში დაბრუნდა. ლიპარიტ ივანეს ძის საქციელით განრისხებული თურქ-სელჩუკთა სულთანი სასწრაფოდ საქართველოსაკენ გამოემართა. მან რისხვა უპირველესად ბაღვაშთა სამფლობელოს დაატეხა. მალიქ-შაჰმა ალყა შემოარტყა სამშვილდეს და აიღო კიდეც. მან ივანე ლიპარიტის ძე და მისი ოჯახი, ასევე ბაღვაშთან მყოფი აზნაურები, ტყვედ იგდო. სამშვილდეში სულთნის მეციხოვნეები ჩადგნენ. ქვემო ქართლის დაპყრობის დროს მალიქ-შაჰმა ქართლის სხვა მხარეებიც მოარბია და დიდი ნადავლით უკან გაბრუნდა.

თურქ-სელჩუკებმა მალე მთელი აღმოსავლეთი ამიერკავკასია დაიპყრეს, დასამორჩილებელი რჩებოდა მხოლოდ საქართველო. სწორედ ამიტომ 1075 წლისათვის, მელიქ-შაჰის დავალებით, კავკასიაში მოქმედი ჯარების სარდალმა სარანგმა საომარი მოქმედებების დასავლეთით – საქართველოს მიმართულებით წარმართვა გადაწყვიტა. მტერს ისიც უადვილებდა საქმეს, რომ მას ქვემო



სელჩუკი მებრძოლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართლში უკვე დაკავებული ჰქონდა ერთ-ერთი ცენტრალური ციხე – სამშვილდე.

ამ დროს საქართველოში გიორგი II მეფობს. ქართული საისტორიო ტრადიცია ნამდვილად არ სწყალობს მას. ძნელია იმის დადგენა, რამ განაპირობა ამ მეფისადმი ნეგატიური დამოკიდებულება, მით უფრო გასაკვირია, რომ კრიტიკული შეფასება მისი ვაჟის, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს ეკუთვნის. როგორ უარყოფითადაც უნდა აფასებდეს მემატიანე მას, ფაქტი ერთია, გიორგი II-მ თურქ-სელჩუკებს მოუგო პირველი ყველაზე მასშტაბური ომი ფარცხისის მიდამოებში.

ქართული წყაროს მითითებით, 1075 წლისათვის თურქებს, სარანგის სარდლობით, ქვემო ქართლისკენ გამოულაშქრებიათ. მათი მიზანი იყო აქედან ქვეყნის სიღრმეში შეჭრა და მნიშვნელოვანი პუნქტების ხელში ჩაგდება. მტრის ეს მოძრაობა, რა თქმა უნდა, უყურადღებოდ არ დარჩენია საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას და, როგორც წყაროებიდან ჩანს, სამეფო კარს სამზადისიც ჯეროვანი გაუწევია მომთაბარე ოღუზთა დასახვედრად. გიორგი II-მ მოიწვია მოკავშირეები და სამეფო ლაშქართან ერთად მტრის შესახვედრად დაიძრა. თავიდან მტერი სამშვილდის სამხრეთით დაბანაკებულა ვრცელ ვაკეზე. როგორც ჩანს, სარანგი აქედან აპირებდა დაპყრობითი ომის დაწყებას. შემდეგ მტერმა ფარცხისისაკენ გადაინაცვლა. ამასობაში ქართველთა ჯარი ალგეთის ხეობაში გადავიდა და ფარცხისის ქვემოთ უცაბედად თავს დაესხა თურქ-სელჩუკებს. ფარცხისიდან გზა ორი მიმართულებით მიდიოდა – ერთი გზა ალგეთის პირზე, ბირთვისის ტბისკენ მიდიოდა, მეორე კი ფარცხისიდან სამებაზოვრეთ-დალეთზე გავლით ქვემო ქართლის ერთ-ერთ მთავარ პოლიტიკურ ცენტრში – სამშვილდეში შედიოდა. ჩვენი აზრით, სარანგს სწორედ ამ გზით უნდა ესარგებლა.




სარანგი საკმაოდ მრავალრიცხოვანი არმიის თანხლებით უნდა მოსულიყო საქართველოში. „მატიანე ქართლისას" თქმით, მელიქ-შაჰს ამიერკავკასიის საბოლოოდ დასაპყრობად სარანგისათვის დაუტოვებია ორმოცდარვა ათასი მეომარი. სარანგს მოუწვევია დვინისა და დმანისის ამირებიც, ბუნებრივია, თავ-თავიანთი ლაშქრებითურთ. ამდენად, თურქ-სელჩუკთა არმიაში დაახლოებით 40-50 ათასი კაცი შეიძლებოდა ყოფილიყო.

ქართველთა არმიაც საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჩანს. მეფეს დაურაზმავს არა მარტო „აფხაზთა სამეფოს" სამხედრო ძალები, არამედ საგანგებოდ მოუწვევია აღსართან მეფეც კახეთ-ჰერეთის ლაშქრით.

თურქ-სელჩუკთა და ქართველთა ბრძოლა სოფელ ფარცხისთან კარგა ხანს გაგრძელებულა და მხოლოდ მწუხრისას დასრულებულა. ოღუზ-თურქებმა სასტიკი მარცხი იგემეს. სარანგის მეომრებით იყო მოფენილი ფარცხისის მიდამოები. „მატიანე ქართლისა" ხატოვნად აღწერს ქართველთა გამარჯვებას: „და იოტა ბანაკი სარანგისი: გააქცია და ასწყვიდა. იყო ჟამი მწუხრისა და სიღამემან დაარჩინა ნეშტი სარანგის ლაშქრისა, და შემოიქცა უკლებლად და მშვიდობით მეფეთ-მეფე გიორგი თავისა სამეფოსა." ასე მარცხით დასრულდა სარანგის სარდლობით თურქ-სელჩუკთა მორიგი ლაშქრობა. ამ გამარჯვებამ რამდენიმე წლით გადადო თურქ-სელჩუკთა მიერ საქართველოს დაპყრობა. გიორგი II-მ ისარგებლა ამ წარმატებით და ბიზანტიელთა შემწეობით კიდევ უფრო გააფართოვა თავისი სამფლობელო.

ჯაბა სამუშია

# ჯუჯა წყალქვეშა ნავები

## ოპერაციები და პერსპექტივები

**თანამედროვე სამხედრო-საზღვაო ფლოტის ძლიერების ერთ-ერთ მთავარ კომპონენტს — ატომურ წყალქვეშა ნავებს დასაბამი დიდი ხნის წინ ერთმა ჯუჯა წყალქვეშა ნავმა მისცა.**



**დევიდ ბუშნელის „თერთლი“**

1775 წელს ჩრდილო ამერიკის დამოუკიდებლობისათვის ომში ამერიკელმა დევიდ ბუშნელმა ორი ტონა წყალწყვის გემი „თერთლი“ ააგო. მუხის ფიცრებისაგან შეკრულ კორპუსს ქოთნის ფორმა ჰქონდა და სიმაგრისათვის გარედან რკინის სალტეები ერტყა. ხელით ასამოძრავებელი ხრახნი ჰორიზონტალურ-ვერტიკალური მიმართულებით ცურვას უზრუნველყოფდა. ჩაყვინთვის დროს ერთკაციან ეკიპაჟს ჰაერის მარაგი წყალქვეშ 30 წუთს ჰყოფნიდა.

„თერთლის“ გამოცდისა და პირველი საბრძოლო დავალების შესრულების სურვილი ვაშინგტონის არმიის სერჟანტმა ეზრა ლიმ გამოთქვა.

1776 წლის 5 სექტემბერს ნიჩბიანმა ნავებმა „თერთლი“ ისთ-რივერის შუამდე მიიყვანეს. ძლიერი დინების პირობებში ეზრა ლიმ დიდი ძალისხმევით დასძლია მდინარის ქვემო წელამდე დარჩენილი მანძილი, სადაც კუნძულ სთეითენთან ბრიტანული ესკადრა იდგა და სამიზნედ 64-ზარბაზნიანი სახაზო ხომალდი „იგლი“ შეარჩია.

როგორც კი ლი „იგლის“ ახლოს აღმოჩნდა, ლიუკი დახურა, ბალასტებში წყალი შეუშვა და „თერთლმა“ ბრიტანული ხომალდის შორიახლოს ჩაყვინთა.

ამის შემდეგ ოპერაციის ყველაზე რთული და სახიფათო ნაწილი იწყებოდა. საჭირო იყო „იგლის“ ბორტში ბურღის ჩარჭობა, ბაწარზე დამაგრებული 68 კილოგრამი დენთით დატენილი ჰილზის მიქაჩვა, საათის მექანიზმის ჩართვა და 30 წუთში რაც შეიძლება შორს გაცლა.

მამაც სერჟანტს ბოლო მომენტში არ გაუმართლა. ბურღმა სპილენძით შემოჭედილ „იგლის“ კორპუსში შეღწევა ვერ შეძლო. თავად ლი კი წყლის ზედაპირზე აღმოჩნდა.

მარცხის მიუხედავად, ამერიკელებმა „თერთლის“ გამოყენება კიდევ ორჯერ სცადეს, მაგრამ ორივე შეტევა წარუმატებელი გამოდგა.

ტექნიკის მაშინდელი განვითარების პირობებში წყალქვეშა ხომალდის შექმნა შეუძლებელ ამოცანას წარმოადგენდა, თუმცა ოკეანის გადაღმა თუ გადმოღმა ნიჭიერი გამომგონებლები მასზე მუშაობას არ წყვეტდნენ.

წყალქვეშა ნავის თვისებებით მეტნაკლებად აღჭურვილი პირველი ხომალდები მოგვიანებით ამერიკის სამოქალაქო ომში გამოჩნდა. 1863-64 წლებში სამხრეთის შტატების კონფედერაციის პორტები ჩრდილოელთა ფლოტმა ბლოკადაში მოაქცია. ბამბით მოვაჭრე სამხრეთი დიდ ეკონომიკურ ზარალს განიცდიდა, ხოლო ფლოტს ბლოკადის გარღვევის ძალა არ შესწევდა.

ასეთ მდგომარეობაში მყოფ კონფედერატებს ინჟინერმა ონლეიმ სიგარისებური ფორმის, ნახევრად დაძირული კატარღის პროექტი შესთავაზა, რომელიც წყალზევით ორთქლის ძრავით, ხოლო წყალქვეშ კი ეკიპაჟის კუნთების წყალობით იცურავებდა.

შეტევისას კატარღა ნახევრად იძირებოდა და წყლის ზევით საკვამლე მილთან ერთად დამკვირვებლის ჯიხური რჩებოდა. მთავარი იარაღი 20 ფუტის სიგრძის ჭოკზე დამაგრებული 61 კილოგრამი დენთით დატენილი სპილენძის ჰილზა იყო, რომელიც მოქმედებაში დარტყმას მოჰყავდა.



**ბრიტანული XE-8 ერთ-ერთი საწვრთნელი ცურვის დროს**

ონლეის პროექტით აგებული კატარღები „დავითის“ სახელით არის ცნობილი. ერთ-ერთმა „დავითმა“ ლეიტენანტ უილიამ გლასელის მეთაურობით 1863 წლის 5 ოქტომბერს ჩარლსტონთან ფედერალების ჯავშნოსან „ნიუ აირონსაიდზე“ იერიში მიიტანა. „დავითი“ ჯავშნოსანს შეუმჩნევლად მიუახლოვდა, მაგრამ აფეთქება ნაადრევად მოხდა. კვამლის გაფანტვის შემდეგ წყლის ზედაპირზე უცნაური სურათი გამოჩნდა, — ჯავშნოსანი ადგილზე იდგა, ხოლო „დავითის“ ეკიპაჟი თავს ცურვით შველოდა.

სამხრეთელებისათვის კიდევ ერთი, 19 ტონა წყალწყვისა და 9 მეტრი სიგრძის წყალქვეშა ხომალდი გამომგონებელმა ორას ჰანლიმ შექმნა. ჰანლის გამოგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ონებას რვაკაციანი ეკიპაჟის ფიზიკური ძალა ამოძრავებდა.

ხომალდი თავიდან ბუქსირებადი ნაღმით აღიჭურვა, რომელიც შემდგომში ჭოკ-ნაღმზე დამაგრებული დენთის მუხტით შეიცვალა.

არასაიმედოობის გამო ჰანლის ხომალდი მცურავ კუბოდ მოინათლა, – ოთხჯერ ჩაიძირა და 33 კაცი იმსხვერპლა. მათ შორის მისი გამომგონებელიც აღმოჩნდა. 1864 წლის 17 თებერვალს ჩარლსტონთან ლეიტენანტმა ჯორჯ დიქსონმა ხომალდით ფედერალების 1934 ტონა წყალწყვის შლუპ „ჰაუსატონიკს" შეუტია. აფეთქებამ წყლის სიღრმისაკენ „ჰაუსატონიკსთან" ერთად წყალქვეშა ნავიც გაიყოლა. პირველი წყალქვეშა წარმატებული ოპერაცია „ჰაუსატონიკზე" ხუთი და წყალქვეშა ნავის მთლიანი ცხრაკაციანი ეკიპაჟის დაღუპვით დასრულდა.

მეორე მსოფლიო ომამდე ჯუჯა წყალქვეშა ნავები თითქმის ყველა წამყვანი საზღვაო ქვეყნის ყურადღების მიღმა დარჩა. გამონაკლისი იაპონია იყო, სადაც 1933 წლიდან საზღვაო ოფიცერთა ჯგუფი პირველი რანგის კაპიტნის კისიმიტო კანეგუსას ხელმძღვანელობით ღრმად გასაიდუმლოებულ პროექტზე მუშაობდა.

შეიქმნა 46 ტონა წყალწყვის, ორადგილიანი, ორი 450-მილიმეტრიანი სატორპედო აპარატით აღჭურვილი და ელექტროძრავებით მოცურავე A ტიპის წყალქვეშა ნავი. პროექტს ცურვის მცირე სიშორე – 80 მილი ჰქონდა.

საზღვაო გენერალურმა შტაბმა პროექტი მოიწონა, ხოლო ცურვის მცირე სიშორე სამხედროებს მაინცდამაინც არ აღარდებდათ. იაპონიის სამხედრო დოქტრინა სანაპირო წყლებში გადამწყვეტი ბრძოლების გამართვაზე იყო გათვლილი, სადაც ცურვის სიშორე დიდ როლს არ თამაშობდა.

1936 წლიდან A ტიპის ჯუჯა ნავები სერიულ წარმოებაშია და 1942 წლამდე 62 ერთეული აიგო.

იაპონიის 1940 წლის სამხედრო დოქტრინა ჯუჯა წყალქვეშა ნავებისაგან უკვე მოწინააღმდეგის ბაზებში შეღწევას მოითხოვდა, რასაც A ტიპის ნავების სამოქმედო რადიუსი არ პასუხობდა. გამოსავალი წყალზედა და წყალქვეშა ხომალდებით ტრანსპორტირება იყო.

შესაბამისი გადაკეთების შემდეგ ჰიდროავიატრანსპორტებზე – „ჩიტოზესა" და „ჩიოდაზე" ერთ-ერთი გემბანის ანგარში წყალქვეშა ნავების გადასაადგილებელი რელსები დაიგო, ხოლო წყალში ჩასაშვებად კიჩოში დიდი ლიუკი გამოიჭრა სლიპით. ხომალდებზე თორმეტ-თორმეტი ჯუჯა ნავი განთავსდა, რაც თავის მხრივ სახომალდო ავიარაზმს იმავე რაოდენობის ჰიდროთვითმფრინავით ამცირებდა. ეკიპაჟი კარგ ამინდში თორმეტივე ნავის ზღვაში ჩაშვებას 17 წუთში ახერხებდა.

წყალქვეშა ხომალდებიდან მოდერნიზაცია „ჰეი-გატა" C1 ტიპის ხუთ წყალქვეშა ნავს შეეხო და თითოეულს სავალი ჯიხურის უკან ერთი ჯუჯა ნავის მისაღები სპეციალური მოედანი გაუკეთდა.

ომმა იაპონელთა გეგმებში დიდი ცვლილებები შეიტანა და მასობრივი გამოყენების ჯუჯა წყალქვეშა ნავები მოითხოვა. გარდამავალი B ტიპის (აიგო 1 ნავი) და C ტიპის (აიგო 15 ნავი) შემდეგ „კორიუს" ტიპის ჯუჯა ნავი დაპროექტდა. სპეციალისტთა შეფასებით მეორე მსოფლიო ომში 59,7 ტონა წყალწყვის „კორიუ" ჯუჯა ნავებს შორის საუკეთესო იყო.

ელექტროძრავები „კორიუს" წყალქვეშ 15 კვანძი სიჩქარით 320 მილზე ცურვის საშუალებას აძლევდა, ხოლო დიზელ-გენერატორი აკუმულატორების დატენვას 8 საათში ასწრებდა. შეიარაღებაში იაპონიის ფლოტის სტანდარტული ორი 450-მილიმეტრიანი ტორპედო შევიდა.

ნავების ტრანსპორტირებისათვის სპეციალურად სწრაფსვლიანი სადესანტო ხომალდები აიგო, მაგრამ იაპონიის ახლოს ამერიკის ფლოტის გამოჩენამ ზღვაზე ვითარება შესამჩნევად შეცვალა და ნავები საკუთარი ქვეყნის წყლებში დამოუკიდებელ მოქმედებებზე გადავიდნენ.

1945 წლის იანვარში პირველი „კორიუ" მზად იყო. სექტემბრისათვის მისი რაოდენობა 540-მდე უნდა გაზდილიყო და ყოველ მომდევნო თვეში კიდევ ახალი 180 ნავის აგება იგეგმებოდა. ამერიკელთა დაბომბვებმა და მასალების ნაკლებობამ მშენებლობის ტემპებზე დიდი გავლენა იქონია და ომის ბოლომდე მხოლოდ 115 ნავის დასრულება მოესწრო.

1945 წლის დასაწყისში იაპონიის სანაპიროსთან გამოჩენილ ამერიკის ფლოტს თვითმკვლელი კამიკაძეების რაზმები დაუპირისპირდა. ასეთივე მისიის შესასრულებელ მომზადებას 19,2 ტონა წყალწყვის „კაირიუს" ტიპის ჯუჯა ნავების ეკიპაჟებიც გადიოდნენ. ნავები სხვადასხვა სახის საავტომობილო ძრავითა და თავიდან ორი 450-მილიმეტრიანი ტორპედოთი აღიჭურვა. ომის ბოლოს, როცა ტორპედოების ნაკლებობა იყო, ნავების საბრძოლო ნაწილში ადგილი 600-კილოგრამიანმა ფეთქებადმა მუხტმა დაიკავა. დაბალი წყალქვეშა 10 კვანძი სიჩქარის გამო თვითმკვლელ პილოტებს წარმატების ძალზე უმნიშვნელო შანსი ჰქონდათ. 1945 წლის სექტემბერში 215 „კაირიუ" მოქმედებისათვის მზად იყო, მაგრამ საბრძოლო ოპერაციებში გამოყენება ვერ მოესწრო.

იაპონურმა ჯუჯა ნავებმა ოპერაციათა მსვლელობაზე ვერანაირი გავლენა ვერ მოახდინეს. 1941 წლის 7 დეკემბერს პერლ-ჰარბორზე თავდასხმაში ხუთი ჯუჯა ნავის მონაწილეობა უშედეგოდ დასრულდა; 1942 წლის 29-30 მაისს მადაგასკარზე დიეგო-სუარესის ბაზაზე ჩატარებულ ოპერაციაში სამმა ნავმა სახაზო ხომალდ „რემილესის" დაზიანება და ერთი ტანკერის ჩაძირვა შეძლო; 1942 წლის 31 მაისს-1 ივნისს სიდნეის პორტში სამმა ნავმა შეაღწია და ერთ-ერთმა ძველი მცურავი ყაზარმის განადგურება მოახერხა; სამივე ოპერაციაში მონაწილე A ტიპის თერთმეტივე ნავი კი დაიღუპა.

გარდა ამისა, სოლომონის კუნძულებთან, ფილიპინებსა და ოკინავასთან რამდენიმე სატრანსპორტო გემის ჩაძირვა მოხერხდა. წარუმატებლად დასრულდა ალეუტის კუნძულებთან სამოქმედოდ კუნძულ კისკაზე ჯუჯა ნავების სპეციალური ბაზის შექმნის მცდელობა. ჩრდილოეთის მკაცრმა კლიმატმა ნავებს ზღვაში გასვლის საშუალება არ მისცა.

იაპონიას ჯუჯა წყალქვეშა ნავების მასობრივ გამოყენებასთან დაკავშირებული გეგმები ბოლომდე რომ მიეყვანა, მაშინ ამერიკის ფლოტის დანაკარგები, ალბათ, შესამჩნევად მოიმატებდა.

დაგვიანებით, მაგრამ მოკლე დროში, გერმანიამ ერთი საზღვაო ოფიცრის წყალობით ჯუჯა წყალქვეშა ნავების მრავალრიცხოვანი ფლოტილიის შექმნა მოასწრო.

1944 წლის თებერვალში მესამე რანგის კაპიტანი ჰანს ბარტელი თავისი იდეებით ლიუბეკის ვერფის დირექტორთან მივიდა და ერთ თვეში ჯუჯა წყალქვეშა ნავი მზად იყო. პირველი გამოცდა მარცხით დასრულდა. კონსტრუქციაში ცვლილებების შეტანამ მეორე გამოცდას წარმატება მოუტანა და 29 მარტს 6,3 ტონა წყალწყვის ჯუჯა ნავი, რომელსაც „ბიბერი" დაერქვა, სერიული წარმოებისათვის მზად იყო.

სტანდარტულ კვანძებზე შექმნილი ნავი ვერფების მუშაობას ბევრად აიოლებდა, მშენებლობაც სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა და კაპიტულაციამდე 324 „ბიბერის" აგება მოესწრო.

სახელგანთქმული U-ბოტებისაგან განსხვავებით ჯუჯა ნავების სუსტ მხარედ ომის ბოლომდე ტექნიკური აღჭურვილობისა და მართვის სისტემების არასაიმედოობა დარჩა. ამის გამო არაერთი დავალება არ შესრულდა.

საავტომობილო ბენზინის ძრავებით

ალჭურვილი „ბიბერები“ ეკიპაჟებს დიდ საფრთხეს უქმნიდა. მიუხედავად იმისა, რომ პილოტები ინდივიდუალური სასუნთქი აპარატებით იყვნენ აღჭურვილნი, დახშულ ნავში ძრავებიდან გამოყოფილი ნახშირორჟანგით მოწამვლა-დაღუპვის შემთხვევები ხშირი იყო.

„ბიბერები“ ლა-მანშის სრუტეში ღამით მოქმედებდნენ. მოკავშირეთა ავიაციისა და საპატრულო ხომალდების ბატონობის პირობებში დღისით დიდი ხნით წყალზევით ყოფნა დაღუპვას ნიშნავდა.

გერმანიის ფლოტში თვითმკვლელური მოქმედებებისათვის ოფიციალური აგიტაცია არ მიმდინარეობდა, მაგრამ ჯუჯა წყალქვეშა ნავების პილოტები ასე არ ფიქრობდნენ. მათ კარგად ესმოდათ, რომ ნებისმიერი დავალება შეიძლება უკანასკნელი ყოფილიყო.

ერთადგილიან „ბიბერში“ დიდხანს გამოკეტილი პილოტებს უაღრესად დიდი ფსიქოფიზიკური დატვირთვა ჰქონდათ და მხნეობის შესანარჩუნებლად კოლას ფოთლებით დამზადებულ პრეპარატებსა და საკვებს იღებდნენ.

უფრო საიმედო ორადგილიანი, დიზელზე მომუშავე, 14,9 ტონა წყალწყვის „ზეეჰუნდი“ გამოდგა. 1945 წლის მაისამდე 285 „ზეეჰუნდის“ დასრულება მოხერხდა.

ამ ჯუჯა ნავების გარდა, გერმანიაში 363 „მოლხის“ (წყალწყვა 11 ტონა) და სამი „ჰეხტის“ (წყალწყვა 11,8 ტონა) ტიპის ნავი აიგო. იყო რამდენიმე საინტერესო პროექტიც, რომელსაც ხელი ომის დასრულებამ შეუშალა.

გერმანული ჯუჯა ნავების ყველაზე დიდ მიღწევად 1945 წლის 23 თებერვალს ტორპედირებული ფრანგული საესკორტო ნაღმოსანი „ლა კომბატანი“ რჩება.

კრიგსმარინე ჯუჯა ნავებით არქტიკაში, კოლის ყურეში, საბჭოთა ფლოტის წინააღმდეგ დიდ ოპერაციას გეგმავდა. სპეციალურად ამ ოპერაციისათვის სამი VIIC სერიის სუბმარინა ორ-ორი „ბიბერის“ მისაღები სპეციალური სამაგრებით აღიჭურვა. 1945 წლის 5 იანვარს წყალქვეშა ნავები ჰარსტადიდან (ნორვეგია) გამოვიდნენ და 8 იანვრისათვის მურმანსკის მახლობლად უნდა ყოფილიყვნენ. პრობლემები გზაშივე გაჩნდა, როცა სატრანსპორტო წყალქვეშა ნავების დიზელებისაგან წარმოქმნილმა ვიბრაციებმა „ბიბერების“ კვების სისტემის მილსადენები მწყობრიდან გამოიყვანა. ამის შემდეგ ოპერაციაზე უარი ითქვა.

გერმანელების ფანტაზიას საზღვარი არ ჰქონდა. გროსადმირალ კარლ დენიცს ექვსძრავიანი BV-222 ტიპის მფრინავი ნავის გამოყენებით სუეცის არხის მახლობელ ტბაში „ბიბერის“ ჩაშვება სურდა. ჯუჯა ნავი სუეცის არხში შეაღწევდა და დიდი სატრანსპორტო გემის ჩაძირვით არხის პარალიზებას გამოიწვევდა.

ჯუჯა ნავებმა შესანიშნავად გაართვეს თავი ალყაშემორტყმულ დიუნკერკის გარნიზონის კვების პროდუქტებით მომარაგებას, ხოლო უკანა გზაზე სამმა ნავმა – თითოეულმა 4500 წერილი გამოიტანა.

საბრძოლო მოქმედებებში ჯუჯა წყალქვეშა ნავების გამოყენების პიონერად მაინც იტალიის ფლოტი რჩება. იტალიელებმა ჯერ კიდევ 1915-16 წლებში ენრიკო ფერატის პროექტით 37 ტონა წყალწყვის, ელექტროძრავებით მოცურავე ექვსი ჯუჯა წყალქვეშა ნავი ააგეს. დაბალი ტექნიკური პარამეტრებისა და არასაიმედოობის გამო ნავები ზღვისათვის არ გამოდგა და სამსახური ადრიატიკის ზღვის პორტებში პატრულირებით შემოიფარგლა.

ომის შემდგომ წლებში პირველი ორი იტალიური ჯუჯა ნავი C.A.1 და C.A.2 (წყალწყვა 16,1 ტონა) მწყობრში 1938 წლის აპრილში ჩადგა. გამოცდების დროს ცურვის სიშორესთან დაკავშირებულმა პრობლემებმა ნავების სამოქმედო დიაპაზონი ბევრად შეზღუდა და იტალიური წყალქვეშა სპეციალური ძალები სულ სხვა მიმართულებით განვითარდა.

გერმანელთა დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ იტალიის ფლოტს ძალზე მნიშვნელოვანი ოპერაციის ჩატარება დაევალა. სატრანსპორტო წყალქვეშა ნავს ჯუჯა ნავი წყალქვეშა მებრძოლებთან ერთად ნიუ-იორკის პორტში უნდა გადაესხა. იტალიელ დივერსანტებს გემებისა და საპორტო ნაგებობების აფეთქებით პორტის მუშაობაში ქაოსი უნდა შეეტანათ.

ოპერაცია თავიდანვე მარცხისთვის ჩანდა განწირული, მაგრამ იტალიელებმა 1941 წელს კრეისერული წყალქვეშა ნავი „ლეონარდო და ვინჩი“ საფუძვლიანად გადააკეთეს, თუმცა ტექნიკური მიზეზების გამო ოპერაცია მაინც არ შედგა.

1941-42 წლებში იტალიელები სანაპიროსა და პორტების დასაცავად C.B. ტიპის, 44,3 ტონა წყალწყვის 22 წყალქვეშა ნავის



ბრიტანული ჯუჯა წყალქვეშა ნავები როზაიტის სამხედრო-საზღვაო ბაზაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგებას შეუდგნენ და 1943 წლის სექტემბრამდე 12 მათგანი დაასრულეს.

1942 წლის ზაფხულში С.В. ტიპის ექვსი ნავი შავ ზღვაში გადმოიყვანეს, სადაც ჩვეულებრივი წყალქვეშა ნავების მსგავსად მოქმედებდნენ და მოკლე დროში ორი საბჭოთა სუბმარინის ტორპედირება მოასწრეს.

ბრიტანეთის სამეფო ფლოტის ლეიტენანტმა გოდფრი ჰერბერტმა 1909 წელს ერთადგილიანი წყალქვეშა ნავი „დივაისთორი“ დააპროექტა, რომელიც საადმირალომ დაიწუნა. ამის მიზეზი ფეთქებადი მუხტის დაყენების ოპერაცია იყო, რომელიც პილოტის უსაფრთხოების გარანტიას არ იძლეოდა.

1939 წელს საადმირალომ დივერსიულ ოპერაციებში ჯუჯა წყალქვეშა ნავების გამოყენების შესაძლებლობები სათანადოდ შეაფასა და მშენებლობა ისევ განაახლა.

პირველი ნავის – X-3-ის მშენებლობა 1942 წლის 15 მარტს დასრულდა და ექვსთვიანი გამოცდების შემდეგ „ვიკერსის“ ფირმას გაუმჯობესებული მოდელის 12 ნავის აგება დაევალა.

იმ მიზეზით, რომ ტორპედო წყალში მოძრაობის დროს კვალს ტოვებდა, სატორპედო შეიარაღებაზე უარი ითქვა და წმინდა დივერსიული დანიშნულების ჯუჯა ნავი შეიქმნა.

სერიული, 30 ტონა წყალწყვის „მიდჯეტები“ ორ 2000-კილოგრამიან ფეთქებად მუხტს ატარებდა, რომელსაც პილოტები მოწინააღმდეგის ხომალდის ქვეშ ტოვებდნენ და მოქმედებაში საათის მექანიზმით მოჰყავდათ.

ბრიტანელებმა ნავები ტრანსპორტირების მარტივი გზაც მონახეს. სამოქმედო რაიონისაკენ ჯუჯა ნავები კრეისერულ წყალქვეშა ნავებს ბუქსირზე ჩაბმული მიჰყავდათ. სულ ბრიტანეთის ფლოტმა 31 ჯუჯა ნავი მიიღო და მცირერიცხოვნობის მიუხედავად, რამდენიმე წარმატებული ოპერაცია მაინც ჩატარდა.

1943 წლის 22 სექტემბერს ნორვეგიაში, ალტენ-ფიორდში, ექვსმა ბრიტანულმა „მიდჯეტმა“ შეაღწია და პილოტებმა გერმანული სახაზო ხომალდი „ტირპიცი“ დანაღმეს. „ტირპიცმა“ მძიმე დაზიანებები მიიღო და ომის ბოლომდე მისი გარემონტება ვერ მოესწრო.

ნორმანდიაში მოკავშირეთა ჯარების შეჭრის დროს ჯუჯა ნავები სადესანტო ხომალდებს გზას უჩვენებდნენ.

წყნარ ოკეანეში თავი ისახელეს XE-1-ის და XE-3-ის ეკიპაჟებმა, რომლებმაც სინგაპურის მახლობლად 1945 წლის 30-31 ივლისს იაპონელთა მძიმე კრეისერი „ტაკაო“ ააფეთქეს.

*(დასასრული შემდეგ ნომერში)*

*თემურ ჩაჩანიძე*

**შავი ზღვის ფლოტის საზღვაო ავიაციის ისტორიაში 1910 წლის 29 სექტემბერს (ახალი სტილით) გამორჩეული ადგილი უკავია. იმ დღეს საზღვაო ლეიტენანტმა, დიპლომირებულმა სამხედრო მფრინავმა სტანისლავ დოროჟინსკიმ ხმელეთზე გამოცდის შემდეგ სევასტოპოლში კულიკოვოს ველზე ჰაერში 50 მეტრის სიმაღლეზე ფრანგული წარმოების ,,ანტუანეტას" ტიპის თვითმფრინავი გამოცადა.**

1910 წლის 11 ნოემბერს სევასტოპოლში საავიაციო სკოლა გაიხსნა, სადაც საზღვაო და სახმელეთო მფრინავების მომზადება დაიწყო. სკოლა რამდენიმე ქართველ მფრინავსაც აქვს დამთავრებული.

მფრინავობა პრესტიჟულ პროფესიად ითვლებოდა და სკოლადამთავრებულს თეორიული კურსის დასრულების, პრაქტიკის გავლისა და გამოცდების ჩაბარების შემდეგ საზღვაო მინისტრის ბრძანებით სამხედრო მფრინავის ოფიციალური წოდება ენიჭებოდა. მფრინავები მუნდირის მარჯვენა მხარეს სპეციალური ნიშანს ატარებდნენ.

იმდროინდელი თვითმფრინავები სუსტი ტექნიკური შესაძლებლობების გამო ზღვაზე მზვერავისა და მეკავშირის როლს თუ შეასრულებდნენ, ამიტომ საზღვაო ავიაცია ფლოტის კავშირგაბმულობის სამსახურის დაქვემდებარებაში შევიდა. 1911 წლის აპრილში გადაწყდა ორი საავიაციო დანაყოფის შექმნა, თითოეული სამ-სამი თვითმფრინავით. 1912 წლის ზაფხულისათვის დანაყოფების ხუთ თვითმფრინავამდე შევსება ძლივს მოხერხდა.

პირველი მსოფლიო ომის წინ შავ ზღვაში რუსული საფრენი აპარატების რაოდენობა 16-მდე გაიზარდა. მათ შორის იყო ტივტივებიანი 7 „კერტის F“, რამდენიმე მფრინავი ნავი „კერტის M“, 3 „მორანსოლნე“, ამფიბია „კოდრონი“ და ა.შ.

შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში რუსეთის ერთადერთი დასაყრდენი ბათუმი იყო, საიდანაც მომავალ ომში თურქეთის სანაპიროს გასწვრივ შეტევის განვითარება შეიძლებოდა. ასეთი მნიშვნელობის მიუხედავად, ქალაქი ზღვის მხრიდან დაუცველი რჩებოდა.

1914 წლის 29 ოქტომბერს გერმანულ-თურქულმა ხომალდებმა ოდესა, სევასტოპოლი, ნოვოროსიისკი და რუსეთის სხვა საპორტო ქალაქები დაბომბეს. ამის შემდეგ ბათუმში შეიარაღებული სამოქალაქო გემებით საზღვაო რაზმი ჩამოყალიბდა, რომელსაც საკმარისი ძალა არ ჰქონდა. რაზმს ერთგვარ კომპენსაციას 1914 წლის ბოლოს პორტის აკვატორიაში ამოქმედებული პირველი თანრიგის საავიაციო სადგური უკეთებდა. სადგურის განკარგულებაში მყოფ სამ თვითმფრინავს საქართველოს მთელი სანაპიროს გაკონტროლება არ შეეძლო, ამიტომ მოგვიანებით ფოთსა და სოხუმში დამატებით საჰაერო პოსტები გაიხსნა.

პირველი თანრიგის საავიაციო სადგური საზღვაო-საჰაერო ბაზის მოვალეობას ასრულებდა და ჰიდროთვითმფრინავების მუდმივი ბაზირებისათვის იქმნებოდა. სადგურს ჰქონდა ანგარები, სარემონტო სახელოსნოები, საწვავისა და საპოხ-საზეთი მასალების საწყობები, კავშირგაბმულობის აპარატურა, საფრენოსნო ტექნიკური პერსონალისათვის საჭირო შენობები, ლაზარეთი და ა.შ..

ომმა საზღვაო ავიაციის სამოქმედო არეალი კიდევ უფრო გააფართოვა და ჰიდროთვითმფრინავების მოვალეობაში შევიდა: მოწინააღმდეგის ხომალდების გადაადგილებაზე ინფორმაციის მოპოვება, ნაღმების ღობურების დადგენა და მასში ხომალდებისათვის გასასვლელი ადგილების ძებნა, წყალქვეშა ნავების აღმოჩენა-განადგურება, სახომალდო არტილერიის ცეცხლის კორექტირება, მოწინააღმდეგის ხომალდებისა და სანაპირო ობიექტების დაბომბვა.

ბათუმის მცირერიცხოვანი საავიაციო რაზმი პერიოდულად სხვა რაზმების ხარჯზე ძლიერდებოდა. 1915 წლის 12-13 ივლისს ბათუმში მივლინებულმა ლეიტენანტებმა კაჩინსკიმ და ლომანოვმა „მორან სოლნეს“ ტიპის ორი თვითმფრინავით არხავში მეჩეთი დაბომბეს, სადაც დაზვერვის მონაცემებით სამხედრო აღჭურვილობა ინახებოდა. დაბომბვის შემდეგ ხანძარი მთელი დღე მძვინვარებდა.

1916 წლის მეორე ნახევრიდან კავკასიის სანაპიროსთან კრეისერობა გერმანულმა წყალქვეშა ნავებმა დაიწყეს. გერმანელები ბაზირებისათვის ბულგარეთის პორტებს იყენებდნენ. 1916 წლის მარტ-აგვისტოში კავკასიის სანაპიროსთან U-33-სა და U-38-ის მოქმედების შედეგად რუსეთის ფლოტმა ცხრა გემი დაკარგა. U-38-მა გაგრასთან რუსული 429 ტონა წყალწყვის „ორიონი“, სოხუმთან ასევე რუსული 3000 ტონა წყალწყვის სატრანსპორტო გემი №72 და ფოთთან იტალიური 2660 ტონა წყალწყვის „ტევერე“ ჩაძირა.

წყალქვეშა ნავებთან ბრძოლა საზღვაო ავიაციის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა გახდა. იყო შემთხვევები, როცა სოხუმიდან, ბათუმიდან ან რიზედან გამოფრენილი ჰიდროთვითმფრინავების გამოჩენის შემდეგ გერმანელები შეტევაზე უარს ამბობდნენ და ბაზაში დაბრუნებას ამჯობინებდნენ.

1916 წლის 15 აგვისტოს რუსულმა საპატრულო თვითმფრინავმა ბიჭვინთის კონცხთან წყალს ზემოთ გერმანული წყ-

# საზღვაო ავიაციის ოპერაციები საქართველო-ლაზეთის სანაპიროსთან 1914-18 წლებში



ჰიდროთვითმფრინავი M-9

ალქვეშა ნავი U-33 შეამჩნია. სოხუმიდან სამი თვითმფრინავი გამოფრინდა და პილოტებმა გერმანულ სუბმარინას სამი დიდი და ამდენივე პატარა ბომბი ესროლეს. უცნობია, მოხერხდა თუ არა U-33-ის დაზიანება, მაგრამ წყალქვეშა ნავმა კრეისერობა შეწყვიტა და უკან, ვარნაში, თავისი ბაზისკენ გაცურა.

1916 წლის დასაწყისში შავი ზღვის ფლოტის განკარგულებაში მყოფი სამი სახომალდო და შვიდი სახმელეთო საავიაციო რაზმი 34 გამართულ და 11 სარემონტო ჰიდროთვითმფრინავს ითვლიდა. საავიაციო სადგურებსა და პოსტებზე თვითმფრინავების რაოდენობა მუდმივი არ იყო და ოპერატიული მდგომარეობის მიხედვით იცვლებოდა. 1916 წლის აპრილში რიზეში 6, ივნისში ტრაპიზონში 2, დეკემბრის ბოლოს ბათუმში 9 და ივლისში სოხუმში 6 ჰიდროთვითმფრინავი ბაზირებდა.

ამერიკული „კერტისის“ წარმოების ჰიდროთვითმფრინავები სუსტი ძრავების გამო მფრინავებს არ მოსწონდათ, ამიტომ ახალი მოდელების შექმნაზე რამდენიმე რუსი ავიაკონსტრუქტორი მუშაობდა. 1915 წლის ადრეულ გაზაფხულზე გრიგორევიჩის კონსტრუქციის M-5 ტიპის ჰიდროთვითმფრინავი გამოჩნდა. M-5 საკმაოდ კარგი და საიმედო აპარატი გამოდგა, რომლითაც აპრილში პირველი საბრძოლო გაფრენები შესრულდა.

მაშინდელი საფრენი აპარატების შეზღუდული ტექნიკური პარამეტრები დიდ მანძილებზე მოქმედების საშუალებას არ იძლეოდა. ჯერ კიდევ ომამდე გაჩნდა მოსაზრება, რომ სპეციალური ავიასატრანსპორტო ხომალდების გამოყენებით თვითმფრინავების სამოქმედო რადიუსი გაიზრდებოდა.

საბრძოლო მოქმედებათა ხასიათმა ავიასატრანსპორტო ხომალდების საჭიროება ძალიან მალე წარმოშვა და 1914 წლის ბოლოს სევასტოპოლის დოკები ორი სამგზავრო გემის გადაკეთებას შეუდგნენ.

1915 წლის თებერვალში შავი ზღვის ფლოტს ავიატრანსპორტები „იმპერატორი ნიკოლაი I“ და „იმპერატორი ალექსანდრე I“ შეემატა. პირველ ხომალდზე შვიდი, ხოლო მეორეზე კი რვა ჰიდროთვითმფრინავი თავსდებოდა. ჰიდროთვითმფრინავები სევასტოპოლში ბაზირებდნენ და ხომალდების სპეციალურ სადგომში ან ანგარში ოპერაციის წინ იტვირთებოდნენ. გაფრენის შესასრულებლად თვითმფრინავს წყალზე სატვირთო ისრის დახმარებით უშვებდნენ.

1915 წლის 11 მარტს თურქეთის სანაპიროსაკენ გაგზავნილი შავი ზღვის ფლოტის საბრძოლო ხომალდების რაზმის შემადგენლობაში პირველად შევიდა ავიატრანსპორტი „იმპერატორი ნიკოლაი I“. ამის შემდეგ ოპერაციებში ავიატრანსპორტებისა და ჰიდროთვითმფრინავების მონაწილეობამ რეგულარული ხასიათი მიიღო.

1915 წლის აპრილიდან შავი ზღვის ფლოტს მესამე ავიატრანსპორტი, ყოფილი კრეისერი „ალმაზი“ დაემატა. „ალმაზი“ სამ ჰიდროთვითმფრინავს იტევდა.

შავი ზღვის ფლოტის ავიაციის მნიშვნელოვან წარმატებად ითვლება 1916 წლის თებერვალში ზონგულდაქის რაიონში ჩატარებული ოპერაცია. ზონგულდაქის საბადოები ქვანახშირის მრეწველობის მთავარი ცენტრია და იქ მოპოვებულ სათბობს გერმანია-თურქეთის ფლოტი იყენებდა.

სხვადასხვა ხომალდთან ერთად, ოპერაციაში ავიატრანსპორტები „იმპერატორი ნიკოლაი I“ და „იმპერატორი ალექსანდრე I“ მონაწილეობდა. ხომალდებზე M-5 ტიპის 14 ჰიდროთვითმფრინავი მოთავსდა. 6 თებერვლის დილით ზონგულდაქის მახლობლად ხომალდებმა თვითმფრინავები წყალში ჩაუშვეს, მაგრამ ტექნიკური მიზეზების გამო სამი მათგანის გამოყენება ვერ მოხერხდა.

რუსმა პილოტებმა საერთო წონით 368 კილოგრამი, 18 დიდი და 20 პატარა ბომბი ჩამოაგდეს. ქვანახშირის დატვირთვაზე მყოფ 4 ათას ტონაზე მეტი წყალწყვის სატრანსპორტო გემ „ირმინგარდს“ 8 ბომბი ესროლეს. მიზანს მხოლოდ ერთი მოხვდა და გემი ჩაიძირა. დაიბომბა პორტისა და რკინიგზის ნაგებობები, ხოლო ერთმა თვითმფრინავმა რუსულ ხომალდზე გერმანული წყალქვეშა ნავის შეტევა ჩაშალა.

საჰაერო თავდასხმა სანაპირო არტილერიისა და ჯარისკაცების შაშხანების ძლიერი ცეცხლის თანხლებით მიმდინარეობდა, მაგრამ თურქებმა ვერც ერთი თვითმფრინავის ჩამოგდება ვერ შეძლეს.

შავი ზღვის ფლოტის სარდლის, ადმირალ ანდრეი ებერგარდის დამსახურება იყო, რომ ავიაცია სანაპირო-სადაზვერვო საშუალებიდან შორეული მოქმედების შემტევ ძალად გადაიქცა.

საზღვაო ავიაციის გამოყენების კიდევ ერთი მიმართულება სახმელეთო ჯარებისათვის დახმარების გაწევა იყო, რაც პირველ რიგში სანაპირო-სახმელეთო აეროდრომების არარსებობით იყო გამოწვეული. 1915 წლის დეკემბერში ტრაპიზონის მიმართულებით მოქმედ კავკასიის არმიის სანაპირო რაზმს ავიატრანსპორტ „ალექსანდრე I“-დან დროებით ორი ჰიდროთვითმფრინავი M-5 გადაეცა. მფრინავები არმიის სპეცდავალებებს ასრულებდნენ. ამ ექსპერიმენტს იმდენად დიდი წარმატება ჰქონდა, რომ ოდესაში ოთხი M-5-ით ცალკეული რაზმი ჩამოყალიბდა და 1916 წლის მარტში რაზმი სადესანტო ჯარებთან ერთად რიზეში გადავიდა, სადაც ბაზა მოეწყო.

სახმელეთო ჯარების ინტერესებისათვის საზღვაო ავიაციის გამოყენებამ ის მოიტანა, რომ მალე რაზმი დივიზიონამდე გაიშალა.

დივიზიონის მოვალეობაში შევიდა: დესანტის გადმოსხმის ადგილის განსაზღვრა, დესანტის დაცვა, ადგილმდებარეობის დაკვირვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა-დაზვერვა, არტილერისტთა სროლის კორექტირება და ა.შ. საზღვაო მფრინავებს ხმელეთზე 25-30 კილომეტრისა და ზოგჯერ 60 კილომეტრის სიღრმეში შესვლა უხდებოდათ. ფრენა ზღვის დონიდან 700 მეტრის სიმაღლეზე მიმდინარეობდა. რელიეფის თავისებურებები ჰიდროთვითმფრინავების ფრენაზე დიდ გავლენას ახდენდა.

ზოგჯერ ჰიდროთვითმფრინავები დაზვერვის მიზნით რიონისა და ჭოროხის ხეობებში შემოდიოდნენ. ჭოროხის ხეობაში ხშირად ძლიერი შემხვედრი ქარი ქროდა, რომელიც სანაპიროდან 12 კილომეტრშიც კი იგრძნობოდა.

ძრავები არაერთხელ გამხდარა ზღვაზე იძულებითი დაჯდომის მიზეზი, ხოლო არაორგანიზებულ სამაშველო სამსახურს დახმარების დროულად გაწევა არ შეეძლო.

1916 წელს მფრინავი გოლოვინოვი თურქეთის სანაპიროდან 6 კილომეტრის დაშორებით დაჯდა, მაგრამ ზღვის დინებამ თვითმფრინავი 120 კილომეტრით წაიღო და 59 საათის შემდეგ ტრაპიზონის მახლობლად შეამჩნიეს. 1918 წლის ზაფხულში სოხუმისაკენ M-5-ით მფრინავი კოროლიოვი გაფრინდა, მაგრამ დანიშნულების ადგილს არ მიუღწევია, უკვალოდ დაიკარგა.

თურქეთს საზღვაო ავიაცია საერთოდ არ ჰყავდა და რუსულ აპარატებს ვერაფერს უპირისპირებდა. შავ ზღვაში გერმანიის ფლოტის ავიაცია 1915 წელს გამოჩნდა და ტივტივებიანი ჰიდროთვითმფრინავების რაზმი ტრაპიზონში განთავსდა. ამის გამო რუსებმა ბათუმის რაზმი რამდენიმე ერთადგილიანი M-11 და ორადგილიანი M-12 გამანადგურებელი საზღვაო ნავით გააძლიერეს. თუმცა საჰაერო ბატალიები არ შედგა. კლდეებზე რამდენიმე გერმანული ჰიდროთვითმფრინავის დამსხვრევის შემდეგ, რაზმი მალე უკან გაბრუნდა.

შავი ზღვის ფლოტის სარდლის 1916 წლის 30 იანვრის ბრძანებით საზღვაო ავიაციამ ორგანიზაციული ცვლილებები განიცადა და საჰაერო დივიზიად ჩამოყალიბდა. დივიზიის დაქვემდებარებაში მყოფი მეორე საჰაერო ბრიგადის შემადგენლობაში შევიდა მეხუთე საჰაერო დივიზიონის სადგური „ბათუმი“, პოსტები: „პლატანა“, „რიზე“, „ფოთი“ და „სოხუმი“. იმავე ბრძანებით სადგურ „ტუაფსეს“ დაქვემდებარებაში „გაგრის“ პოსტი შევიდა. განზრახული იყო პოსტ „სოხუმის“ თვითმფრინავების რაოდენობის გაზრდით სადგურად გადაკეთება.

1917 წლის ბოლოსათვის შავი ზღვის საავიაციო დივიზია 152 თვითმფრინავს ითვლიდა, მაგრამ ნოემბრის გადატრიალების შემდეგ მისმა აქტიურობამ შესამჩნევად იკლო.

1916 წლის აგვისტოში, მას შემდეგ, რაც რუმინეთი ანტანტის ქვეყნების მხარეს გადავიდა, შავი ზღვის ფლოტს რამდენიმე რუმინული გემი დაემატა. ხუთი მათგანი ავიატრანსპორტად გადაკეთდა, საიდანაც „რუმინია“, „დაკია“, „კაროლ კარლი“ და „იმპერატორი ტრაიანი“ სტანდარტული შეიარაღებით: ოთხი 152 მმ-იანი, ერთი 75 მმ-იანი ქვემეხითა და ოთხი ჰიდროთვითმფრინავით აღიჭურვა.

შავი ზღვის ფლოტის ავიაცია და რუმინული ავიატრანსპორტები 1918 წელს საქართველოს პორტებში მთელ რიგ მოვლენათა თანამონაწილენი იყვნენ.

1918 წლის 28 თებერვალის ტრაპიზონიდან სევასტოპოლისკენ მიმავალი ავიატრანსპორტი „დაკია“ სოხუმში იმ დროს შევიდა, როცა ქალაქში აფხაზები ბოლშევიკებთან ერთად ძალაუფლების ხელში ასაღებად იბრძოდნენ.

1917 წლის ნოემბრის მოვლენებს რუსეთში ბოლშევიკებისგან ოფიცრების დახვრეტის მთელი კამპანია მოჰყვა. იგივე სულისკვეთება ამოძრავებდათ ნაპირზე გადასულ „დაკიას“ მატროსებს, რომლებმაც ბოლშევიკური ძალადობის დემონსტრირება სოხუმში მოინდომეს. ბულვარზე პრაპორშჩიკი, თავადი ნიკოლოზ ემხვარი შეაჩერეს და მეფის არმიის ოფიცრის სამხრეების მოხსნა მოსთხოვეს, რაზეც კატეგორიული უარი მიიღეს. გათავხედებულმა მატროსებმა ოფიცერს სამხრეები ძალით აგლიჯეს. თავმოყვარეობაშელახულმა ემხვარმა რევოლვერით ერთი მატროსი მოკლა, მეორე კი დაჭრა და გაიქცა.

ინციდენტი სოხუმში ბოლშევიკების გამოსვლებისა და ულტიმატუმის მიზეზი გახდა. მატროსები ემხვარის დაკავებას, მოკლული მატროსის ოჯახისთვის 15 ათასი მანეთისა და, რაც მთავარია, სოხუმში ხელისუფლების ბოლშევიკური სამხედრო-რევოლუციური კომიტეტისთვის გადაცემას მოითხოვდნენ.

ეს შემთხვევა ცნობილ ქართველ მწერალს ლეო ქიაჩელს თავის ნაწარმოებში „ჰაკი აძბა“ შესანიშნავად აქვს აღწერილი.

„დაკიას“ მრავალრიცხოვანი მგზავრები ეკიპაჟს სოხუმში დიდი ხნით დაყოვნების საშუალებას არ აძლევდნენ და 1-ელ მარტს 22 საათზე გემი ზღვაში ისე გავიდა, რომ ეკიპაჟი ულტიმატუმის შესრულებას აღარ დაელოდა. ბათუმში კი ტელეგრამა გაიგზავნა: „სასწრაფოდ გამოგზავნეთ სოხუმში ორი ნაღმოსანი ან დიდი საბრძოლო გემი“.

ამასთან, სოხუმიდან ბათუმისკენ ჰიდროთვითმფრინავი გაფრინდა. მფრინავმა საჰაერო აპარატი ბათუმის ყურეში, საესკადრო ნაღმოსან „დერზკისთან“ ახლოს დასვა და მატროსებს აფხაზი ბოლშევიკების თხოვნა გადასცა.

„დერზკი“ თხოვნას ოპერატიულად გამოეხმაურა. სოხუმისაკენ სრული სვლით წამოვიდა და 2 მარტს ქალაქის მიმართულებით 5-6 გასროლით აფხაზებს მოახლოება ამცნო, ხოლო ნაპირზე გადმოსასხმელად 70-კაციანი შეიარაღებული რაზმი მოამზადა.

3 მარტს სოხუმს სევასტოპოლიდან მომავალი მეორე რუმინული ავიატრანსპორტი „კაროლ კარლი“ მოადგა. აფხაზებს გული მიეცათ. ბოლშევიკებმა საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ კრეისერის არტილერიასთან ერთად ჰიდროთვითმფრინავებიც გამოიყენეს. თუმცა „კაროლ კარლის“ ეკიპაჟს რევოლუციური შემართება დიდხანს არ ეყო. 5 მარტს სოხუმის რეიდიდან მოიხსნა და ბათუმისაკენ წავიდა. გადაწყვეტილება, რომლის მიზეზი, ალბათ, საქართველოს ხელისუფლებისგან ეკიპაჟის მოსყიდვა ან რაღაც დაპირებები იქნებოდა. ამ ეჭვს ისიც აძლიერებს, რომ კრეისერის გასვლისთანავე სოხუმიდან ბოლშევიკები გაიქცნენ.

შემდგომში „კაროლ კარლით“ საქართველოს სამთავრობო დელეგაცია ტრაპიზონში თურქებთან მოსალაპარაკებლად გაემგზავრა. რამდენიმე დღის შემდეგ ავიატრანსპორტმა დელეგაცია ტრაპიზონში მიატოვა და ბათუმში დაბრუნდა.

შავი ზღვის ფლოტის ხომალდების თვითნებობის აღსაკვეთად და სრულად გაკონტროლების მიზნით 1918 წლის 17-18 მარტს, გამთენიისას, ქართულმა ქვედანაყოფებმა ბათუმის პორტში მყოფი რუსული სამხედრო ხომალდები და კომერციული გემები დააკავეს. ქართველი სამხედროების ხელში გადავიდა ავიატრანსპორტი „კაროლ კარლიც“, მაგრამ საზღვაო ოფიცრების ნაკლებობის გამო ხომალდის გამოყენება ვერ მოხერხდა.

1919-20 წლებში ბათუმი ბოლშევიკების წინააღმდეგ მებრძოლი ძალების იარაღითა და ტექნიკით მომარაგების მთავარ ცენტრად გადაიქცა. 1919 წლის გაზაფხულზე ბათუმის გავლით ბაქოში ჩავიდა ბრიტანეთის არმიის 221-ე საავიაციო რაზმი და 62-ე საავიაციო ფრთის შტაბი პოდპოლკოვნიკ ბოუჰილის მეთაურობით. რაზმი „დე ჰევილენდ“ DH-9a ტიპის თვითმფრინავებით იყო აღჭურვილი.

შავი ზღვის ფლოტის ავიაციაში რამდენიმე ქართველი მფრინავი მსახურობდა, თუმცა მათი დამსახურების შესახებ თითქმის არაფერია ცნობილი.

მიჩმან ბერიძეს 1916 წლის 28 ივნისს საზღვაო მინისტრმა სამხედრო მფრინავის წოდება მიანიჭა.

1917 წლის მაისიდან შავი ზღვის ფლოტის საჰაერო დივიზიონში მფრინავ-დამკვირვებლად მივლინებული იყო პორუჩიკი თავადი ერისთავი. მანამდე ის მოსკოვის სამხედრო ოლქის მეხუთე საავიაციო ასეულის გრენადერთა საკორპუსო ავიარაზმში მსახურობდა.

შავი ზღვის ფლოტის პირველი საჰაერო ბრიგადის მესამე საჰაერო დივიზიონში მსახურობდა სამხედრო მფრინავი, პრაპორშჩიკი კანდელაკი.

*თემურ ჩაჩანიძე*

# არსენალვორდი



**თარაზულად:** 6. სამხედრო ავიაციის ქვედანაყოფი; 7. „სმით ვესონის“ მოდელი; 8. სასროლეთი; 9. იტალიური რევოლვერი; 12. ისრაელის წარმოების პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი; 13. შეიარაღებული კონფლიქტი; 15. ინდური ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსი; 18. სემინოლების ბელადი; 19. ფრანგული ავტომობილი; 20. დახურული ტიპის სამხედრო საშუალო სასწავლებლის მოსწავლე; 21. ციმბირის დამპყრობი; 22. საიდუმლო სამხედრო პოლიცია ფაშისტურ გერმანიაში; 24. იტალიური ავიაკომპანია; 26. ლაშქარი; 27. საჯარისო შენაერთი; 29. ხასიათი; 30. აზრი, ჩანაფიქრი; 31. ინგლისური რევოლვერი.

**შვეულად:** 1. ჯარების გადასხმა მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე; 2. ერთადგილიანი სპორტული ნავი; 3. ძველებური პატრუქიანი თოფი, რომელიც ლულიდან იტენებოდა; 4. რუსეთის ექსპრეზიდენტი; 5. საჯარისო ერთეული ძვ. რომში; 9. ნორვეგიული პისტოლეტი; 10. ოფიცრის წოდება; 11. სამხედრო მატარებელი; 14. ესპანური პისტოლეტ „ერმანოსის“ მოდელი; 16. რუსეთის დედაქალაქი; 17. მექსიკური პისტოლეტი; 23. ინდონეზიური პისტოლეტი; 24. ესპანეთის ფეხბურთის გუნდი; 25. იტალიური ავტომატური შაშხანა; 28. მიწის ქალღმერთი ბერძნ. მით-ში. 29. ისრის წვერი.

*ჟურნალის წინა ნომერში გამოქვეყნებული „არსენალვორდის“ პასუხები:* *თარაზულად:* 4. ფიოდოროვი; 6. პარაბელუმი; 7. ნიკე; 9.შატლი; 10. ჭადრაკი; 13. ყუა; 14. გარატე; 16. რობარი; 17. იტალია; 19. სატა; 20. იდიოტი; 22. ბრედლი; 24. მატელოტი; 27. ატილა; 28. ჰამადა; 29. ნესტა; 31. მოსე; 32. მიროკუ; 33. ფიცი; *შვეულად:* 1. პირატი; 2. ბომბი; 3. ავგუსტო; 5. მილიტარიზაცია; 8. კა; 9. შოუბოე; 10. ჭოგრიტი; 11. დაღტანიანი; 12. კლემანი; 15. გარანდი; 18. შუბი; 21. ტომაჰავკი; 23. მაგნუმი; 25. ვშაფოტი; 26. ოჯალეში; 30. სური.



# ტანკს გადარჩენის შანსი მიეცა?!

ჯავშანტექნიკის გამანადგურებელი საშუალებების სწრაფად განვითარებამ საეჭვო გახადა ტანკებისა და შეჯავშნული მანქანების ბრძოლაში გამოყენების პერსპექტივები.

ტანკისა და ეკიპაჟის სიცოცხლისუნარიანობის პრობლემის გადაწყვეტა ჯავშნის სისქის გაზრდის ხარჯზე წარმოუდგენელია, რადგან ძალზე იზრდება ჯავშანმანქანის მასა. მძლავრი ჯავშანი აღარ არის ჯავშანტექნიკის გამძლეობის გარანტია. უამრავი ტანკსაწინააღმდეგო საშუალებებით გაჯერებულ ბრძოლის ველზე საბრძოლო ჯავშანმანქანისა და მისი ეკიპაჟის გადასარჩენად სამხედრო ინჟინრებმა და მეცნიერებმა მაღალტექნოლოგიური აქტიური დაცვის საშუალებები მიიჩნიეს, რომლებიც ტანკისკენ გასროლილი ყველა ტიპის კუმულაციური რაკეტის ტრაექტორიის შეცვლას ან განადგურებას უზრუნველყოფს.

ისრაელისა და აშშ-ის შეიარაღებულ ძალებში ინტენსიურად მიმდინარეობს ჯავშანტექნიკის ახალი, აქტიური დაცვის საშუალებების გამოცდა-დამუშავება, რაც ყველაზე თანამედროვე საიდენტიფიკაციო მოწყობილობების გამოყენებით მიიღწევა. ისინი მნიშვნელოვნად ამაღლებენ ჯავშანტექნიკის სიცოცხლისუნარიანობას.

აქტიური დაცვის კომპლექსები, ანუ Active Protection System (APS), უკვე ტანკის აუცილებელ კომპონენტებად ითვლება განვითარებული ქვეყნების შეიარაღებულ ძალებში.

ისრაელში ჯავშანტექნიკის აქტიური დაცვის საშუალებებზე მუშაობს სამხედრო-სამრეწველო კონცერნი RAFAEL-ი. მრავალრიცხოვან პროექტებს შორის აღნიშვნის ღირსია APS Iron First Trophy. ისრაელი ამ მიმართულების ლიდერია. აქტიური დაცვის სისტემა Trophy-ი, მსოფლიოში პირველი APS-ია, რომელიც სერიული წარმოების ტანკ „მერკავა VR4“-ზეა დამონტაჟებული.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ჯავშანტექნიკის აქტიური დაცვის საშუალებების დამუშავება არმიის ავტოჯავშანტექნიკის სამმართველოს მეთვალყურეობით მიმდინარეობს, ესაა პროგრამები: Full Spectrum Active Proctetion (FSAP) და Full Spectrum Active Proctetion Close-In Shield (FCLAS) ამერიკული APS-ებისგან აღნიშვნის ღირსია Army Active Protecton Sistem (IAAPS), რომელიც კომპანია Northrop Grumman Space Technology APS და ფირმა United Defense-ის დამუშავებული APS CICM. უნდა ითქვას, რომ ამერიკელები, დამუშავებული სისტემის ხარისხის თვალსაზრისით, მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან ისრაელელ კოლეგებს. (FSAP)-ის კონცეფციაში ჯავშანტექნიკის ყველანაირი ტიპის კუმულაციური საომარი საშუალებისგან დაცვაა გათვალისწინებული. FSAP-ში შედის ტექნიკური და საპროგრამო მოდულების ფართო სპექტრი, რომელთა დანიშნულებაც ჯავშანმანქანასთან მიახლოებული ნებისმიერი რაკეტის, ჭურვის ან ყუმბარის განადგურება, ან ტრაექტორიის შეცვლაა. ამ რთული ამოცანის გადასაწყვეტად გამოიყენება სხვადასხვა ტექნიკური ამოსავალი, რომლებიც პირობითად Soft-Kill და Hard Kill მეთოდებად იყოფა.

Soft-Kill მეთოდი გულისხმობს მოახლოებული კუმულაციური საშუალებისგან ჯავშანტექნიკის დაცვას ყალბი სამიზნეების შექმნის ხარჯზე და მათი ტრაექტორიის გამრუდებას ოპტოელექტრონიკის, ინფრაწითელი ან ლაზერული სხივების საშუალებით. ამ პასიური მეთოდის გამოყენების წყალობით საომარი საშუალება მიზანს ასცდება.

Hard-Kill მეთოდი აქტიურია, იგი მიახლოებული საომარი საშუალების გზის გადაჭრას ან განადგურებას ისახავს მიზნად და მოიცავს ტანკზე ხიფათის წყაროს

აღმომჩენი, მასზე დამკვირვებელი მოდულების დაყენებას, ამ უკანასკნელებს თან ახლავს მოახლოებული რაკეტის გზაგადამჭრელი და გამანადგურებელი მოდულები მცირეგაბარიტიანი მართვადი საშუალებების სახით.

APS-ის მუშაობის ალგორითმი დაიყვანება გასროლილი ტანკსაწინააღმდეგო საშუალების აღმოჩენით, მისი მოძრაობის პარამეტრების გაზომვით და მის გასანადგურებლად შესაბამის დროსა და მომენტში დამცველი საშუალების გასროლით. ტანკის გარშემო დაცული ზონის გასაიდუმლოებული პრინციპია გამოყენებული, რომელიც აზიმუტით 360 გრადუსის დიაპაზონში მოქმედებს. ტანკის გარშემო სივრცე რამდენიმე სექტორადაა დაყოფილი, რომლებზეც ტანკზე დამონტაჟებული დამცველი საშუალებები სტაციონარულადაა შეერთებული.

ტანკისკენ გასროლილი კუმულაციური საშუალების აღმოჩენა საბორტო რადიოლოკაციური სადგურის მეშვეობით ხდება. ბრძოლისას სადგური ეძებს და აღმოაჩენს ტანკისკენ გასროლილ სამიზნეებს. საბორტო კომპიუტერის მიერ დამუშავებული ანალიზის მიღების შემდეგ იგი თვალთვალის რეჟიმზე გადადის. სამიზნის მოძრაობის პარამეტრების შესახებ ინფორმაციის მიხედვით კომპიუტერი ადგენს დამცველი საშუალების ნომერსა და მისი გაშვების დროს და შერჩეული დამცავი საშუალების გაშვების ბრძანებას იძლევა. გასროლის შემდეგ წარმოიქმნება მიზნის დამზიანებელი ელემენტებისგან შემდგარი მიზანმიმართული ველი. მთელი ეს პროცესი გასროლილი საშუალების აღმოჩენიდან მის განადგურებამდე, მილიწამიდან წამამდე დროის დიაპაზონში ჯდება.

მიზნის აღმოსაჩენად რადიოლოკაციის გამოყენება გართულებულია გარემოში რაკეტის მიერ გამოყოფილი სუსტი სიგნალის გამო. გარდა ამისა, აქტიური ლოკაცია თავად ტანკისთვისაა არასახარბიელო, რადგან მოწინააღმდეგეს შეუძლია შორ მანძილზე აღმოაჩინოს იგი და მართვადი რაკეტით (რადიოლოკაციურ გამოსხივებაზე თვითდამიზნებადი საშუალებით) გაანადგუროს ტანკსაწინააღმდეგო საშუალებების აღმომჩენი, რომელსაც სამარშო ძრავები აქვს და პრობლემის გადასაჭრელად გასროლილი რაკეტების სითბური და სხვა ნიშნების შემჩნევა-ფიქსირება შეუძლია. ასეთი გადაწყვეტის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ სამიზნის კოორდინატების აღმოჩენა-თვალთვალის მოწყობილობა, რომელიც კომპანია Boeing-ის შორი მოქმედების APS-ში გამოიყენება.

ამ მოწყობილობების ეფექტიანობა ლიბანში მიმდინარე კონფლიქტის დროს შემოწმდა 2006 წლის ივლისში. ჩატარებულმა ანალიზმა საშუალებების მაღალეფექტიანობა აჩვენა. ისრაელის პრესაში გამოქვეყნებული მასალების მიხედვით, „ჰესბოლას“ მებრძოლებმა ებრაელთა ტანკების მიმართულებით დაახლოებით 1000 რაკეტა გაისროლეს, რამაც „მერკავას“ ტიპის 52 ტანკი დააზიანა. ყველა დაზიანებული ტანკიდან შემავალი დაზიანება 22-მა მოძველებული ტიპის მერკავა MK-2-მა და მერკავა MK-3-მა მიიღო. საბოლოოდ განადგურდა მხოლოდ სამი მანქანა (ორი მერკავა MK-2 და ერთი მერკავა MK-3) რომლებიც რაკეტების მოხვედრის შემდეგ მთლიანად დაიწვნენ.

ახალი მოდიფიკაციის მერკავა MK-4-ებს შორის მწყობრიდან გამოვიდა მხოლოდ ერთი მანქანა, ისიც კუმულაციურ რაკეტას არ დაუზიანებია – მძლავრ ფუგასზე აფეთქდა. დანარჩენი ტანკების უმრავლესობა საბრძოლო მწყობრს, რემონტის შემდეგ, ჯერ კიდევ ლიბანის ომის დროს დაუბრუნდა.

სტატისტიკა მეტყველებს, რომ თანამედროვე დამცავი საშუალებებით აღჭურვილი „მერკავას“ ტიპის ტანკები წარმატებით გაუმკლავდნენ სარაკეტო საფრთხეს. ლიბანის ომის დროს ტანკების დანაკარგები ზედმიწევნით გაანალიზდა ისრაელის არმიის შტაბში. გაირკვა, რომ ეკიპაჟის წევრთა დაზიანება უმრავლეს შემთხვევაში გამოწვეული იყო, არა ტანკსაწინააღმდეგო საშუალებებით, არამედ „მეტალის გროვის“ რყევის გამო. ამიტომ ებრაელ ტანკისტებს შორის ტრავმატიზმის შესამცირებლად გასაბერი ბალიშების გამოყენება გადაწყვიტეს.

მიუხედავად იმისა, რომ „მერკავას“ ტიპის ტანკებმა ლიბანის ბრძოლაში მაღალი ეფექტიანობა გამოიჩინეს, ისრაელის სამხედრო ხელისუფლება მათი სრულყოფისათვის ძალ-ღონეს არ იშურებს.

მალე „ცახალი“ პირველი არმია იქნება მსოფლიოში, რომლის სერიული მერკავა MK-4-ის ტიპის ტანკები აღიჭურვება „მეილი რუახ“ („ჰაერის პერანგი“) სისტემის აქტიური დაცვის სისტემით, რომელიც კონცერნ „რაფაელში“ დამუშავდა Trophy-ს ბაზაზე. ერთი ტანკის ამ სისტემით აღჭურვა 200-დან 300 ათასამდე დოლარი ჯდება.

ჯავშანტექნიკის აქტიური დაცვის სისტემა APS Trophy-მა და სნაიპერების აკუსტიკური აღმოჩენის საშუალებამ, რომლებიც ისრაელის სამხედრო კონცერნ RAFAEL-შია შექმნილი, უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში არაერთი გამოცდა და დამუშავება-სრულყოფა გაიარა, დღეისთვის კი დასავლეთში ერთადერთი საუკეთესო APS-ად ითვლება.

2005 წლის თებერვალში Trophy-ს სისტემის გამოცდა ორ ეტაპად ჩატარდა. პირველ ეტაპზე ჯავშანტრანსპორტიორ Stryker-ს, რომელზეც სისტემა Trophy-ი იყო დამონტაჟებული, ესროდა ორი ყუმბარსატყორცნი, რომელთაგან ერთი მიზანში ისროდა, მეორე კი ვერ ხვდებოდა. Trophy-ს კომპიუტერმა ზუსტად გათვალა ორივე ყუმბარსატყორცნის ტრაექტორია და განსაზღვრა, რომელი მათგანის განასროლი რაკეტა იყო გასანადგურებელი და რომლის – არა.

მეორე გამოცდისას მდგომარეობა შეცვალეს – ახლა ორივე ყუმბარსატყორცნი მიზანში ესროდა ჯავშანტრანსპორტიორს. ამ შემთხვევაშიც სწორად იმუშავა სისტემამ – ორივე ნასროლი რაკეტა გაანადგურა.

ეს სისტემა განსაკუთრებით ეფექტიანია მჭიდროდ დასახლებულ პუნქტებში ბრძოლისას, სადაც ჯავშანტექნიკის კოლონები ტანკსაწინააღმდეგო რეაქტიული რაკეტებით შეიარაღებული მოწინააღმდეგის ნადავლად იქცევა ხოლმე. რადიოლოკაციური სადგურებისგან შემდგარი და რაკეტებისა და ჭურვების ჰაერში მოსასპობი საშუალებებით აღჭურვილი სისტემა Trophy ტანკის გარშემო უხილავ ფარს წარმოშობს, ავტომატურად აღმოაჩენს და ანადგურებს ყველაფერს, რაც მისი მიმართულებით მოძრაობს. აზიმუტით დაცვის სექტორი 360-ს შეადგენს.

ამავდროულად გადაწყვეტილია იმ ქვეითთა დაცვის საკითხიც, რომლებიც ტანკს მიჰყვებიან. ამისთვის გამოიყენება მოახლოებული რაკეტის ეგრეთ წოდებული „უნამსხვრევო“ განადგურების მეთოდი.

სისტემა Trophy-ის მოქმედების სქემა შედარებით მარტივია – საგანგებო დეტექტორი ადგენს, საიდან ისვრიან, შემდეგ საბორტო კომპიუტერი გამოთვლის გასროლილი რაკეტის ფრენის ტრაექტორიას და სპეცმოწყობილობას ბრძანებას აძლევს, გაანადგუროს მოახლოებული საგანი. ამასთან, განადგურებას თან არ ახლავს ნამსხვრევების გაფანტვა, რასაც ტანკს მიმყოლი ქვეითების დაზიანება შეუძლია. ებრაული APS Trophy-ს შეძენის სურვილი მრავალმა ქვეყანამ, მათ შორის აშშ-მაც გამოთქვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# HK 416 ამერიკული M4-ისა და M16-ის შემცვლელი?!



## Hakler und Koch-მა ლეგენდარული M16-ის შელახული პრესტიჟის გამოსწორება მოინდომა

ვისაც M16 უსვრია, დამეთანხმება, რომ ეს ამერიკული ავტომატური შაშხანა, „კალაშნიკოვთან“ შედარებით, მცირე ძალის უკუდარტყმით გამოირჩევა, მხარსაც კარგად ერგება და მიზანსაც მშვენივრად ხვდება. თუმცა, ვისაც იმავე M16-ით სხვადასხვა პირობებში (მათ შორის უდაბნოში) უომია, არცთუ იშვიათად გამოუთქვამს უკმაყოფილება ამერიკულ ავტომატურ შაშხანაზე. ძირითადად, იწუნებენ M16-ის პირდაპირ აირგამყვან სისტემას, რომელშიც ინტენსიური სროლისას დამწვარი დენთის ნარჩენები გროვდებოდა, რაც ხელს უშლიდა შაშხანის ავტომატიკის ნორმალურად ფუნქციონირებას, რის გამოც აღარ ხდებოდა გადატენა და M16-ს ვაზნა ეჭედებოდა. ამის გამო შაშხანის მარჯვენა მხარეს, სასხლეტის თავზე, სპეციალური მოწყობილობაც კი დაამონტაჟეს, რომელზეც თითის დაჭერით ვაზნა საჭირო ადგილას ჩადიოდა.

ამერიკელებისთვის სირცხვილის მოსაწმენდად ცნობილმა ევროპელმა საიარაღო ფირმამ ამერიკულ საარმიო და საპილოტო ბაზარზე ახალი კარაბინი HK416 გაიტანა. მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ავტომატური შაშხანა G36-ის შექმნის შემდეგ „ჰეკლერ კოხს“ თავისი ახალი პირმშოსთვის წესით სხვა დასახელება უნდა მიეცა (მაგალითად, HK38 ან HK40), თუმცა აღმოჩნდა, რომ სახელწოდებაში HK416 ღრმა აზრი იყო ჩადებული — ის ამერიკული ავტომატური კარაბინის M4-ისა და შაშხანის M16-ის ერთდროულად ჩასანაცვლებლად შეიქმნა.

პირველი, რაც გააკეთეს გერმანელმა კონსტრუქტორებმა, M16-ის პირდაპირი აირგამყვანი სისტემა მცირე მანძილზე გადაადგილებადი აირდგუშით შეცვალეს, სწორედ ისეთით, როგორიც G36-ზეა.

**ჩვენი დოსიე:** HK416 ტიპის ავტომატური კარაბინის სიგრძე 785 მმ-ია, გაშლილი კონდახის შემთხვევაში (დაკეტილი კონდახით კარაბინის სიგრძე მხოლოდ 686 მმ-ია); ლულის სიგრძე 276 მმ-ს აღწევს. კარაბინზე 4 სხვადასხვა სიგრძის ლულის დაყენება შეიძლება. 276 მმ სიგრძის ლულით და ვაზნების გარეშე კარაბინი 3,31 კგ-ს იწონის. სროლის ტემპი წუთში 700-900 გასროლაა. მჭიდში 5,56X45 მმ NATO ტიპის 30 ვაზნა ეტევა.

ახალი სისტემა ნაკლებმგრძნობიარეა გაჭუჭყიანების მიმართ. შესაბამისად, ახალი მოიერიშე შაშხანა უფრო საიმედო გახდა.



HK416-ის სამი ვარიანტი

კარაბინი



შაშხანა

დაგეგმილია 5,56 მმ-იანი კალიბრის კარაბინის HK416-ის რამდენიმე, საიერიშო შაშხანის სადაზვერვო და სნაიპერული ვარიანტების წარმოება.



სნაიპერული შაშხანა

შეიცვალა ლულაც. ახალი ლულა არანაკლებ 20 ათას გასროლაზეა გათვლილი. ლულის გარშემო გამძლე პოლიმერული მასალისგან დამზადებული მოწყობილობაა დამონტაჟებული, რომელზეც Picatinny-ის ტიპის სპეციალური ღარებია. ამ ღარებში მაგრდება ტაქტიკური ფარანი, ლაზერული მიზანმაჩვენებელი, სხვადასხვა სახის ოპტიკური სამიზნეები, წინა ხელის მოსაკიდი და 40 მმ კალიბრის ლულისქვეშა ყუმბარსატყორცნიც კი.

HK416 კვლავ წააგავს M4-სა და M16-ს, რაც ალბათ საგანგებოდ გაკეთდა, რათა ახალ საიერიშო შაშხანას ამერიკელებისთვის „მშობლიური“ M16-ის სახე ჰქონოდა.

აშშ-ის სახმელეთო ჯარები, რომლებიც ერაყსა და ავღანეთში დღემდე სწორედ M4-ებითა და M16-ებით იბრძვიან, არცთუ ისე დიდი სიხარულით შეხვდნენ ახალ HK416-ს. სამაგიეროდ, 2004 წელს რამდენიმე ასეული HK416 ავღანეთში გამოჩნდა ლეგენდარული ამერიკული „დელტას“ 1-ელი ოპერატიული ჯგუფის შეიარაღებაში. მალე მათ სპეციალური ოპერაციების გაერთიანებულმა მეთაურობამ JSOC-მა, ასიმეტრიული ბრძოლების ანტიტერორისტულმა ჯგუფმა და „ზღვის ლომებმაც“ მიჰბაძეს.

მიუხედავად ამისა, ამერიკის არმიის მეთაურობას გული HK416-ზე მაინც არ მოუბრუნდა. სახმელეთო გენერლები არმიის გადაიარაღებას მხოლოდ თვისებრივად ახალი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით აპირებენ. ეტყობა, როლს პატრიოტული გრძნობაც თამაშობს — ნუთუ ამერიკელებს არ შეგვიძლია კარგი ავტომატური შაშხანის შექმნა, გერმანელებს რომ არ ვუყუროთ ხელშიო!

დაგეგმილია 5,56 მმ-იანი კალიბრის კარაბინის HK416-ის რამდენიმე, საიერიშო შაშხანის, სადაზვერვო და სნაიპერული ვარიანტების წარმოება.

ჩანს, HK416-ი ერთგვარი კომპრომისია მოძველებულ M16-სა და თანამედროვე G36-ს შორის. მაშინ, როდესაც არსებობს G36, ნაკლებად გამართლებული იქნებოდა ამერიკული არმიის გადაიარაღება HK416-ით.

შეგახსენებთ, რომ G36 ტიპის ავტომატურ შაშხანებს ქართველი სპეცრაზმელები მე-5 წელია, წარმატებით იყენებენ.

*ირაკლი ალადაშვილი*


არსენალი
HK 416